

# სამთავროს მკვლევანი

პერიოდული გამოცემა. № 5 (30).  
აპრილი, 2018 წელი



უითაზრება შუამდგომლობა კეთილმან,  
შეპირებუ ქაზთუელნი და  
მიხტუაზრე ღმერთსა მანთაღლსა,  
ღვლათ წმიდათ ნინთ ...“



გულითადად მივესალმებით სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის მიერ დაარსებული ჟურნალის, „სამთავროს მაცვლოვანის“, გამოცემას. მოხარულნი ვიქნებით, თუ მისი შემდგენელი შექმნებენ, მკითხველს გააცნონ საქართველოში დაცული სიწმინდენი, ბერმონაზვნური ცხოვრების სიღრმე, აზრი და მნიშვნელობა; ის, თუ რა არის ჩვენი ეროვნული ფასეულობანი, როგორია ჩვენი ტრადიციები, ისტორია, ეთნოგრაფიული თავისებურებანი, ჩვენი ხალხური სიბრძნე.

ეს ყოველივე დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი საზოგადოების სულიერი და ინტელექტუალური დონის ამაღლებას და მათში ჭეშმარიტების გზით სვლის სურვილის გაღვივებას.

ღმერთმა და წმიდა ნინომ დალოცოს „სამთავროს მაცვლოვანის“ გამოცემენი და მკითხველნი.

ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო!


*ჩილა — II*

სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი

ISSN 2346-7738  
შპს (UDC) 27 + 271.2  
8 – 407

	სამთავროს მაცვლოვანი	სამთავროს მაცვლოვანი
	სამთავროს მაცვლოვანი	სამთავროს მაცვლოვანი
დასაბუთებელი: ეკლესია „სამთავროს მაცვლოვანი“		
რედაქცია: ქ.სამთავრო, მ.წმინდა ნინოს ქუჩა, კ.10		

მცხეთა, მირიან შვეცის ქუჩა №3.  
ელ-ფოსტა: [samtavrosmonasteri@yahoo.com](mailto:samtavrosmonasteri@yahoo.com)  
ანგარიშის ნომერი: GE65BG0000000158107700



## სარჩევი

საადღვომო ეპისტოლე .....6	მცხეთა – გრიგოლ რობაქიძის მისტერია ..... 54
ღმერთმა მოგცეთ განცდა თვისთა ცოდვათა და ღმერთმა მოგცეთ სიბრძნე .....14	მირონცხეაშული ბვირბვინოსნები სინას მთის მთავარეპისკოპოს კირილე II-ის წერილი ..... 60
„ჩემო პატრიარქო“ მოგონებები .....16	ზემო იბერიის მეფის, ერეკლეს წერილი .....62
„ათონი – პატრიარქის გაზაფხული“.....28	კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (ოქროპირიძე) სიტყვა წმიდა მთავარმოწამისა ქეთევან დედოფლის დღესა .....64
წმიდა მაქსიმე აღმსარებელი ხარება .....36	წმიდა ბერი გაბრიელი .....66
სიწმინდეები არმაზის საკვირველთმოქმედი ღვთისმშობლის ხატის ისტორია .....40	მოგონებები წმიდა მამა გაბრიელზე .....68
ტაპარი ღვთისა სვეტიცხოველი ..... 44	სამთავროს დედები სამთავროს ძველი დედები .....70
საძმართველოს პატრიარქები პატრიარქი ეფრემ II, სიტყვა თქმული ეპისკოპოსად კურთხევისას .....48	სამთავროს დედებს ..... 79
მცხეთის სამოძღვრო კურსების დაარსება .... 49	ილია მართლის პირველი მასწავლებელი ..... 80
	ბიბლიური ინსტრუმენტების ისტორიიდან ..... 86
	მონასტრის ფოტომატიანე ..... 90


რედაქტორი: თეა ცაგურიშვილი  
სტილისტი: სალომე ზვიადაძე

სარედაქციო კოლეგია:  
არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე),  
ილუმენია ქეთევანი (კოპალიანი),  
მღვდელმონაზონი ილია (თვალაშვილი),  
მონაზონი: სოსანა (კუპრეიშვილი), ნინო (სამხარაძე),  
სერაფიმა (მეტრეველი), იოანა (ნიშნიანიძე),  
მელანია (მამისაშვილი).

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი  
მადლობას უხდის და ლოცავს:

გამომცემლობა „შარაგანდის“ ხელმძღვანელს,  
ბატონ თამაზ შარიქაძეს;  
სტამბა „ფავორიტი სტილის“ ხელმძღვანელს,  
ბატონ ივანე თევდორაშვილს;  
დოკუმენტალისტებს: ქალბატონ ნინო ხოფერიას  
და ბატონ ზვიად მიქელაძეს;  
ბატონ ზაზა მამულაშვილს, ბატონ გიგლა ბენაშვილს.





„გახეებით სამ-შათობეჩინა ლ(გი)ანა. და წამსყოფითა  
ყ(ოგლა)დ წმიდანა ლ(გი)ან-შობელანათა. მე უხლომან  
მონამან მანამან. მ(ღვდ)ელ მონახონმა ალია. აგეჩიან მონახ-  
ციან ძმათგანმა. შენლობითა სულაგჩინა მამანა ჩემანა.  
სქემონახონი მაყინანა. დავახიცვინე წ(მიდ)ა ხაჯი ესე სახელ  
წოდებით სახსაული მოქმედი. დედა ლ(გი)ანა აგეჩიან ყინა-  
ნა. და შეგნანე მცხეთის სამთაგრი უჩინსვალოვანს. დედათა  
მონახცვინა. ვლითხუც)ა მუთიგელად მიუხულებელად. საბ-  
წმუნებითა და შამითა ლ(გი)ანათა მიეიდნითა მას შ(ან)ა.  
გახსოვებ ჩ(ემ)ი წიუელი გულით დამანებულსა. სულაგჩინა  
ძმანა მ(ღვდ)ელ მონ. პაგლე ჯათანიძესა. ჩ(ომე)ლმან მაიძუ-  
ლა ამან სრულყოფად. ყ(ოგლა)დ წ(მიდ)ათ ლ(გი)ან-შობ-  
ელი. მწე და მუთიგელ ვეყყან. ამან. ათინან მთა წ(მიდ)ა.  
აგეჩიან ქართველითა მონახცვინა. 1912. ჩმან. წელსა.“

(წახნეჩა სამთაგრიან აგეჩიან ლ(გი)ან-შობელან ხაჯანს).



## სააღბოგო ეპისტოლე

„ღაინთჲა სიკვდილი პლუვიტაჲ“ (ფს. 25. 8)

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონო-ზონნო, ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრნო, სამშობლოში მკვიდრნო და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო,

ქრისტე აღდგა!

მენელსაცხებლე დელებთან და მაცხოვრის მოწაფეებთან ერთად საფლავის ღოდსა ზედა მჯდომარე ანგელოზი ჩვენც გვამცნობს, რომ ჯვარცმული ღმერთი სა-

ფლავში აღარ არის, რომ

ქრისტე აღდგა!

აღდგა ღმერთი, უძლურთა ძლიერებაჲ, მდაბალთა აღმაღლებაჲ, მოკვდავთა უკვდავებაჲ.

„სად არიან დამბეჭდველნი საფლავისანი? სად არის დასი პილატესი და მხედარნი, რომელნიც სცვიდენ აკლდამასა?“

„სად არის, სიკვდილო, საწურტელი შენი, სად არის, ჯოჯოხეთო, ძლევაჲ შენი?“

მოვედით, ერნო, ვადიდებდეთ სამებასა ყოვლადწმიდასა და ვმადლობდეთ აღდგო-

მილსა მხოლოდშობილსა ძესა და სიტყვასა.

„ქებაჲ შენდა, ქრისტე, ქებაჲ შენდა და დიდება – მოსვლასა შენსა, დიდება – ჯვარცმასა შენსა, დაფვლასა და აღდგომასა!“

დღეს ტარიგი უფლისა საზეპურო სუფრაზე გვიხმობს და არა აქვს გარჩევა მდიდრისა და გლახაკისა, უბირისა და განსწავლულისა, ყრმისა და ხანდაზმულისა; ტრაპეზი გაშლილია და ღვინი განმზადებული.

მიწვეულია ყველა, ვინც გააცნობიერა ამქვეყნიური ცხოვრების აზრი, ვინც მაღლიერებით მიიღო იესოს გამოქმენლობითი ღვაწლი და ნათლობით ქრისტესთან შეერთებულს სურს, მასთან ერთად აღდგომა;

მათ კი, რომელთაც ჯერ არ გაუაზრებიათ მომხდარის სიღრმე და თავისი ამქვეყნიური მისია, მოკლედ შევახსენებთ შემდეგს:

ბიბლია გვასწავლის, რომ დედამიწაც და მთელი სამყაროც უფლის დიდების გამოვლინებაა. ღვთის ხატად და მსგავსად შეიქმნენ ჩვენი პირველშობლები და ხილული ქვეყნის პატრონად და განმგებელად დადგინდნენ; მათი სრულქმნა დღე-ყოველ წარემართებოდა და სულიერ კიბეზე ზესვლა ხორციელდებოდა.

ამასთან, ადამსა და ევას მიეცათ კურთხევა, რომ გამრავლებულიყვნენ და მოეცვათ ქვეყანა. ამით დაეკისრათ პასუხისმგებლობა, შთამომავალნიც აღეზარდათ ღვთისადმი რწმენით და იმ სულისკვეთებით, რომ ზედმიწევნით აღესრულებინათ უფლისგან მიცემული აკრძალვა (არ ეგემათ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი), რათა სრული ჰარმონია ყოფილიყო შემოქმედსა და ქმნილებას შორის.

ღმერთი სიყვარულია და სამყაროშიც ეს გრძნობა სუფევდა. ამიტომაც, დაცემამდელი ადამიანების მდგომარეობა იყო სიყვარულით, სიხარულით, ღვთისა და ერთმანეთისადმი მსახურებით აღსავსე სიცოცხლე.

მაგრამ ეს ნეტარებითი ცხოვრება დასრულდა. დასრულდა იგი მას შემდეგ, როცა

ადამმა და ევამ აღარ შეასრულეს მიცემული მცნება, ერწმუნნენ შურით აღძრულ ბოროტ ძალას და მისი რჩევისამებრ მოიქცნენ.

ასეთმა ქმედებამ ისინი ღვთის მაღლს განაშორა, გამოიწვია მათი ხორციელი და სულიერი სიკვდილი და ეს მდგომარეობა შთამომავლებსაც მემკვიდრეობით გადაეცათ.

დაცემა მოხდა იმიტომ, რომ ადამმა და ევამ, გველის შეგონებით, მოინდომეს, ღვთის გარეშე გამხდარიყვნენ უფრო დამოუკიდებელი და შემოქმედს გატოლებოდნენ. არადა, ბოროტმა შესაქმის გვირგვინს სიცრუითა და მზაკვრობით სწორედ თავისუფლება წაართვა და ცოდვას დაამონა. ამის გამო განედარცვათ მათ ცხოველსმყოფელი მაღლი ღმერთშემოსილობისა, საღვთო სიკეთეთა სულიერი ხედვის უნარი, სულიერი უმანკოება და უვნებობა ეგოისტური ზრახვებითა და ვნებებით შეეცვალათ და მწუხარება და განსაცდელი თანამგზავრად ექცათ.

ღვთისგან გაუცხოებულმა ცხოვრების წესმა სხვადასხვა ეპოქასა და სივრცეში სხვადასხვა გამოვლინება ჰპოვა, ჩვენს დროში კი განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა.

ყველგან თვალშისაცემია ტრადიციულ ღირებულებათა მოსპობის, პატრიოტული სულისკვეთების დაკნინების, ეროვნული მეობის გაქრობის ტენდენცია. დიდია მცდელობა ზოგიერთი მძიმე ცოდვის ბუნებრივ მდგომარეობად გამოცხადებისა, მასმედიითაც, ნებსით თუ უნებლიეთ, ხშირად ხელი ეწყობა აგრესიისა და უზნეობის, ნარკომანიისა და აზარტული თამაშების პროპაგანდას; ბილწსიტყვაობა, ტყუილი, ცინიზმი, საჯარო შეურაცხყოფა – ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

გაჩნდა გრძნობა დაუცველობისა და ხვალინდელი დღის შიშისა, სულიერი სიცარიელის ფონზე ახალგაზრდებში გახშირდა თვითმკვლელობა, რისი ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ მოქმედებენ გარკვეული ჯგუფები, რომელნიც მოზარდებს სხვადასხვა სახით აიძულებენ, სიცოცხლე ამ სახ-

ით დაამთავრონ. დაეცა განათლების დონე, მოზარდი თაობა ინტერნეტს მიეჯავჭვა და წიგნი დაივიწყა. დაიკარგა უფროსის პატივისცემა, ებრძვიან ავტორიტეტებს, ქმნიან ახალი „ღირებულებების“ შესაბამის პერსონებს და მათ წარმოაჩენენ მისაბამად.

ამ მოვლენებს მეტ-ნაკლებად საქართველოშიც აქვს ადგილი. ჩვენთან დიდია უმუშევართა, სოციალურად დაუცველთა და უცხოეთში სამუშაოდ წასულთა რიცხვი; იცლება სოფლები და რაიონები; დამაფიქრებელია ხალხის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებიც, რასაც ხშირ შემთხვევაში სტრესული მდგომარეობა და მდარე პროდუქტებით კვება იწვევს.

შემოტევაა ეკლესიაზე და მრავალწლიანი მცდელობა, შეურყიონ ხალხს მისდამი სიყვარული. მავანნი შეურაცხყოფენ სიწმინდეებს, რელიგიურ გრძნობებს და განუკითხაობით ხარობენ.

ყურადღება მინდა, შევაჩერო დემოგრაფიულ საკითხზე.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, მოკლე დროში ნავარაუდევია მოსახლეობის 28%-ით კლება, რაც ისედაც მცირერიცხოვანი ჩვენი ერისთვის უმძიმესი შედეგის მომტანი იქნება.

ამ საგანგაშო მდგომარეობის ნაწილობრივ მანკ გამოსწორებისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია აბორტის, როგორც უმძიმესი ცოდვის, საწინააღმდეგო განწყობის შექმნა და პირველ ეტაპზე მრავალშვილიანი ოჯახების გარკვეული ნაწილისთვის ცალკე კანონის შემუშავება, რათა მათ დასახმარებლად ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას.

უნდა შევნიშნოთ, რომ როდესაც ჩვენს ხალხზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს მსგავს, და ზოგ შემთხვევაში, უარეს მდგომარეობაში მყოფი, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მოქალაქეები. ვგულისძობ, მაგალითად, აფხაზებს, უდინებს, ქისტებს, ჩერქეზებს, ოსებს,

ასირიელებს, ლეკებს, იეზიდებს და სხვათ.

კარგი იქნება, ქვეყანამ განსაკუთრებული პირობები შეუქმნას როგორც ქართველ, ისე ამ ეთნიკური წარმომავლობის იმ ოჯახებს, რომელთაც ოთხი და მეტი შვილი ჰყავთ და გაუწიოს მნიშვნელოვანი მატერიალური დახმარება, რაც უნდა მატულობდეს შვილთა რაოდენობის ზრდის მიხედვით. ოჯახებმა უნდა იგრძნონ, რომ სახელმწიფო ზრუნავს მათზე და მადლიერია მათი თავდადებისა.

ხოლო როდესაც საქართველო ეკონომიკურად გაძლიერდება, შეღავათები უნდა გავრცელდეს საერთოდ ყველა მრავალშვილიანზე.

ზემოთქმულზე, რა თქმა უნდა, დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში მომუშავეთ, მასმედისა და ეკლესიას, განსაკუთრებით კი, – კანონმდებელთ.

მინდა, მივმართო საქართველოს მოსახლეობას, ჩვენს გაუტენელ, ქრისტესმოყვარე ერს: არ შეუშინდეთ დროის გამოწვევებს, თავს დატეხილ განსაცდელთ, პრობლემათა სიმრავლეს.

ჩვენ მაცხოვრის ეკლესიის წევრნი ვართ და ისეთი ბედნიერება გვაქვს მონიჭებული, რომ ვერავითარი გარემო პირობები ამ სიხარულს ვერ დაჩრდილავს.

რა სიხარულია ეს?

ეს არის სიხარული, უპირველეს ყოვლისა, იმისა, რომ ჩვენ გამოხსნილნი ვართ! მოხდა სასწაული, რომელსაც ათასობით წლის მანძილზე ელოდებოდა ადამის მოდგმა და ეს სწორედ დღევანდელ დღეს განხორციელდა.

სიხარული გვაქვს იმისა, რომ ვინც ქრისტეს სახელით ჭეშმარიტ ეკლესიაში ინათლება, ღვთისგან, როგორც საბოძვარს, იღებს სულიწმინდის მადლს, უფალთან ერთობას და ისეთ სულიერ მდგომარეობას, რომელშიც აღმოფხვრილია ადამისეული ცოდვის ის ფესვი, მთელი თაობები სიკვდილს რომ დაუქვემდებარა.

სიხარული გვაქვს იმისა, რომ ჩვენ გვე-



ძლევა შესაძლებლობა, ღვთის შემწეობით და ჩვენი ძალისხმევით მოვიპოვოთ ის მღვთმარეობა, რისთვისაც სამოთხეში მყოფ ჩვენს პირველშობლებს უნდა მიეღწიათ.

იესომ ახალ ერს, ბოროტების ძირისაგან თავისუფალ ახალ კაცობრიობას, დაუდო სათავე და ამიტომაც იწოდება მეორე ადამად; პირველი ადამისგან სიკვდილი შემოვიდა, მეორესგან კი – სიცოცხლე. „და როგორც ადამში კვლებიან ყველანი, ისე ქრისტეში იცოცხლებს ყველა“ (I კორ. 15,22)

მაგრამ ჩვენი ცხოვრებისთვის, – ფიზიკური და სულიერი სიკვდილისაგან გათავისუფლებისათვის, – ქრისტეიანად გახდომა არ არის საკმარისი, რადგან მაცხოვარმა ზო-

ამ ქვეყნად ღმერთმა მოგვცა.

„სოფელი ბოროტსა ზედა დგას და, ბუნებრივია, ადვილად არ დათმობს ადამიანებს. ამიტომაც მორწმუნეთ სერიოზული წინააღმდეგობების დაძლევა უხდებათ და ყოველდღიური ბრძოლა საბოლოო გამარჯვებისთვის;

არსებული ყოფა არის ასპარეზი ჩვენი პიროვნების წარმოსაჩენად და რამდენადაც ეს გარემო დაშორებული იქნება ქრისტიანულ ღირებულებებს, იმდენად დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება მიზნის მისაღწევად, თუმცა საზღაური შესაბამისივე იქნება ცათა შინა.

ჩვენს ყოველ მოქმედებას უდიდესი დატ-



გადადამიანური ბუნება გამოიხსნა და, როგორც სამოთხეში, ახლაც კვლავ თავისუფალი არჩევანი შემოგვთავაზა.

ჩვენი გადასაწყვეტია, რას მოვინდომებთ, – ისევ ცოდვებს დამონებულ ყოფას, თუ ცხოვრების იმ წესს, რომლის მაგალითიც

ვირთვა აქვს, რადგან იმქვეყნად კარგიც და ცუდი საქმეებიც სხვა მასშტაბით გამოვლინდება და ჩვენს იქაურ შესაძლებლობებს განაპირობებს.

მორწმუნე გაჭირვების ჟამს ზშირად სთხოვს დახმარებას წმინდანებს, ანგელო-

ზებს, ღვთისმშობელს. გავისხენოთ, მაგალითად, წმინდა გიორგი და წმინდა ნიკოლოზი; ერთმა დიდმოწამეობით დაამოწმა ქრისტეს სიყვარული და მისი მცნებების ერთგულება, მეორემ კი – საკვირველი ღვთისსათნო ცხოვრებით; ისინი კონკრეტულ ადვილას და კონკრეტულ დროში მოღვაწეობდნენ, მაგრამ გარდაცვალების შემდეგ ყველა გულმხურვალე მლოცველის შემწე და მფარველნი გახდნენ ყველა ეპოქაში.

აღარაფერს ვამბობთ მოციქულებზე და ღვთისმშობელზე.

ასეთი საოცარი პოტენციალია ჩადებული თითოეულ ჩვენგანში!

და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, ხარისხობრივად რა მდგომარეობას განვიკუთვნებით ზეცაში ან ქვესკნელში.

როგორია ჩვენი გული და გონება? როგორ ნიადაგს დაახვედრებს იგი ღვთის სიტყვას?

ნარ-ეკლიანს? – სადაც ვერაფერი გაიხარებს, კლდოვანს? – სადაც აღმოცენებული ნერვი მალე გახმება, თუ ნოყიერ მიწას, დიდი ხეც რომ ადვილად ფეხვს გაიდგამს?

უფლის სამეფო არის ჭეშმარიტი რწმენითა და სიყვარულით გაერთიანებულ პიროვნებათა კრებული, რომელიც ცხოვრობს ურთიერთსიყვარულითა და ურთიერთმსახურებით, იმ წესით, დაცემამდელ ადამიანებს რომ ჰქონდათ და შემდეგ ჯვარცმულმა იესომ აღგვიდგინა.

უფლის სამეფო არის იქ, სადაც მორწმუნენი სათნოებებით არიან შემოსილნი, ღვთის დიდებასა და მასთან ერთობას ესწრაფვიან და შთამომავლობასაც ამ პრინციპით ზრდიან.

უფლის სამეფო არის იქ, სადაც, თუნდაც დიდი შეცდომების მიუხედავად, დიდი სინანულია, სადაც მუდმივი ხსოვნაა



იერუსალიმი. მაცხოვრის ადღვომის ტაძარი. ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლა

ზეციური სასუფევლისა.

უფლის სამეფო დედამიწაზე ქრისტეს ეკლესიაა და აქ უნდობს იგი გადარჩენის ყველა მსურველს.

ამ წილის განუყოფელ ნაწილად გახდომა უნდა იყოს ჩვენი უმთავრესი მიზანი და ამოცანა.

გავიხსენოთ, როგორ გვარიგებს ძე ღვთისა: „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ“ (მათე 6, 33)

მისგან ნასწავლებ ლოცვაშიც, ვამბობთ: „მოვედინ სუფევა შენი (ანუ შენი მეუფება), იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა.“

ვამბობთ ამას იმიტომ, რომ ჩვენი მოვალეობაა, ზეციური მეუფების ცხოვრების წესის დამკვიდრება ჩვენშიც და ჩვენს გარემოშიც და არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, როგორ სახელმწიფო წყობასა და რომელ ეპოქაში მოგვიწევს არსებობა. ჩვენთვის მისაღები უნდა იყოს საზოგადოების მოწყობის ისეთი წესები, რაც ცათა სასუფეველთან არ დაგვაპირისპირებს.

თუ ჩვენ მკვეთრ წინააღმდეგობაში მოვდივართ შემოთავაზებულ ურთიერთობებთან და კანონებთან, ჩვენი პროტესტი უნდა იყოს მკაფიო, მაგრამ ღირსეული, რომ არ დავაზარალოთ იდეა, რასაც ვიცავთ, არ დავაზიანოთ სხვისი და საკუთარი სული.

სიყვარულია, რისი აღსრულებაც ამქვეყნად გვევალება. – ქმედითი, ცოცხალი, ნამდვილი სიყვარული ღვთისა და მოყვასისა.

როგორ შეიძლება ეს გამოვლინდეს?

– ქრისტეს სახელით მოყვასისადმი მსახურებაში.

ამიტომაც ბრძანებს იგი: „მშობლა, და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა და მასუთ მე; უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე; შიშუელ ვიყავ და შემშოსეთ მე; სნეულ ვიყავ და მომხედეთ მე; საპრობილესა ვიყავ, და მოხუედით ჩემდა“ (მათე 25, 35-36).

სიყვარული არის საკუთარი ინტერესების ნებაყოფლობითი დათმობა, თავის უარყოფა იმისთვის, ვინც გვიყვარს.

მაგალითად, მშობელი ყველაფერს აკეთებს შვილისათვის და ეს მას სიხარულს ანიჭებს, რადგან უყვარს, ვისთვისაც იღვწის და შვილსაც უყვარს რა მშობელი, მთელი გულით ცდილობს, ასიამოვნოს მას.

უფრო მეტი სიძლიერით უნდა გვიყვარდეს უფალი, რომ მისი ღირსეული შვილები ვიყოთ.

ქრისტიანობა არის ერთადერთი რელიგია, რომელშიაც მხოლოდ ადამიანები კი არ ემსახურებიან ღმერთს, არამედ თავად ღმერთი გვიჩვენებს კაცთათვის მსახურების, სიყვარულისა და თავგანწირვის საოცარ მაგალითს და ჩვენს წინაშე წარმოსდგება, როგორც მეფე-მსახური. (შდრ: „ძე კაცისაჲ... მოვიდა... მსახურებად და მიცემად სული თვისი (მათე 20, 20); და ახლად ნათელღებულთა პასუხი: „მრწამს იგი, – ქრისტე, – ვითარცა მეუფე და ღმერთი“).

ქრისტე – მეფე-მსახური – უნდა იყოს ნიშანსვეტი ყოველი ქრისტიანისთვის!

საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა თანამდებობრივად ან ქონებრივად, თუნდაც გავლენით, რას წარმოვადგენთ. ყოველ ჩვენგანს, ნებისმიერი სოციალური მდგომარეობის მქონეს, უნდა ჰქონდეს განცდა იმისა, რომ მაცხოვრის მსგავსად, თვითონაც იყოს მეფე-მსახური.

შენ ხარ მეფე იმდენად, რამდენადაც გაქვს უფლება, რომ შენი ცხოვრება თავისუფალი ნებით წარმართო და ღვთისგანვე შენთვის ბოძებული ყველა სხვა ნიჭი და უნარი ამ არჩევანის მიხედვით გამოიყენო.

ამიტომაც მეფე შეიძლება იყოს ბევრი, მაგრამ მეფე-მსახური, – მხოლოდ ჭეშმარიტი ქრისტიანი.

თუ არ ვცხოვრობთ მცნებებით, არ ვართ სათნოებებით შემოსილნი და სხვისი მსახურება თუ არ არის ჩვენი სურვილი,

მეფე-მსახურნი, ანუ ჭეშმარიტი ქრისტიანნი, ვერ ვიქნებით, თუნდაც რომ მაღალი სასულიერო წოდება გვქონდეს.

სამწუნაროდ, ადამიანთა დიდი ნაწილი ესწრაფვის, მას მოემსახურონ და მზრუნველობა მასზე გასწიონ, რომ ეგოისტური მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს. სხვისთვის მსახურება მათთვის ტვირთია ან დიმილისმომგვრელი მდგომარეობა და, რადგან, თავისი ცხოვრების წესის გამო, სულიერი სიხარული არ იციან, რა არის, ბედნიერებას მხოლოდ წარმავალ, მიწიერ კეთილდღეობაში ეძებენ; ამ ძებნაში კი ცოდვებს ცოდვებზე ამატებენ და ბოროტისაგან სულ უფრო დამონებულნი ხდებიან.

ეკლესიის მისია, რა თქმა უნდა, არის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც ჩართულობა, მაგრამ უმთავრესია, სიმართლის გზა დაანახოს ხალხს და, ვისაც აქვს სურვილი, მოამზადოს გოლგოთის გავლით ცათა სამეფოს წევრობისათვის.

ამიტომაც განსაცდელების არ უნდა გვემინოდეს და უნდა ვიცოდეთ: თუ ჭეშმარიტ მორწმუნეთა საზოგადოებად ჩამოვყალიბდებით, ვერავინ დაგვამარცხებს, თუნდაც რომ დიდ ძალას დავუპირისპირდეთ, რადგან ჩვენ კი არა, ჩვენ გვერდით ჩვენს გადასარჩენად მებრძოლი უფალი იქნება უძლეველი და გამარჯვებული.

ფაქტია, ყველას გვინდა, ძლიერი, განვითარებული ქვეყანა გვქონდეს; ამის მიღწევა კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ საზოგადოებაში სწორ ღირებულებათა სისტემა იარსებებს და ამ საფუძველზე მოხდება პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემების მოგვარება; დეზორიენტირებული საზოგადოება კი ქაოსში ჩაიძირება და სახელმწიფოს დიდად დააზარალებს.

მიგვაჩნია, რომ, მართალია, ეკლესია და სახელმწიფო ინსტიტუციონალურად ერთმანეთისაგან გამიჯნული უნდა იყოს და არის კიდევ, მაგრამ ქვეყნის შენების საქმეში

აუცილებლად უნდა თანამშრომლობდნენ და ეს ურთიერთობა შეიძლება შეედაროს ადამიანის სულისა და სხეულის კავშირს.

ღვთის მაღლით, ჩვენ გადაკვეთის არაერთი სფერო გვაქვს, მაგრამ მინდა გამოვყო აწყურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრის აღდგენა-რესტავრაცია, რაც ძირითადად სახელმწიფოს ძალისხმევით მიმდინარეობს. ეს ის ეკლესიაა, სადაც პირველი საუკუნიდან დაბრძანებული იყო წმიდა ანდრია პირველწოდებულისათვის ყოვლადწმინდა მარიამის მიერ გადაცემული მისი ხელთუქმნელი ხატი ყრმა იესოსთან ერთად.

დღეს, როცა ეს ტაძრი იწყებს განმზადებას ზეციური დედოფლის ხატის დასაბრძანებლად, ახალ სიცოცხლეს იძენს დედა ღვთისას ეს სიტყვებიც, წმიდა მოციქულს რომ დააბარა: „შვილო ანდრია, წააბრძანე სახე ჩემი და სახე ძისა ჩემისა, ქვეყანასა ჩემდა წილხვდომილისა, რათა მე ვიყო განმგებელ ცხოვრებისა მათისა, ხელი აღუპყრა და შევეწიო და არავინ სძლოს მათ“ (ქართლის ცხოვრება).


„შენ, ზეცისა წვიმისა საწმისო, მარიამ, მხევალო და დედაო და ქალწულო, ცაო ცათაო, მხოლოო ხილო ღმრთისაო კაცთა მომართ მოსვლისა, ნუ დასცხრები ხსნად სულთა ჩვენთაცა, ამინ!“

ყოველნო ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, სომეხნო, უღინნო, იეზიდნო, ასირიელნო, ქურთნო, ინგუშენო, ჩერქეზნო, ჩეჩენნო, ლეკნო – ყოველნო მკვიდრნო საქართველოისა და საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო,

ქრისტე აღდგა!

ინებოს ღმერთმა, საქართველოც აღდგეს!

**სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,  
ილია II,  
სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი**



## ღმერთმა მოგცით განცდა თვისთა ცოდვათა და ღმერთმა მოგცით სიბრძნე!

... ჩვენ, ცოდვილნი და უღირსნი მონანი და მხევალნი ღვთისანი, ვლგავართ წინაშე ღვთისა, ვითარცა შემცოდე ადამი.

გახსოვთ, ადამს მოესმა ხმა ღვთისა: „ადამ, ადამ, სად ხარ?“

ადამმა უპასუხა: „აქ ვარ, მაგრამ შიშველი ვარ და მრცხვენია, დაგენახო“.

„ვინ გითხრა, რომ შიშველი ხარ? ხომ არ შეჭამე აკრძალული ხილი?“

და ადამი პასუხობს: „შენ რომ ცოლი მომეცი, იმან მომიტანა ეს ხილი და ვჭამე“.

შემდეგ მიმართა უფალმა ევას: „რატომ გააკეთე ეს?“

ევამ უპასუხა: „შენ რომ შექმენი გველი, იმან შემაცდინა“.

წმიდა მამები ამბობენ, ადამს რომ არ ეთქვა, „შენ რომ მომეცი ცოლი, მან მომიტანა და შევჭამეო“, შეიძლება, ღმერთს ისევ დაეტოვებინა სამოთხეში.

ცოდვა – ეს არის საშინელი ვნება. ეს არის ის, რაც ღუპავს ადამიანს. ეს არის ადამიანის სულზე აღმოცენებული ხორცმეტი, რომლისაგან უნდა გათავისუფლდეს ყოველი ადამიანი. ამიტომაც, რომ წმიდა მამა (ეფრემ ასური) ამბობს: „ჰე, უფალო, მომანიჭე მე განცდაჲ თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა.“

როგორ უნდა განიცადოს ადამიანმა ცოდვა? უპირველეს ყოვლისა, გულით და გონებით. არ შეიძლება, ვცნობდეთ ცოდვას მხოლოდ გონებით. როგორც ამბობენ წმიდა მამები, ადამიანმა იგი, უპირველეს ყოვლისა, უნდა განიცადოს ღიღი გონებით, ღიღი გონება კი არის გული ადამიანისა.

„ღიღ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი!“

შენლობის მიღების საშუალება რომ არ არსებულებო, პატიება შესაძლებელი რომ არ ყოფილებო, ვერც ერთი ადამიანი ვერ

ცხონდებოდა დედამიწაზე! ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ ეკლესიაში დაწესდა შენლობის წესი.

შენლობის წესს დასაბამი დაელო ეგვიპტის უდაბნოში. ღიღი მარხვის წინ მთელი ბერმონოზვნობა იკრიბებოდა მონასტერში და ერთმანეთს სთხოვდნენ პატიებას, შემდეგ წავიდოდნენ უდაბნოში და მთელი მარხვის დროს ლოცულობდნენ განდევილად, ვერავინ ხედავდა, რა უჭირდათ და რა ულხინდათ.

ცოდვა – ეს ღიღი ვნებაა. ადამიანი ხშირად ვერ გრძნობს, როგორ შემოიპარება ცოდვა მის გონებაში; ეს მთელი პროცესია. უპირველეს ყოვლისა, იგი თვალში შემოდის, თვალით ხედავს ამა თუ იმ ვნებას, თვალისგან გულში გადადის და გულში თუ შევიდა ვნება, მერე მოედება მთელ სხეულს და უკვე ძნელია მასთან განშორება.

აი, ამიტომ ყოველ ადამიანს უნდა ჰყავდეს სულიერი, მლოცველი მოძღვარი: არა მარტო ბერმონოზვნობას, სასულიერო პირებს, არამედ ერის ადამიანებს. მონასტრებში და ტაძრებში სამღვდელოება უნდა ლოცულობდეს ყოველი ადამიანისათვის. ეს ღიღი შრომაც, სულიერი მოღვაწეობაც, – როგორც ბიბლიაშია ნათქვამი. ეს არ არის ბრძოლა ვნებებთან, ხორცთან და სისხლთან, ეს არის ბრძოლა ეშმაკთან. ეშმაკი ბრძენია და ამ სიბრძნით აღწევს თავისი ბოროტი ვნებებისა და აზრების განხორციელებას.

ძალიან ძნელია მიტევება ცოდვისა, თუ შენ არ ხარ დამნაშავე. ხშირი შემთხვევაა, როცა ადამიანი სიკეთეს უკეთებს სხვას და ის ბოროტებით პასუხობს. რა უნდა უყო ასეთ ადამიანს, როცა ხედავ, რომ ცუდს გიკეთებს? – უნდა დალოცო!

ის გლანძღავს? – შენ უნდა დალოცო და ეს ყველაფერი შენ მოგიბრუნდება სიკეთით. აი, ამიტომ თქვენც ღიღი სიბრძნე



უნდა გამოიჩინოთ, რომ სიკეთე და სიწმინდე დაგიბრუნდეთ.

დიდი მარხვა არის შესანიშნავი საშუალება მაღლის მოსაპოვებლად. მახსენდება, როგორ მოღვაწეობდნენ ჩვენი დედეები, მცხეთის სამთავროს მონასტრის ძველი მონოზენები. მაგალითად, დედა სიდონია. მას საგანგებოდ პატარა სენაკი ჰქონდა, ფიცრებისგან შეკრული ტახტი და დღედაღამ იქ მოღვაწეობდა; წამოწვებოდა და თავით ბალიშის მაგივრად ელო ქვა, რომ ძილი ხანმოკლე ჰქონოდა.

უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II გვიამბობდა:

როცა ვიყავი სვეტიცხოვლის წინამძღვარი, ლოცვის დროს ვიღაცას შემოჰქონდა მაწონი და არ ვიცოდით, ვის მოჰქონდაო. კმევის დროს გამოვედი გარეთ და ვხედავ, ერთ-ერთი მონოზონი ღვამს მაწონს ფანჯარაში. ამ დროს თვითონაც არაფერი ჰქონდაო! აი, ასე მოღვაწეობდნენ და დღესაც მოღვაწეობენ სულიერი ადამიანები.

ღმერთმა მოგცეთ ძალა და მაღლი!

ღმერთმა მოგცეთ განცდა თვისთა ცოდვათა და ღმერთმა მოგცეთ სიბრძნე!

*ამონარიდი პატრიარქის ჟღერებიდან.*

## მოზონეები

მასხენდება ჩემი განვლილი გზა – სტუდენტობიდან ეკლესიამდე. ეს იყო ურწმუნოების, ძიებისა და გაურკვევლობის ხანა. საბოლოო გამოღვიძებისა და გამორკვევის ჟამიც, ღვთის წყალობით, მალე დადგა.

ჩემი ლექტორის, აწ განსვენებული ბ-ნი ზურაბ სარჯველაძის წარდგინებით მუშაობა დავიწყე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტში, აკადემიკოს ელენე (ელო) მეტრეველის მდივნად; იქ გავიცანი და დავუშეგობრდი ქ-ნი ელოს ასპირანტს, კეთილმორწმუნე და ღვთისმომშიმ პიროვნებას, ქ-ნი ანიკო ლამბაშიძეს. იგი დღეყოველ ჩამაგონებდა ტაძარში სიარულს. უწმიდესი და უნეტარესი ილია II უკვე ერთი წლის აღსაყდრებული იყო, თუმცა მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი.

წმიდა ნიკოლოზის დღესასწაული ახლოვდებოდა. ანიკო დაჟინებით მოხოვდა წირვაზე წასვლას, მესაუბრებოდა პატრიარქზე, წმიდა ნიკოლოზის სასწაულებზე... როგორც იქნა, დამითანხმა. დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე სიონში პატრიარქის წირვას დავესწარი, მოვისმინე უწმიდესის ქადაგება და მივხვდი, რომ ვიპოვე, რასაც ვეძებდი. უსაზღვროდ ბედნიერი და მადლიერი დავბრუნდი შინ.

იმავე ღამეს ვნახე სიზმრისეული ჩვენება. სიონი... წირვა... ამბიონზე ბრძანდებოდა უწმიდესი და გულზე ჩარჩოში ჩასმული წმიდა ნიკოლოზის ძვირფასპერანგიანი ხატი მიესვენებინა. მეორე დღეს სამსახურში ჩემი სიზმარი მოვეყვი. ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო. ოთახში შემოვიდა თანამშრომელი, რომელიც ტელეფონით ხმამაღლა ესაუბრებოდა თავის მეგობარს, ურჩევდა, შეეძინა ძალზე ძვირფასი, 3000 მანეთად ღირებული წმიდა ნიკოლოზის ხატი, რომელსაც უცნობი მამაკაცი ვაკეში საკომისიო მაღაზიაში

1000 მანეთად ყიდდა. უნდა ეჩქარა, რადგანაც ერთ საათში ის კაცი წასვლას აპირებდა. მეგობარი, როგორც ჩანდა, დათანხმდა. ჩემი სიზმარი გამასხენდა და გულში ლოცვა დავიწყე: წმიდა ნიკოლოზ, გემუდარები, უარი ათქმევინე-მეთქი და, მართლაც, მეგობარმა ბოლოს უარი უთხრა, აგარაკზე მივდივარ და ფული მჭირდებაო. მე დავინტერესდი, გამოვიკითხე, სად იყიდებოდა ხატი, მისამართი დავაზუსტე და დავიწყე ფიქრი, როგორ ან სად მეშოვა 1000 მანეთი ერთ საათში. ინსტიტუტში ასეთი თანხა არავის აღმოაჩნდა. მოლარეც წასული იყო. წმიდა ნიკოლოზს გუხმე საშველად (ჩემს ცხოვრებაში პირველად ვლოცულობდი). ჩემს ძმასთან, ბუხუსთან, ტელეფონით დაკავშირება შთამეგონა. სასწრაფოდ დავრეკე აღმასკომში, ჩემი ძმის სამსახურში. ბუხუმ ყურმილი აიღო. „სასწრაფოდ მჭირდება 1000 მანეთი“. – სწრაფად და მოკლედ ვუთხარი. „ჰო, კარგი, წადი სახლში, გასაღები ხომ იცი, ფული კარადაში, პიჯაკის ჯიბეშია და აიღე“. არაფერი უკითხავს, – რისთვის ან რატომ მჭირდებოდა ეს თანხა. სასწრაფოდ დავკიდე ყურმილი და პეკინის ქუჩაზე, ჩემი ძმის სახლში გავიქეცი. პიჯაკში ზუსტად 1000 მანეთი აღმოჩნდა, არც მეტი, არც ნაკლები. „ხატის ფული!“ – გავიფიქრე. სასწრაფოდ გავქანდი ვაკეში. ერთი საათი ჯერ არ გასულიყო. კაცი, რომელიც ხატს ყიდდა, მაღაზიის შესასვლელში იდგა, ხატი შეფუთული ჰქონდა, თითქოს მელოდებოდა. სასწრაფოდ მივუთვალე თანხა, ხატი გულში ჩავიკარი და ნელი ნაბიჯით გავუყევი გზას. უკვე აღარსად მეჩქარებოდა. უკან ტროლეიბუსით გამოვბრუნდი, მაგრამ მოულოდნელად შუქი გამოირთო და მკერდზე წმიდა ნიკოლოზის ხატმირქმულმა საბურთალომდე გზა ფეხით გავაგრძელე.

იმავე საღამოს ანიკოსთან ერთად წავე-



დი სიონში. დავესწარი ლოცვას. ხატი მესანთლესთან დავტოვე, რადგან არ ვიცოდი, სახლში სიწმიდისთვის პატივი როგორ მიმეგო. ვფიქრობდი, უმჯობესი იქნებოდა, იგი ეკლესიაში ანთებულ კანდლებთან და სანთლებთან დამეტოვებინა.

მეორე დღეს დავესწარი წირვას. ტაძარში საზეიმო განწყობა სუფევდა. გაბრწყინებული კათოლიკოს-პატრიარქი ამბიონზე იდგა.

ლი მონოზონი თეოდორა) გადასცა. დავინახე, როგორ მიიკრა იგი გულზე უწმიდესმა...

ამის შემდეგ სიონის ტაძრის მუდმივი მრევლი გავხდი. მაშინ გულისხმაყვავი დედის ნათქვამი: ოცდაათ წლამდე გათხოვებაზე არც იფიქრო. ოცდაათი წლის რომ გავხდი, მაშინ მივხვდი, დედას თურმე ქრისტეზე დავუწინდივარ.

დასაწყისში, სანამ მართლმადიდებლობაში



კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სიონის საკათედრო ტაძარში

ჯვარზე სამთხვევად ყველანი სათითაოდ მილიონენ და უწმიდესს საჩუქარს უძღვნიდნენ. მეც გამიჩნდა სურვილი, წმიდა ნიკოლოზის ხატი პატრიარქისთვის მეჩუქებინა, მაგრამ პირადად გადაცემა ვერ გავბედე, შორიახლოს დავდექი, ხატი კი საპატრიარქოს მორჩილმა გალინამ (აწ განსვენებუ-

კარგად გავთვითცნობიერდებოდი, ბოროტმა კვლავ სცადა ჩემი ჭეშმარიტი გზიდან გადაცდენა. სიონში რამდენჯერმე მისვლის შემდეგ შემთხვევით გავიცანი ერთი ახალგაზრდა ქალი, რომელმაც თავისი მოძღვრებით გამაბრუა. იგი მესაუბრებოდა ქრისტეზე, თითქოს სახარებისეულად, მარწმუნებდა,



**წმიდა ნიკოლოზის ხატი  
(დაბრძანებულია პატრიარქის სენაკში)**

რომ მღვდელთან აღსარების ჩაბარება არ იყო საჭირო. „შეგიძლია, ოთახის კუთხეში განმარტოვდე, აღიარო შენი ცოდვები და ნახავ, როგორ მოგიახლოვდება, დაგადებს თავზე ხელს ქრისტე და როგორ დაგამშვიდებს“. მე მისით მოხიბლული დავრჩი.

ერთ დღესაც, როცა სახლში არავინ იყო, ოთახის კუთხეში დაფეხე და აღსარების თქმა დავიწყე. მართლაც, ვიგრძენი, რომ მიახლოვდებოდა რაღაც ძალა, რომელსაც თავზე ხელი უნდა დაედო. ავტირდი და განწირული ხმით დავიყვირე: „ღმერთო, ნუ გამომეცხადები, ისედაც მწამხარ-მეთქი“. შემდეგ, როცა სულიერი თვალთ შევაფასე მომხდარი, მივხვდი, რომ ეს იყო სატანის მოახლოება, რამეთუ წაკითხული მქონდა, რომ ანგელოზის მოახლოება ადამიანს ამშვიდებს და სიხარულს ანიჭებს, მე კი აუტანელმა შიშმა და ძრწოლამ შემიპყრო. ამ შემთხვევის შემდეგ

ლოცვისას ცრემლი გამიქრა, მარტობას გაგურბოდი, მეშინოდა... როგორც შემდეგ გაირკვა, ჩემი ასალი ნაცნობი ბაპტიستي ყოფილა. იმ დღის შემდეგ მას აღარ შევხვედრივარ. შინაგანად მისი ცდომილება მაშინვე უარყავი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პროფესია ძალზე მიყვარდა, სიცარიელისა და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მუდამ თან მდევდა, სულ რაღაცის ძიებაში ვიყავი, განუწყვეტლივ ჩამესმოდა შინაგანი ხმა: „ჩქარა, ჩქარა, დატოვე ყველაფერი და წადი!“ როგორც შემდგომ გავაცნობიერე, ეს მფარველი ანგელოზის ხმა იყო, მაგრამ საით მიხმობდა ეს ხმა, – არ ვიცოდი და მხოლოდ მაშინ, როცა პირველად დავესწარი წირვას სიონის საკათედრო ტაძარში და მოვისმინე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტრესის, ილია II-ის ქადაგება, მივხვდი,

რასაც ვეძებდი. ამის შემდეგ საბოლოოდ გადავწყვიტე, ჩემი ცხოვრება უფლისათვის მიმეძღვნა. ფარულად დაუტყვევე ხელნაწერთა ინსტიტუტი და განზრახვის გასანდობად და რჩევის მისაღებად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან რეზიდენციაში მივედი. უწმიდესთან შემიყვანა აწ განსვენებულმა ზურაბ ჭავჭავაძემ, რომელიც იმუჟამად კათოლიკოს-პატრიარქის რეფერენტის მოვალეობას ასრულებდა. მანვე მასწავლა, როგორ უნდა ამელო კურთხევა პატრიარქისაგან. უწმიდესმა დანახვისთანავე უთხრა ჩემზე ბ-ნ ზურაბს: „როგორი სამონოზენოა?“ ზურაბიც ღიმილითა და თავის დაკვრით დაეთანხმა. ჩემდა გასაკვირად, უწმიდესმა საპატრიარქოში მისვლისთანავე მიმიღო. ამ დღიდან შეიდი წლის განმავლობაში არ მომკლებია უწმიდესის მზრუნველობა და მამობრივი სიტბო, მანუგეშებდა მისი მადლიანი ღიმი-

ლი და უსრულესი, მაღალი ზნეობა.

ეკლესიურ ცხოვრებაში ახალფეხად-გმულს, რწმენაში განსამტკიცებლად, უფალი ნუგეშს არ მაკლებდა. განსაკუთრებულად ვგრძნობდი წმიდა ნიკოლოზის შეწევნას.

საპატრიარქოში ჯერ კიდევ სრულიად ახალმისულს, ძალიან მეწადა წმიდა ნიკოლოზის იმ ხატის ნახვა, რომელიც პატრიარქს ვუსახსოვრე. ერთხელ მონოზონ ათანასიას (სტეშას) ვკითხე: ხომ არ იცი, წმიდა ნიკოლოზის ხატი სად აქვს უწმიდესს დაბრძანებული-მეთქი. საძინებელ ოთახშიო, მიპასუხა. ერთი მხრივ, ძალიან გამიხარდა, მაგრამ ამასთან შეუძლებლად ჩავთვალე, რომ მას ოდესმე ვნახავდი, რადგან უწმიდესის საძინებელში ჩემი შესვლა წარმოუდგენლად მიმაჩნდა. და მაინც, იმ დღით ვთხოვე წმიდა ნიკოლოზს; ძალიან მენატრები, ერთი წამით შენი ხატისთვის თვალი შემაღლებინე-მეთქი.

დაღამდა. მწუხრის ზარი დაირეკა. ყველა ლოცვაზე წავიდა (ძველ საპატრიარქოში უწმიდესის კაბინეტში ლოცულობდნენ), მე მორჩილებს გავეყვი, ლოცვა მალე დამთავრდა. უწმიდესმა ყველას ხატები დაურიგა, მე კი ანთებული კელაპტარი გადმომცა. შუქი არსად ენთო. იქაურობას მხოლოდ კანდღები ანათებდა. პატრიარქი ემბაზიდან აიაზმას ასხურებდა. მე წინ დამაყენა და მითხრა, ოთახები უნდა შემოვიაროთო. მღელვარებისა და უხერხულობისგან ფეხები არ მემორჩილებოდა, არ მიხდოდა, უწმიდესის წინ მევლო, ვცდილობდი, როგორღაც ზურგი არ შემექცია, მაგრამ უწმიდესმა კვლავ მაკურთხა, წინ იარეო. გალობით შემოვიარეთ სალოცავი ოთახი. პატრიარქი მორჩილებთან ერთად გალობდა იესოს ლოცვას: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“. შემდეგ ანთებული კელაპტრით შევედით საძინებელ ოთახში. კელაპტრის შუქზე წამიერად შევაღვლე თვალი წმიდა ნი-

კოლოზის ხატს, რომელიც საწოლის თავზე ეკიდა. უსაზღვროდ გავიხარე. მას შემდეგ ლოცვისას ასეთი მსველელობა აღარ განმეორებულა, აღარც წმიდა ნიკოლოზის ხატი მინახავს.

წმიდა ნიკოლოზთან დაკავშირებით მახსენდება ერთი სასწაული: ერთხელ სკვნილი დაკარგე. ძალიან ვდარდობდი. წმიდა ნიკოლოზს შეწევნა ვთხოვე, თუძცა ნაკლებად მჯეროდა, რომ ვიპოვნიდი. გავიდა ერთი თვე. სენაკში სანთელი ავანთე, წმიდა ნიკოლოზის ხატს შევხედე და ვკითხე: „ნეტავ სად უნდა იყოს ჩემი დაკარგული სკვნილი?“ მომენტალურად ჯიბეში ხელი ჩავიყავი იმ სკვნილის ამოსაღებად, რომელზეც ვლოცულობდი. მოულოდნელად მას ჩემი დაკარგული სკვნილი ამოჰყვა. საოცარი ის იყო, რომ მე ამ მოსაცმელს ყოველდღიურად ვხმარობდი და ჯიბეებსაც ვამოწმებდი, მაგრამ სკვნილი იქ არ იყო. ასევე ვიპოვნე წმიდა ეკატერინეს ბეჭედიც. დაკარგული ნივთი, წმიდა ნიკოლოზის სასწაულით, არაერთხელ აღმოჩენილა მოსინჯულ ჯიბეში.



80-იანი წლების დასაწყისში უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის, ლოცვა-კურთხევითა და ძალისხმევით, ასევე ბ-ნი ზურაბ ჭავჭავაძისა და სხვა მამულიშვილთა ინიციატივით, ორთაჭალაში მდებარე წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას დაუბრუნდა. უწმიდესის კურთხევით ტაძარში განთავსდა ბიბლიოთეკა, რომლის მოწესრიგება დაგვევალა მე (ჯერ კიდევ მორჩილს) და უწმიდესის ნათლულს, ციციხო ჟვანიას (დეკანოზ ლეონტი ჟვანიას ქალიშვილი).

ტაძრის იატაკზე გროვად ეწყო საერო თუ სასულიერო წიგნები. მათ შორის იყო ახალი

გამოცემებიც და ეკლესიის დევნისას სხვადასხვა ადგილას გადამალული წიგნებიც. ზოგი მათგანი ტაძრის სახურავებიდან იყო ჩამოხიდილი, ზოგი – მიწისქვეშა სამალავებიდან ამოღებული, ზოგი – ხანძრის შედეგად დაზიანებული და დაობებული. საჭირო იყო მათი დასუფთავება, რესტავრაცია და დალაგება დარგების მიხედვით. სამუშაო მეტად შრომატევადი აღმოჩნდა. საქმეს კარ-ფანჯრების ღრიტოებიდან შემოსული მტვერიც ართულებდა, დასუფთავებული წიგნები ხელმეორედ დასაწმენდი ხდებოდა. დიდიდან საღამომდე ვმუშაობდით. ხელები ორივეს გაშეშებული გვქონდა და ყელიდან მტვერი ტალახივით სქელი მასის სახით ამოგვდიოდა. ასე გაგრძელდა თითქმის 2-3 წელი. თავიდან დაღლილ-დაქანცულები საღამოობით საპატრიარქოში ვბრუნდებოდით, შემდეგ კი იქვე, ტაძარში, სახელდახელოდ მოწყობილ კუთხეში ვიძინებდით. წირვას სიონში ვესწრებოდით.

წმიდა ნიკოლოზის ტაძარში გადასვლისას უწმიდესმა უსაფრთხოების მიზნით მოზრდილი ზარი გაგვატანა, ტელეფონის დადგამდე განსაცდელის უამს ზარი დარეკეთო. ერთხელ, ღამით, მართლაც გავიგონეთ, რომ ვიღაც ტაძრის კარის დამცავ გისოსს ჭრიდა და ტაძარში შემოსვლას ღამობდა. ძალიან შეგვეშინდა, მაგრამ ხმა მალევე შეწყდა და ზარის დარეკვა აღარ დაგვჭირვებია.

როცა შავ სამუშაოს მოვრჩით და დასუფთავებული და დახარისხებული წიგნები რკინის თაროებზე განვათავსეთ, უწმიდესმა წიგნების სარესტავრაციოდ და საარქივო მასალის მოსაწესრიგებლად აკადემიიდან სამი თანამშრომელი მოიწვია. ჩვენი დალაგებული წიგნები მათ სულ თავიდან ფურცელ-ფურცელ დაამუშავეს. მე და ციცინოს სამუშაო არ გველეოდა. წმიდა ნიკოლოზის ტაძრის ბიბლიოთეკაში ხუთი წელი ვიმუშავეთ. იქ ყოფნის პერიოდში ჩვენთვის

უბედნიერესი იყო ის დღე, როცა პატრიარქი მობრძანდებოდა.

ერთ-ერთი სტუმრობისას უწმიდესმა პარაკლისი გადაიხადა, შემდეგ ამბიონთან დადგა და კვერთხზე დაყრდნობილი დიდხანს სევდიანად ღუღუნებდა: „დავიღალე, დავიღალე, მოდი ჩემთან, უფალო!“ პატრიარქის ტკბილ გალობას თანმხლებ მონოზვნებთან ერთად ჩვენი თუთიყუშებიც ხალისით აჰყვებენ. მე ღმობიერებისაგან ცრემლი მომერია და გამახსენდა სადღაც ამოკითხული: წმიდა ილია მართალი დაღლილობისას თურმე ასე ღიღინებდა: „სული მიწუსს, გული მასთან ღონდება, თვალს ავახელ, ცრემლები არ მშორდება...“ როგორ ჰგავდა ამ ორი მონათესავე სულის ადამიანის განწყობა ერთმანეთს...

შემდეგ პატრიარქმა ბიბლიოთეკა და არქივი დაათვალიერა. მე და ციცინოს არქივის კუთხეში პატარა საძინებელი გვქონდა მოწყობილი. უწმიდესმა მოათვალიერა ჩვენი საცხოვრისი და სევდიანად წარმოთქვა: მეც სიამოვნებით ვიცხოვრებდი ამ ფულუროშიო.



წმიდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედი (მისი სახელობის ტაძრის მსახურთ) არასოდეს გვაკლებდა შემწევობას. მინდა ერთი შემთხვევა გავიხსენო: პეტრე-პავლობის დღესასწაულზე უწმიდესი და უნეტარესი ილია II სამღვდელოებასთან და მრევლთან ერთად ქუთაისში გაემგზავრა. მე და ციცინოს ძალიან გვინდოდა, უწმიდესთან ერთად ვყოფილიყავით, მაგრამ სამგზავრო თანხა არ გვქონდა. იმ დროს წმიდა ნიკოლოზის ეკლესიას სტუმრობდნენ ნინო და ელისო ბერაიები. როცა ჩვენი სურვილი შეიტყვეს, თავადაც მოისურვეს ჩვენთან ერთად წამოსვლა. ელისოს (ამჟამად მამა დავით გო-



უწმიდესი ძველ საპატრიარქოში

ცირიძის მეუღლე) აღმოაჩნდა იმდენი თანხა, რამდენიც ქუთაისში ჩასასვლელად იყო საჭირო; უკან წამოსასვლელად არ გვეოფნიდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გამგზავრება მაინც გადავწყვიტეთ: მთავარია, წავიდეთ და მერე ღმერთი რამეს გამოგვიჩენსო, ვეუბნებოდით ერთმანეთს. ოთხივენი მუხლმოდრეკით შევევედრეთ წმიდა ნიკოლოზს: „წმიდა ნიკოლოზ, ხომ იცი, უკან დასაბრუნებელი თანხა რომ არა გვაქვს, შენ ხომ სასწაულმოქმედი ხარ, გთხოვ, უკან წამოგვიყვანე!“. უფალს და წმიდა ნიკოლოზს მინდობილნი, გულდამშვიდებული გავემგზავრეთ ქუთაისში. გადავიხადეთ მატარებლის ბილეთისა და ტროლეიბუსით მგზავრობის საფასური და საოცარი იყო, რომ ზუსტად გვეყო, ერთი კა-

პიკი არც დაგვკლება და არც მოგვრჩენია. წირვაზე ცოტა დაგვიანებით მივედი. ლიტურგიის დამთავრების შემდეგ ვინ სასტუმროს მიაშურა, ვინ – ნათესავის სახლს, ჩვენ კი არ ვიცოდით, სად წავსულიყავით. დაბნეულები რომ დაგვინახა, უწმიდესის ძმისშვილმა გოგი შიოლაშვილმა სასტუმროში წაყვანა შემოგვთავაზა, რაზეც სიხარულით დავეთანხმეთ („წმიდა ნიკოლოზი!“ – გავიფიქრეთ). სასტუმროს ოთახებში სიონის მრევლი იყო განაწილებული. უწმიდესიც ამავე სასტუმროს ერთ-ერთ ნომერში ბრძანდებოდა. ერთმა ნაცნობმა თავის ნომერში შეგვიპატიუა და ტრაპეზიც შემოგვთავაზა. ოთახში ძლივს ვეტეოდით, მაგრამ მაინც

კარგად მოგვალათლით. ერთმა ნაცნობმა გამოგვკითხა, რითი ვაპირებდით გამგზავრებას. ჩვენ ვუთხარით, რომ ოთხივენი ერთად გავემგზავრებოდით, მაგრამ რომელი ტრანსპორტით, ჯერ არ გვექონდა გადაწყვეტილი. უსახსრობას არ ვამხედდით. ამ დროს კარი გაიღო და შემოვიდა უწმიდესის მძღოლი ნოდარ შიოლაშვილი: მისმა უწ-

მიდესობამ დამავალა, ნახე, ოთახებში რამდენნი არიან, არავინ დარჩეს, ვისაც მანქანები გყავთ, ყველამ ვინმე ჩაისვითო. უსაზღვროდ გავიხარეთ. უთუოდ წმიდა ნიკოლოზმა აუწყა პატრიარქს ჩვენი გასაჭირი!... ჩვენ ჯერ არ ვიცოდით, ვისი მანქანით მოგვიწვედა წასვლა. მალევე შემოვიდა გოგი შიოლაშვილი: უწმიდესმა თქვენი წაყვანა მე დამავ-



პატრიარქი ილია II, არქიმანდრიტი დავითი და იღუმენია ქეთევანი. სამთავრო

ალა, ჩემი მანქანით მხოლოდ თქვენ ოთხნი წამოხვალთ, სხვა არავინ იქნებაო. „წმიდა ნიკოლოზი!“ – ერთხმად შევძახეთ ჩვენ.

როცა დაბლა ჩავედით, უწმიდესი გამგზავრებული დაგვიხვდა. გოგიმ სასწრაფოდ ჩაგვსხა მანქანაში და გაგვაქროლა, უწმიდესის მანქანას უნდა დასწვოდა. მართლაც, დაეწია და მთელი გზა უკან მიჰყვებოდა. სადაც უწმიდესი ჩერდებოდა, ჩვენც ვჩერდებოდით. გზადაგზა პატრიარქი ხელით ნაკეთ დოქებს, ლარნაკებს, ნაქსოვ-ნაქარგებს ათვალთქვებდა და რაც მოეწონებოდა, ყიდულობდა. იქნებ იმიტომაც, გლეხები ზაფხულისთვის უჩვეულო სიცივეში დიდხანს რომ არ მდგარიყვნენ.

ჩვენ, უსაზღვროდ გახარებულები და ბედნიერნი, მადლობას ვწირავდით უფალს და მის სათნომყოფელს – წმიდა ნიკოლოზს. გოგი ვერ ხვდებოდა, რა გვიხაროდა ასე ძლიერ. ჩამოვედით სიონამდე, მაგრამ ახლა ორთაჭალაში წასვლის ფული არ გვაქვს. გოგის თხოვნა ვერ შევბედეთ, ჩამოვსხედით სიონის ტაძრის წინ. უცებ გოგი ისევ მობრუნდა და გვეკითხა, სად მივეყვანეთ. ჩვენ ყასიდად ვიუარეთ, მაგრამ გოგი არ მოგვეშვა: სასწრაფოდ დასხედით, მერე უწმიდესი უნდა ვნახოთ. ორ წუთში ორთაჭალაში ვიყავით. დიდი მადლობა გადავუხადეთ გოგის, რომელსაც წმიდა ნიკოლოზმა ჩვენთვის ამდენი სიკეთე გააკეთებინა.

ტაძარში შესვლისთანავე წმიდა ნიკოლოზის სასწაულთმოქმედი ხატის წინ დავემხეთ და მადლობა შევსწირეთ იმ დიდი წყალობისთვის, რომელიც ასე უმშურველად მოიღო ჩვენზე, წმიდანის შეწევნის ხილული „აღმსრულებელი“ კი ყოველთვის პატრიარქი გახლდათ.

ბრძანდებოდა, მე და ციციწო ბიბლიოთეკაში წიგნებს ვახარისხებდით. მე ვინატრე: ნეტავ უწმიდესი ჟაკეტს ჩამომიტანდეს-მეთქი, ფერიც შევარჩიე – ყავისფერი, გრძელი და ჯიბეებიანი. ციციწო მზის სათვალეზე ოცნებობდა. მე ნატვრაში შევეშველე და ვუთხარი: ბარემ ისიც ინატრე, სათვალისთვის ნამდვილი ტყავის ბუდეც ჩამოგიტანოს-მეთქი. როცა უწმიდესი ჩამობრძანდა, ყველანი შევეგებეთ და ლოცვა-კურთხევა ავიღეთ. უწმიდესმა დედები მოიხმო, ჩანთა მოატანინა, თავისი ხელით გახსნა და ყავისფერი ჟაკეტი ამოიღო, სწორედ ისეთი, როგორსაც ვნატრობდი. ციციწოს კი უთხრა: შენთვის მზის სათვალე ჩამოვიტანეო. ციციწომ გაოცებისაგან შეჰყვირა. მოიცა, იმ ჩანთაში ტყავის ბუდეა, ისიც წაიღეო, – შეაჩერა უწმიდესმა. ასე სასწაულებრივად აგვისრულდა ორივეს ნატვრა.

სხვა დროს, საპატრიარქოში ყოფნისას, დიდიდანვე ამეკვიატა ფიქრი თექის ჩექმებზე. უწმიდესი მარტყოფში ბრძანდებოდა. ჩემი სურვილის ასრულება სრულიად არარეალურად მესახებოდა. სადამოს პატრიარქი მობრძანდა. ზარის ხმის გაგონებისთანავე გავიფიქრე: ნეტავ თექის ჩექმები ხომ არ მომიტანა-მეთქი... და ჰოი, საოცრებაჲ! უწმიდესს ერთი დიდი ყუთი თექის ჩექმები მოეტანა! ყველანი სასწრაფოდ თავისთან მიგვიხმო, ვხედავ, დედები ყუთიდან ნაირ-ნაირი ფერის ჩექმებს იღებენ და იზომებენ. გავშემღი... გაოგნებული ვუყურებდი. უწმიდესმა ზურგზე ხელი გამკრა, – შენ რატომ არ ისინჯავო. ფეხი მაინც ვერ გადავდგი, ცალკე მორიდებისა და ცალკე გაოცებისაგან. ამასობაში უწმიდესმა თვითონ ამოარჩია, მომიტანა და მითხრა: „აბა, ჩაიცვი!“ ზუსტად მომერგო.

ერთხელ, როცა უწმიდესი ამერიკაში

ერთხელ, გიორგობის დღესასწაულზე, მე

და ციციხო წმიდა ნიკოლოზის ტაძრიდან თელეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში წავედით, გავიარეთ შავნაბადაზეც. თელეთში, ტაძრის ეზოში, უამრავი ხალხი ირეოდა. აქ ვნახე პირველად თეთრ კაბებში გამოწყობილი ე.წ. „მონა ქალები“, რომლებიც ფანდურზე „იავნანას“ მღეროდნენ. მამა გაბრიელიც (ურგებაძე) იქ იყო და „მონაქალებს“ ეპაექრებოდა. სადღესასწაულო წირვა უწმიდესმა და უნეტარესმა აღავლინა. წირვის დამთავრების შემდეგ მამა როსტომმა (ლორთქიფანიძე) პატრიარქს აჩვენა ცაზე გამოსახული უზარმაზარი ჯვარი, რომელიც თანდათან გაფერმკრთალდა და ბოლოს გაუჩინარდა. ყველანი გაოცებულნი შევცქეროდით ამ უცნაურ ჩვენებას.

ორთაჭალაში გვიან დავბრუნდით. მოულოდნელად მე და ციციხომ მოვიწყინეთ. უკვალოდ გაქრა წუთისწინანდელი სადღესასწაულო განწყობა. ერთმანეთს ხმასაც კი აღარ ვცემდით. რა ხდებოდა ჩვენს თავს, ვერ ვხვდებოდით. უცებ ციციხოს სახე გაუბრწყინდა; მივხვდი, რაღაც მოიფიქრა! ტელეფონთან მივიდა და ნომერი აკრიფა. თურმე საპატრიარქოში რეკავს უწმიდესის ნომერზე. ყურმილი უწმიდესის მძლოლმა აიღო. ციციხომ მას ხმა არ გასცა. ჩუმად მანიშნა, ვიმდეროთო და ორივემ წამოვიწყეთ: „ღვთივეკურთხეული ქართველი ერი, დღეგრძელი იყოს მრავალი წელი...“ ვმღერით და ვმღერით ერთსა და იმავეს, არ ვჩერდებით. უცებ ყურმილში უწმიდესის ხავერდოვანი ხმა გაისმა: „ციციხო, შენ ხარ?“ ციციხოს მოულოდნელობისაგან ყურმილი კინაღამ ხელიდან გაუვარდა. „დიახ, თქვენო უწმიდესობავ!“ და ხმა ჩაუწყდა. „რა დაგემართა, რამდენი ხართ? რა კარგად გალობთ!“ „ორნი ვართ, თქვენო უწმიდესობავ! – ხმის კანკალით გააგრძელა ციციხომ, – მოწყვნილები ვიყავით და ვიფიქრეთ...“ სათქმელი

ვეღარ დაამთავრა. „აბა, ჯვარი გეწეროთ, კარგად ბრძანდებოდეთ!“ – დაგვლოცა პატრიარქმა და ყურმილი დაკიდა.

ერთხანს გაოგნებულები ვიდექით, მერე სიცილი აგვიტყდა, უწმიდესისაგან ჩვენში დიდი მადლი და სიხარული შემოვიდა. მეორე დღეს ციციხო ამ შემთხვევის შესახებ საპატრიარქოს თანამშრომლებს უყვებოდა და თან ხუმრობით იმეორებდა: „თურმე, როცა მოწყვნილობა დაგეუფლება, უწმიდესის ნომერი უნდა აკრიფო და იმღერო, რამდენიც გინდა...“

აქვე ერთ კურიოზსაც გავისხენებ: უწმიდესის კაბინეტში ტელეფონმა დარეკა. უწმიდესმა ყურმილი აიღო და ცოტა ხნის შემდეგ გააკვირვებული პასუხობს: „ნინო როგორ ვიქნები, კაცი გელაპარაკებით?“ – მერე მე მომიბრუნდა და ღიმილით გაიმეორა: „ნინო ხარვო? ნინო როგორ ვიქნებოდი?“



ამავე ხანებში მე და ციციხოს ერთი მეტად უცნაური ამბავი შეგვემთხვა: კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სამეგრელოში, წმიდა ალექსი შუშანიას სავანეში, მონასტრის დღესასწაულზე იყო მიწვეული და რამდენიმე დღით სენაკში (მაშინდელი ცხაკაიას რაიონი) მცხოვრები ერთ-ერთი ადგილობრივი მკვიდრის ოჯახში ბრძანდებოდა სტუმრად. მე და ციციხო ყოველთვის ვცდილობდით, ჩვენც იქ ვყოფილიყავით, სადაც პატრიარქი ბრძანდებოდა.

დილაადრიან გავემგზავრეთ თბილისიდან სენაკში. ჯერ მთავარანგელოზთა ტაძარი მოვილოცეთ, შემდეგ შუშანიების სავანეში მივედით, სადაც პატრიარქის პატივსაცემად წირვის შემდგომ დიდი სუფრა იყო გაშლილი, თუმცა უწმიდესი ტრაპეზზე არ დარჩენილა.

წმიდა ალექსი შუშანიას ნათესავები და



სავანის მორჩილები ზოია და ნინა სიყვარულით შეგვხვდნენ. მოგვალეობის და დაგვითვალისწინებინეს იქაური სიწმიდეები: წმიდა ალექსი ბერის საფლავი, მისი სალოცავი ადგილი, პირადი ნივთები, უზარმაზარი ჯვარი, რომელსაც წმიდა მამა ლოცვისას მხრებზე იღებდა და სხვ. შემდეგ მასპინძლებმა სუფრასთან მიგვიწვიეს, მაგრამ ჩვენი დიდი სურვილი იყო თეკლათის მონასტერი უზმოზე მოგველოცა და ტრაპეზზე უარი განვაცხადეთ. მასპინძლებმა ცალკე უწმიდესისთვის გადასაცემად, ცალკე კი ჩვენთვის, უხვად ჩაგვილაგეს საგზალ-სანოვავე და გამოგვისტუმრეს.

თეკლათის დედათა მონასტერში ასულებს,

ტაძარში მამა კონსტანტინე (ქვარაია) დაგვიხვდა. იგი ნათლობის საიდუმლოს აღასრულებდა. მოვილოცეთ ტაძრის სიწმიდეები და ხატი „ყვავილოვანი ღვთისმშობელი“. ამ ხატთან დიდხანს, გულმხურვალედ ვილოცეთ. ციცილო მამა კონსტანტინეს კარგად იცნობდა. მან თბილად მოგვიკითხა ორივენი. მერე საკურთხევიდან წმიდა იოანე ნათლისმცემლის წმიდა ნაწილი – თითი (ხელის) გამოაბრძანა და გვამთხვევინა. ეზოში გამოსულებს იღუმენია ელენე (აღანაია) შეგვხვდა, თავის სენაკში მიგვიპატიჟა. გვიანი იყო და გვინდოდა, უწმიდესთან დროზე ჩავსულიყავით, ამიტომ მიპატიუებაზე ამჯერადაც უარი განვაცხადეთ. მაშინ დედა იღუმენ



სენაკი. წმიდა ალექსი შუშანიას სავანე. მთავარანგელოზთა ტაძარი

ნიათ ეზოში, მოლზე სახელდახელო სუფრა გაგვიშალა. სწრაფად წავისემსეთ და მალე დავემშვიდობეთ კეთილ წინამძღვარს. იღუმენია ელენემ მცირე მანძილზე გამოგვაცილა, სურდა, ბოლომდე გამოგვეყოლოდა, მაგრამ ვთხოვეთ, არ შეწუხებუდიყო. მაშინ დედა ელენემ უწმიდესის მასპინძელ ოჯახამდე გზა მიგვასწავლა, დაგვემშვიდობა და დაგვლოცა (ბედნიერად ვთვლი თავს, რომ უფალმა ღირსმყო სიცოცხლეში ერთხელ მაინც მეხილა სათნოებებით შემკული ადამიანები – მამა კონსტანტინე და იღუმენია ელენე).

გზად სასაფლაოზე უნდა გაგვევლო. იქ მისულემა გადავწყვიტეთ, ცოტა დაგვესვენა და დაგვანაყრებუდიყავით. მინდორზე ჩემი ჭრელი შალი დაგაფინე და პატარა სუფრა გაეშალე. ჯერ მიცვალებულებს „სულთათანა“ ვუგალობეთ, მერე „მამაო ჩვენო“ წარმოვთქვით და მინდორზე დავსხედით. მე ტყისკენ ზურგმექცევით ვიჯექი. უცებ, ციცილო ფეხზე წამოიჭრა და განწირული ხმით შეჰყვირა: „ხარი!“ უკან მივიხედე: საცრისოდენა თვალებიანი უზარმაზარი ხარი, კუდაწეული, პირდაპირ ჩვენკენ მოჰქროდა და ელვის სისწრაფით გვიახლოვდებოდა. უბედურება გარდაუვალი იყო. ვერაფრის მოფიქრება ვერ მოვასწარი. დაბნეულობისგან ჩანთას წამოვავლე ხელი (ჩანთა რას მიშველიდა?), ლოცვაზე არც მიფიქრია, გაქცევის საშუალებაც არ იყო, ან კი სად გავექცეოდით? გაშეშებულები ვიდექით. უცებ ციცილომ ხელეები მაღლა აღაპყრო და განწირული ხმით შეჰყვირა: „მამა ღმერთო, გვიშველე!“ ის იყო, ხარი უნდა დაგვეგერებოდა, რომ მოულოდნელად ჩვენგან სულ რაღაც ერთ მეტრში გაჩერდა, თითქოს რაღაცამ დაამუხრუჭა, თვალეები დააბრიალა, დაბზრიალდა, კუდაწეული უკან გაბრუნდა და ტრიალ მინდორზე თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდა. ვიგრძენი, რომ ტაძარში ლოცვა და „ყვავი-

ლოვანი ღვთისმშობლის“ მეოხება შეგვეწია და დაგვიხსნა ამ უბედურებისგან.


შიშისაგან თავზარდაცემულებმა სასწრაფოდ ავაღაგეთ ყველაფერი და უწმიდესთან გავეშურეთ. პატრიარქი ეზოში ბრძანდებოდა; რომ დაგვინახა, სუფრასთან მიგვიწვია. ციცილომ დაწვრილებით უამბო ყველაფერი. უწმიდესმა ყურადღებით მოგვისმინა, მერე პირჯვარი გადაისახა და გვითხრა: თქვენ ხარი კი არა, მისი სახით ეშმაკი გამოგეცხადათო. მერე თითო-თითო ყლუპი არაყი დაგვალევინა, დაგვლოცა და იმ დღესვე თბილისში დავბრუნდით.



ერთხელ სამების პატარა ტაძარში (ძველი სამება) მედავითნე ქეთილომ უწმიდესს ჰკითხა: თქვენო უწმიდესობავ, ძალიან მინდა, თქვენზე ლოცვა და როგორ ვილოცო? „რომელი დამკვიდრებულ არს...“ სამჯერ წაიკითხეო, უპასუხა უწმიდესმა. „სამჯერ რა არის, თქვენო უწმიდესობავ, მაკურთხეთ და ორმოცჯერ წავიკითხავ დღეში!“ – ეცოტავა ქეთევანს. არა, სამჯერ საკმარისიაო, აკურთხა პატრიარქმა.

გადავწყვიტე, მეც წამეკითხა პატრიარქისთვის დღეში სამჯერ 90-ე ფსალმუნი. დასაწყისში ვასრულებდი. შემდეგ ხან ერთ ფსალმუნს ვაკლებდი ან სულ მავიწყდებოდა და ბოლოს აღარც ვასრულებდი. განვლო ხანმა. ერთხელ საპატრიარქოში ამ მედავითნეს შევხვდი. ერთმანეთი მოვიკითხეთ და ფსალმუნის კითხვის ამბავიც გავისხენე, მაინტერესებდა, ასრულებდა თუ არა უწმიდესის კურთხევას. „ოჰ, რა ძნელი ყოფილა პატრიარქისთვის ლოცვა, დღეში ორმოცჯერ კი არა, სამჯერ ძლივსდა ვლოცულობდი“, მიპასუხა შეწუხებულმა.

კარგა ხნის გასვლის შემდეგ ეს ამბავი



მონასტრის მოძღვარს ვუთხარი. მან მაკურთხა, დღეში სამჯერ წამეკითხა 90-ე ფსალმუნი და დამემატებინა წმიდა ნინოს ტროპარი. მოძღვრის კურთხევის შემდეგ ღოცვა აღარასდროს შემიწყვეტია, მოგვი-

ანებით „მამაო ჩვენო“ დავუმატებ. დმერთმა გვიდღეგრძელოს ჩვენი პატრიარქი. ამინ!

იღუმენია ქეთევანი (კობახიანი)

## „ათონი – პატრიარქის გაზაფხული“

ათონის მთა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის ერთ-ერთი ყველაზე ამაღლებული და სანუკვარი ადგილია, სადაც უფრო მარტივად შეგიძლია გაიაზრო და გააცნობიერო ადამიანის ამ ქვეყანაზე მოვლენის ჭეშმარიტი არსი. წმინდა მთაზე ფიქრის, განსჯისა და აზროვნების შესაძლებლობა კაცთათვის მართლაც არსებობს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ქრისტიანობის აღმსარებელი ადამიანი (კაცი, რადგან ათონის მთაზე, განაწესის მიხედვით, ქალის შესვლა მკაცრად აკრძალულია) ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა ეწვიოს ათონის მთას, რათა იხილოს ღმერთსა და ადამიანს შორის არსებული

მისტიკური სიახლოვე; ეს უკანასკნელი კი იმდენად რეალურია, რომ წმინდა მთაზე გამგზავრებამდე აუცილებელია ფსიქოლოგიური განწყობის შექმნა, სწორედ იმ განწყობისა, რომელზეც ცნობილმა მეცნიერმა, დიმიტრი უზნაძემ აღიარებული თეორია ჩამოაყალიბა.

ამ განწყობითა და შინაგანი რწმენით 2004 წელს მე და საბერძნეთში საქართველოს საელჩოს თანამშრომლებმა, საქართველოს საპატრიარქოსთან ერთად, მისი უწმინდესობის ვიზიტზე მუშაობა დავიწყეთ. ოფიციალური პროგრამა ორ ნაწილად იყოფოდა: პატრიარქის ჩაბრძანება საბერძნეთში და ვიზიტი ათონის მთაზე.



საქართველოს პატრიარქი ილია II და ათონის მთავარეპისკოპოსი ხრისტოდულოსი სასულიერო პირებთან ერთად ათენში

ქართულ-ბერძნული საეკლესიო ურთიერთობებიდან გამომდინარე, საქართველოს პატრიარქის ჩასვლას საბერძნეთში განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა, მაგრამ, ჩემი აზრით, გაცილებით მნიშვნელოვანი იყო პატრიარქის ვიზიტი ათონის წმიდა მთაზე.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, მიუხედავად პატრიარქთა დიდი სურვილისა, ათონის მთაზე ჩასვლა და ივერონის მონასტერში დაბრძანებული ღვთისმშობლის ხატის, პორტაიტისას – კარიბჭის მცველის ნახვა და მოლოცვა ვერავინ შეძლო. საქართველოს ეკლესიამ რამდენჯერმე სცადა, ქართული სასულიერო მისია ჩასულიყო ათონის მთაზე, მაგრამ არაერთი მიზეზის გამო ეს ვერ მოხერხდა. მხოლოდ ილია მეორემ აღასრულა ქართველ პატრიარქთა ოცნება და 2004 წელს ფეხი დაადგა ათონის წმიდა მიწას. სწორედ მან შეძლო ივერონის ხატის მოლოცვა, ქართველი მორწმუნეების დიდი გრძნობების, რელიგიური მისწრაფებებისა და სიყვარულის ჩამოტანა ამ წმიდა მთაზე.

ის, რაც უთუოდ უნდა მომხდარიყო, მოხდა 2004 წლის გაზაფხულზე, 21-24 მაისს. მჯერა, ეს გაზაფხული დარჩება საუკეთესო და დაუვიწყარ პერიოდად ჩვენი პატრიარქის ცხოვრებაში, ვინაიდან ის დღეები იყო მისი სულის გაზაფხული; გაზაფხული მარადიული სიყვარულისა და სიხარულისა.

ჩვენი პატრიარქის ივერონის ღვთისმშობლის ხატთან შეხვედრას ასეც დავარქვი: „ათონი – პატრიარქის გაზაფხული“.

### **გზა ათონისკენ**

2004 წლის 4 მაისს საქართველოს პატრიარქი და მისი თანმხლები სასულიერო პირები ათენიდან სალონიკში გაემგზავრნენ. მხოლოდ სალონიკის გავლით შეიძლება ჩახვიდე საავტომობილო გზით ურანოპოლ-

ში და ამ პატარა ქალაქიდან გაემგზავრო ზღვით ათონის მთაზე.

იმავე საღამოს პატრიარქს სალონიკის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში ელოდნენ ბერძენი სასულიერო პირები და სალონიკში მცხოვრები ქართველები... ამ ადამიანებისთვის, რომლებიც ქვეყანას, ოჯახსა და ახლობლებს არიან მოწყვეტილნი, განსაკუთრებული შემთხვევა იყო მის უწმინდესობასთან შეხვედრის შესაძლებლობა.

წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიას რომ მივუახლოვდით, საოცარი სანახაობა დაგვხვდა: ასობით ქართველს ანთებული სანთლები ეჭირა. ეკლესიის გარშემო, მიუხედავად საღამო ხანისა, უჩვეულო ნათელი იდგა. აქ შეკრებილთ, რომელთა სახეებზეც იმედი და სიხარული იკითხებოდა, ყველაზე მეტად სჭირდებოდათ ღვთის კაცთან სიახლოვე. ყველაფერი ერთად – ცრემლი, სევდა, სიხარული, იმედი და სიყვარული მოიტანა პატრიარქთან შეხვედრამ. უწმინდესმა გაოცება ვერ დამალა – არც მას და არც ჩვენ არ გვეგონა, რომ ეკლესიასთან ამდენი ქართველი შეიკრიბებოდა.

ტაძარში შესვლისთანავე პატრიარქს ბერძენი სასულიერო პირები მიეგებნენ და საკურთხეველში მიიწვიეს. მისმა უწმინდესობამ მოილოცა ტაძრის ხატები, დალოცა ბერ-მონაზვნები და როდესაც ეკლესიაში მყოფი ხალხისკენ შემობრუნდა, მრავლისმთქმელი სიწმინდე ჩამოწვა. ყველანი ვუყურებდით პატრიარქს, რომლის სახეზეც დიდი სევდა აღბეჭდილიყო. მან ყველაზე უკეთ იცოდა, თუ რას განიცდიდნენ სამშობლოდან გადახვეწილი მისი სულიერი შვილები. ტაძრის ყველა კარი ღია იყო და გარეთ შეკრებილებსაც შეეძლოთ მოესმინათ მისი უწმინდესობისთვის. ილია მეორემ მიმართა მრევლს, გაამხნევა, ანუგეშა და მათ სამშობლოში დაბრუნების იმედი ჩაუსახა...

21 მაისს, დილის 10 საათზე, პატრიარქმა ჩვენი მოგზაურობა დალოცა და ურანოპოლისკენ დავიძარი, – ასე დაიწყო გზა ათონის მთისკენ...

*დიდი ლავრა*



**წმიდა ათანასე ათონელის განსასვენებელთან**

ათონზე პირველი სამონასტრო კომპლექსი, რომელსაც საქართველოს პატრიარქი და თანმხლები სასულიერო მისია ესტუმრნენ, დიდი ლავრა იყო. სამონასტრო კომპლექსი, რომელიც X საუკუნეში, 963 წელს ათანასე ათონელმა ააგო, იერარქიით უპირველესი მონასტერია ათონზე. დიდმა ლავრამ დაუდო საფუძველი სხვა სამონასტრო კომ-

პლექსების აგებასა და განვითარებას. ეს მონასტერი სიდიდითაც გამორჩეულია. მის ტერიტორიაზე, მთავარი ეკლესიის გარდა, არაერთი მცირე ზომის სალოცავია აშენებული.

ჩვენი დელეგაციის ჩასვლის პერიოდში დიდ ლავრაში 50-ზე მეტი ბერი მსახურობდა. დიდი ლავრის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი პროდრომოსი სიხარულით შეეგება ქართველ პატრიარქსა და თანმხლებ დელეგაციას.

დავათვალე რეთ სამონასტრო კომპლექსი, მოვილოცეთ დიდი ლავრის სიწმიდეები და ვნახეთ უნიკალური ხელნაწერები. სადამოს უამს იღუმენმა ტრაპეზზე მიგვიწვია; საუბარი შეეხო ქართული ეკლესიის მჭიდრო კავშირს მსოფლიო საპატრიარქოსთან და ასევე აღინიშნა, რომ ათონის მთაზე პატრიარქის სტუმრობა ამ ურთიერთობების განამტკიცებელი მოვლენა იყო.

უნდა გავიხსენო ამბავი, რომელიც არასდროს დამავიწყდება. ტრაპეზის შემდეგ, როდესაც იღუმენმა სტუმრებისთვის განკუთვნილ დარბაზში მიგვიწვია, პატრიარქმა მას უთხრა, რომ სურვილი ჰქონდა, დიდი ლავრის დედაეკლესიაში დილით ღვთისმსახურება ქართულად ჩატარებინა. მკაცრი სახე მიიღო იღუმენმა, როდესაც ეს მოისმინა. მორიდებით, მაგრამ მტკიცედ თქვა უარი. ამის შემსწრე უზომოდ შევწუხდი, თუმცა არ შევძმინე და მზერა უწმინდესისკენ გადავიტანე. მან ჩვეული სიდინჯით, დაბალი და ტკბილი ხმით, ღიმილით მიმართა იღუმენს:

– იფიქრეთ, იფიქრეთ და დილით მითხარით. თქვენს პასუხს დაველოდები.

გამთენიისას, როდესაც ეკლესიისკენ მივდიოდით, დიდი ლავრის ეზოში ორი ბერი შემომეგება და მამცნო, რომ პატრიარქი წირვას იწყებდა. იმავე წუთს უკვე ტაძარში ვიყავი. წინამძღვარმა, რომელიც წინა სადამოს

კატეგორიული იყო, დილით პატრიარქს გულთადად შეუთვალა, რომ შეეძლო, ღვთისმსახურება ქართულად ჩაეტარებინა. ეს იყო პირველი ქართული საღმრთო ლიტურგია პატრიარქისა ათონის წმინდა მთაზე.

*ივერონი. ათონის ივერთა მონასტერი*

ათონზე მოგზაურობის მეორე დღეს პატრიარქი და საპატრიარქოს დელეგაცია ნანატრ ივერონს ესტუმრნენ. მახსოვს, როგორ შევიკრიბეთ ივერონის მთავარ შესასვლელთან, სადაც მონასტრის წინამძღვარი და ბერძენი ბერები შემოგვეგებნენ. ყველანი აღელვებული და ემოციურად სავსე ვიყავით. რათქმა უნდა, ათონზე ყველა მონასტერს განსაკუთრებული მისია აკისრია, მაგრამ ივერონი ქართველთათვის ყველაზე ამადლებული და მნიშვნელოვანია. როდესაც ივერონის შიდა ეზოში შევედით, მთელი დელეგაცია გულისყურით ათვალიერებდა ამ ისტორიულ მონასტერს, რომელშიც იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები მოღვაწეობდნენ. სწორედ ივერონში ჩაუყარეს მათ საფუძველი ქართული კულტურის, მეცნიერებისა და სულიერების ეპოქალურ განვითარებას. X საუკუნის ბოლოს ივერონი საზღვარგარეთ ქართული სულიერების ცენტრად იქცა...

ემოციური იყო ივერთა მონასტრის დედაეკლესიაში ჩვენი შესვლა. ისეთი განწყობა დაგვეუფლა, თითქოს მონასტერში ქართველთა აქ ყოფნის დროიდან წყვეტაც კი არ ყოფილა. უნატიფესი ფრესკებით მოხატული ივერონის მონასტერი დღესაც შთამბეჭდავი სანახავია. მონასტრის ფრესკული მხატვრობა იმდენად კარგად არის შემონახული, რომ განსაკუთრე-

ბულ აღდგენას არ საჭიროებს. მონასტრის დათვალიერების შემდეგ კელიებში დავბინავდით და საღამოს ტრაპეზისთვის მოვემზადეთ. საზეიმო ტრაპეზზე პატრიარქმა დალოცა ივერონი, იქ მცხოვრები ბერები და, რათქმა უნდა, ქართული დელეგაციის წევრები. კარგად მახსოვს პირველი მსახურება ივერონში, რომელიც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ დელეგაციის წევრებმა დროის ხანგრძლივობა ვერ ვიგრძენით. თითოეული ჩვენგანი გახდა პატრიარქის მიერ ივერთა მონასტერში აღვლენილი ისტორიული წირვის მონაწილე. საგულისხმოა, რომ ლიტურგიის დროსაც კი იგრძნობოდა ქართული სასულიერო დელეგაციის მიმართ უდიდესი პატივისცემა და მორიდება ბერძენი სასულიერო პირების მხრიდან.



ათონის ივერთა მონასტრის დედაეკლესია, X საუკუნე



უწმიდესი ათონის მთაზე ივერიის ღვთისმშობლის („პორტაიტისა“) ხატთან



ათონის წმიდა მთაზე ბერძენი ბერ-მონაზვნების ისტორიული დომინანტობის მიუხედავად, შინაგანი რწმენით ივერონი მათ ქართულ მონასტრად მიაჩნიათ.

წირვის შემდეგ პატრიარქისთვის დადგამეტად ამაღელვებელი მომენტი – მას ივერიის ღვთისმშობლის წმინდა ხატი უნდა მოელოცა. მათ, ვისაც არ უნახავთ ივერონის მონასტერი, მინდა ვამცნო, რომ ღვთისმშობლის ხატს ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ მცირე ზომის სამლოცველო აუგეს მონასტრის კარიბჭესთან.

პატრიარქი, მეუფე იობი, მეუფე სერგი, მეუფე გერასიმე, მეუფე თეოდორე, მეუფე საბა, მეუფე ზენონი, მამა გიორგი ზვიადაძე, მამა დემეტრე, მამა ელიზბარი და მამა სინესი, ასევე საპატრიარქოს მგალობელთა არაჩვეულებრივი გუნდი და მომლოცველები ივერონის კარიბჭესთან აშენებულ მცირე ზომის სალოცავთან შევიკრიბეთ. ბერძენმა ბერებმა გაგვიღეს კარი და გამოჩნდა ივერიის ღვთისმშობლის ხატი...

ხატი, რომლის ნახვა და მოლოცვა ქართველ პატრიარქთა ოცნება იყო...

ხატი, რომელიც არა მარტო ივერონის, არამედ ათონის მთის სიმბოლოცაა...

საპატრიარქოს გუნდის ბრწყინვალე ხმების ფონზე ჩვენ ვიხილეთ ის, რაც აქამდე არავის უნახავს; პატრიარქი ეახლა და ეამბორა ივერიის ხატს. შევამჩნიეთ მის სახეზე ჩამომდინარე ცრემლები, – ხატთან შეხვედრის სიხარულის ცრემლები...

ეს იყოს ღვთისკაცისა და ივერიის ღვთისმშობლის ხატის შეხვედრა, რომელიც იქ მყოფ სასულიერო და საერო პირებს დიდხანს გვემახსოვრება.

ასეთი ამაღლებული განწყობით მოვინახულეთ ივერონის საცავი, სადაც ექვთიმე მთაწმინდელის ხელნაწერი სახარება და თორნიკე ერისთავის ჯაჭვის პერანგი ინახება. საცავში შესვლა ყველასთვის აკრძალულია,

მაგრამ ჩვენთვის, როგორც პატრიარქის თანმხლები პირებისთვის, გამონაკლისი დაუშვეს და ვნახეთ უნიკალური საგანძური, რომელიც ივერონს და, ამავე დროს, საქართველოს ეკუთვნის. რაიმეს გადაღება, სამწუხაროდ, ვერ შევძელით – ბერძენმა ბერებმა ფოტოაპარატი შენობაში არ შეგვატანინეს. სწორედ მაშინ ჩავიფიქრე, რომ კიდევ ერთხელ ჩამოვსულიყავი ათონზე და ის, რაც ასე ძვირფასია ქართველებისთვის, ფირზე აღმებეჭდა.

საცავში უამრავი ქართული ხელნაწერი, გიორგისა და ექვთიმეს დროინდელი ნივთები, სამოსი, უნიკალური ხატები, წიგნები და სხვა საეკლესიო ნივთები ვნახეთ. თითოეული მათგანი სათუთად არის მოვლილი და ბერებს ვაღდეულებოდა აკისრიათ, ყოველდღიურად მიაქციონ ყურადღება ამ უნიკალურ მემკვიდრეობას.

*ივერიის ღვთისმშობლის ხატი, „პორტაიტისა“*

ათონის მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატი – „პორტაიტისა“ ერთ-ერთი ყველაზე ძველი და მნიშვნელოვანი ხატია. გადმოცემით, მისი ისტორია იწყება ხატმებრძოლობის პერიოდში. ღვთისმშობლის ხატი მორწმუნე ბერძენი ქალის სახლში ინახებოდა. იმის შიშით, რომ მეფის ჯარისკაცები ხატს გაანადგურებდნენ, ქალმა ხატი ზღვაში შეაძურა და ღვთისმშობელს თავისი ოჯახის დაცვა შესთხოვა. გადმოცემის მიხედვით, ხატი წყალზე ვერტიკალურად აღიმართა და ზღვის დინებას გაჰყვა. ამ ქალის შვილი, რომელიც ამ ამბავს შეესწრო, საბერძნეთში, ათონის მთაზე წავიდა და ბერად აღიკვეცა. იმ ადგილას, სადაც ბერი ცხოვრობდა, მისი გარდაცვალების შემდეგ ივერთა მონასტერი დაარსდა.

ამავე გადმოცემის მიხედვით, ერთ საღამოს ბერებმა ზღვაში სინათლის სვეტი დაინახეს. ისინი დაუყოვნებლივ გაემართნენ ნაპირისკენ, სადაც ღვთისმშობლის ხატი იხილეს. მათ რამდენჯერმე სცადეს ხატის ნაპირზე



**ღვთისმშობლის ხატის გამობრძანება წმიდა გაბრიელ ათონელის მიერ. ივერონის მონასტრის ფრესკა**

გამოტანა, მაგრამ ამოდ – რაც უფრო უახლოვდებოდნენ, ხატი უკან იხევდა და ბერებს მიახლოების საშუალებას არ აძლევდა.

ათონზე მცხოვრები ქართველი ასკეტი გაბრიელი აღმოჩნდა ის ბერი, რომელსაც ძილში ღვთისმშობელი გამოეცხადა და უთხრა, რომ მხოლოდ მას შეეძლო ზღვაზე გაეწლო, გამოებრძანებინა ხატი ნაპირზე და ივერონის ქართველთა მონასტერში დაებრძანებინა. ბერმა გაბრიელმა შეასრულა ღვთისმშობლის სურვილი, ხატი ზღვიდან გამოაბრძანა და ივერონის ეკლესიაში, საკურთხეველში დააბრძანა.

გამთენიისას, როდესაც ბერები ეკლესიაში სალოცავად შევიდნენ, საკურთხეველში ხატი ვეღარ იხილეს. ერთ-ერთმა ბერმა ღვთისმშობლის ხატი კარიბჭის კედელზე აღმოაჩინა. ბერებმა ხატი ისევ ეკლესიაში გადააბრძანეს. ასე განმეორდა რამდენჯერმე.

ღვთისმშობელმა ისევ ქართველ ბერს, გაბრიელს ამცნო, რომ ივერთა მონასტერში ხატი იმიტომ მოვიდა, რომ დაიცვას ივერონი და მისი მკვიდრნი:

„მნებავს, რომ არა თქვენ მიცავდეთ მე, არამედ მე გიფარავდეთ თქვენ არა მხოლოდ ამქვეყნად, არამედ სამუდამოდ და სანამ ჩემი ხატი ამ სავანეში იქნება, არ მოგაკლდებათ მადლი და წყალობა ძისა ჩემისა იესო ქრისტესი“.

გაოცებულმა ბერებმა გაბრიელის თხოვნით შეწყვიტეს ხატის გადაადგილება და ივერონის მონასტრის კარიბჭესთან ააგეს ეკლესია, რომელშიც ივერიის ღვთისმშობლის ხატი დააბრძანეს.

ბერძენები მას „პორტაიტისას“, ანუ „კარიბჭის მცველს“ უწოდებენ („პორტა“ ბერძნულად კარს ნიშნავს). დღესაც, ათი საუკუნის შემდეგ, ეს დიდებული ხატი იცავს ივერონის მონასტერსა და ათონის მთას.

### *ქსეროპოტამი*

ივერონის შემდეგ პატრიარქი თანმხლებ პირებთან ერთად ქსეროპოტამის მონასტერს ეწვია. ცნობილია, რომ ათონის მონასტერთა შორის ქსეროპოტამი მკაცრი განაწესით გამოირჩევა. ათონზე ჩასული მომლოცველები, თუ წინასწარ არ აცნობებენ მონასტრის წინამძღვარს, ვერც მონასტერს დაათვალიერებენ და ვერც ღამის გათევას შეძლებენ.

პატრიარქმა ერთობლივი მსახურება ჩაატარა ქსეროპოტამის წინამძღვართან, არქიმანდრიტ იოსებთან ერთად. პატრიარქსა და ეპისკოპოსებს თარჯიმნობას ქართველი დიაკვანი, მკაცრი მონასტრის მკაცრი

ღვთისმსახური, მამა პეტრე უწევდა. მამა პეტრეს მონასტრის იღუმენი და ბერ-მონოზენები დიდ პატივს სცემენ. ქსეროპოტამში ორი ქართველი ბერია, რომლებიც ათწლეულზე მეტია, ამ მონასტერში ცხოვრობენ.

2004 წლის გაზაფხულზე, მისი უწმინდესობის, ილია მეორის ხელმძღვანელობით, საქართველოს საპატრიარქოს დელეგაციის ვიზიტი საბერძნეთში საკმაოდ ხანგრძლივი და დატვირთული იყო. პატრიარქმა მოილოცა ათენის ეპარქიის ყველა მნიშვნელოვანი სასულიერო ადგილი. მთავარეპისკოპოსი ხრისტოდულოსი განსაკუთრებული სიყვარულით შეხვდა საქართველოს პატრიარქს.

ერთობლივმა წირვამ, რომელიც ათენის საკათედრო ტაძარში ჩატარდა, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა იქ მყოფზე. ეკლესია სავსე იყო ქართველი და ბერძენი მრევლით. პატრიარქმა და მთავარეპისკოპოსმა შეძლეს, წირვის დროს მათი ურთიერთგანწყობა იქ მყოფი ხალხისთვის გადაეცათ. ბერძნების მხრიდან გამოჩენილმა კეთილგანწყობამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ საქართველოს ეკლესიას განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მართლმადიდებლურ სამყაროში.

**პატრიარქის შეხვედრა ქართველებთან ათენში**

პატრიარქმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ათენში მცხოვრებ ქართველებთან შეხვედრას. სასტუმროში, სადაც უწმინდესი ცხოვრობდა, მიღებათა დარბაზში უამრავი ქართველი შეიკრიბა. გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ მათგან უმეტესობა ქალი იყო. ასეთი ყოფილა ხვედრი ქართველი ქალისა... ჩვენში ქალი ხომ ოჯახის ძლიერების სიმბოლო იყო მუდამ და ასეა ახლაც. საბერძნეთში თავდაუზოგავი შრომით ისინი თავიანთ ოჯახებს ინახავენ და ნათესავ-ახლობლებს ეხმარებიან...

ილია მეორემ მიმართა ქართველებს, დიდი სიყვარულით მოეფერა მათ და იმე-

დიანი ხმით უთხრა იქ მყოფთ: „თქვენ უნდა დაბრუნდეთ თქვენს ქვეყანაში, საქართველო გელოდებით თქვენ, საკუთარ შვილებს და ღმერთს შევთხოვ, რომ ეს მალე მოხდეს!“

ღიმილი, ცრემლი, გაბრწყინებული თვალები და სიხარული – ყველაფერი ეს თან ახლდა პატრიარქისა და ქართველების შეხვედრას. ემიგრანტებმა პატრიარქს თავიანთი ნახელა-



**პატრიარქის მსახურება ივერთა მონასტერში**

ვი საჩუქრებიც გადასცეს და შეხვედრა, რომელიც ორმოც წუთში უნდა დასრულებულიყო, საათ-ნახევარს გაგრძელდა.

იქ, სადაც სიყვარულია, დრო სწრაფად გარბის...

**ზვიად ჭუმბურიძე, საქართველოს ელჩი საბერძნეთში 2003-2007 წ.წ**

ხარება

ელისაბედის ფეხმძიმობიდან მეექვსე თვეს ქალაქ ნაზარეთში, იოსების სახლში, ღვთისგან მოივლინა გაბრიელ მთავარანგელოზი და ქალწულ მარიამს ახარა ხარება დიდებული, საკვირველი, ენით გამოუთქმელი და გაუგონარი, ყველა სიკეთის თავი და დასაბამი. სად, როდის და როგორ მოხდა ხარება? წყაროსთან, როცა ქალწული ლოცვასა და მარხვა-

ნასწარმეტყველმა: „ღმერთი შეეწევა მას გარიჟრაჟზე“ (ფსალ. 45: 6).

რა დიდებული იყო მთავარანგელოზის სიტყვები და რამდენი საიდუმლოებით სავსე! „გიხაროდეს, მიმადლებულო!“. „გიხაროდეს“ ითქვა თავდაპირველი წუხილისა და რთული, მძიმე განაჩენის გაუქმებისთვის და ახალი მადლისთვის, ადამიანის ცნობიერებას რომ მიენიჭა; ხოლო „მიმადლებულო“ ითქვა ქალწულის სათნოებათა სიმდიდრისა და იმ მადლის გამო, რომელიც მასზე გადმოვიდოდა; ეს იყო მისი მზითვენიშნობა უკედავი სიძისა და ძველი წყევლის გაუქმება, რომელიც პირველი დედის (ევას) ცდუნებისა და ურჩობის მეშვეობით შემოიჭრა ჩვენში; ეს იყო მტანჯველი დარდის ნაცვლად მარადიული სიხარულის მოცემა და უქორწინებელი რძლის სიმდიდრის მაუწყებელი – ორივე იქადაგა მთავარანგელოზმა ამ სიტყვებით და დაუმატა: „უფალი შენთანაა!“ – ეს კი სიმდიდრის სრულყოფაა, ესაა აღთქმის შესრულება და თავად ღმერთის სიტყვა და სიტყვაზე უმეტესი შევიდა ქალწულის საშოში და ადამიანობა შეიერთა, – თესლით კი არა, უხენაესის ძალით და სულიწმინდის მოსვლით. თვითონ იყო ამ ორი ბუნების შემაერთებელი და წყალობით ადამიანის ბუნებასთან შეერთებული; თვითონ ააგო თავისი თავისთვის სხეულის ტაძარი, როგორც საჭიროდ მიიჩნია; ეს სიტყვები – „უფალი შენთანაა!“ – იმ თავდაპირველი წყევლისაგან გამომხსნელი იყო, რაც ქალებს ჰქონდათ დაწესებული, რადგან ქალი მამაკაცის ბრძანებას უნდა დამორჩილებოდა, ტანჯვითა და ტკივილით მშობიარობა პირველი ურჩობის გამო დაუწესდა, როგორც ამოწმებს ამას წინასწარმეტყველი, მშობიარობის დრო რომ მოდის, ტკივილებსაგან გასძახის და ქალის მონობასა და ტანჯვას დასასრული არ უჩანდა. როცა მთავარანგელოზმა წმინ-



წმიდა მამსიგე აღმსარებელი

ში იყო, რადგან წყარო სიცოცხლისა უნდა ჩასახულიყო მასში. პირველი თვე იყო, როცა ღმერთმა ყველაფერი შექმნა, რათა გვაუწყოს, რომ დაძველებულ სამყაროს თავიდან განაახლებს; დღე იყო კვირა – კვირის (შვიდეულის) პირველი დღე, როცა თავდაპირველი სიბნელე დაირღვა და პირველი სინათლე გაჩნდა და როცა მოხდა მისი ძისა და მეუფის საფლავიდან აღდგომა, ჩვენი ბუნების აღდგინებასთან ერთად; მარტო დღე კი არა, უამც (დღის მონაკვეთი) პირველი იყო, როგორც თქვა წი-

და ქალწულს უთხრა: „უფალი შენთანაა!“, მწუხარება გაქრა. „უფალი შენთანაა!“ და აღარ ბატონობს შენზე მამაკაცი, არც შობის ტკივილი, რადგან ჭეშმარიტად მხოლოდ ის იყო ქალწული, შობამდეც, შობის დროსაც და შობის შემდეგაც, ის იყო მარადის უბიწო ქალწული და არა მარტო მარადიული ქალწულების მაღლი მიეცა, არამედ ვისაც ქალწულება სურს, იმათ წინამძღვრადაც იქცა; მანამდე ქალს ქალწულების დაცვა არ შეეძლო, ხოლო სანატრელისა და მარად კურთხეული ქალწულის, მარიამ ღვთისმშობლის წინამძღვრობითა და მისი მიზეზით, ვისაც სურს, შეუძლია ქალწულება დაიცვას, რადგან ის არის ყველა სიკეთის მიზეზი და წინამძღვარი მამებისა და დედებისა – ყოვლადწმინდა და დიდებული დედა ღვთისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესი, – ისაა ადამიანთა ბუნების საგალობელი სამკაული და ანგელოზთა სიხარული და შემწე და შუამდგომელი ყოველი მორწმუნისა.

ბოლო სიტყვები მთავარანგელოზისა კი სრულყოფილი და მოკლე იყო: „კურთხეული ხარ შენ დედათა შორის“ (ლუკ. 1: 28). ე.ი. ის ყოველ დედაზე უმეტესი; რადგან ისინიც – სხვა დედები – შენ გამო ეღირსებიან კურთხევას ისევე, როგორც მამები შენი ძის მიერ, ანუ ორივენი – კაცებიც და ქალებიც – იკურთხებიან ორივე თქვენგანისგან, შენგან და შენი ძის მიერ. ისევე, როგორც ადამისა და ევასგან კაცებსაც და ქალებსაც წყევლა, ტკივილი და წუხილი მიესაჯა, ასევე ყველას მოეფინა სიხარული და კურთხევა შენგან და შენი ძისგან.

ნახეთ წმინდა ქალწულის გონიერება, სიბრძნით სავსე ბუნება და პასუხი: არც აშკარად შეეწინააღმდეგა და არც უცებ მიიღო მისი ნათქვამი; ევას უწესო და უჭკუო მორჩილებასაც აარიდა თავი და ზაქარიას გადამეტებულ ურწმუნობასაც; ზომიერება აირჩია და ბუნებრივია, შეკრთა, ოღონდაც მთავარანგელოზის დანახვისგან კი არა – მის ნახვას შეჩვეული

იყო, რადგან მას მოჰქონდა მისთვის საზრდელი – არამედ მისმა ნათქვამმა შეაკრთო. ამიტომ ამბობს მახარებელი, მთავარანგელოზის სიტყვებმა შეაძრწუნა და ფიქრობდა, ნეტავ ეს მოკითხვა რას უნდა ნიშნავდესო? (ლუკა 1: 29). მან ჯერ კიდევ არ იცოდა საიდუმლოს მთელი სიდიადე, აშინებდა ღვთაებისა და ადამიანის ბუნებათა თანაზიარება და ფიქრობდა, როგორ უნდა მომხდარიყო ეს. საკვირველმა მახარებელმა, გაბრიელმა, როგორც გონებით გონების მჭკრეტელმა, მარიამის ნათქვამისგან დამოუკიდებლადაც კარგად დაინახა მისი განცდები და მარტო შიში კი არ გაუფანტა, არამედ დიდი სიხარული მიანიჭა და გამოუთქმელი შობის შესახებაც განუმარტა: „ნუ გეშინია, მარიამ, რადგან მაღლი მოიპოვე ღვთის წინაშე“ (ლუკ. 1: 30). ნამდვილად დიდი მაღლი მოიპოვა მარიამმა, რადგან ღმერთის მხოლოდშობილი ძის დედა გახდა. ჰოი, მაღლი უზენაესი მაღლისა, რომელსაც გონება ვერ შესწვდება, ენა ვერ გამოთქვამს!

ჩვენ კი უქორწინებელი რძლის დიდება და მისი ქალწულების მზითვეი გავიზიაროთ, მთავარანგელოზმა რომ გამოუცხადა მას მოკლედ და აშკარად: „აი, დაორსულდები და ვაჟი შეგეძინება და დაარქმევ თავის სახელს – იესოს!“ (ლუკ. 1: 31). უმამოა მისი შობა, რადგან არ ჰყავს მას მამა ამქვეყნად. ამიტომაც უმამოდ გააჩენ მას და დაარქმევ „იესოს“, რაც მაცხოვარს ნიშნავს. არ შეგეხება შენ მშობიარობის ტკივილები, რადგან როგორც ჩასახვა თესლის გარეშე იყო, ისე მშობიარობაც ტკივილის გარეშე, მთელი სამყაროს გადასარჩენად იქნება, რასაც მისი სახელიც გამოააშკარავებს. მას ეწოდება „დიდი“ და „ძე უზენაესისა“ (ლუკ. 1: 32), მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ სხეულითაა ერთიანი, არამედ ზეციდანაც ასე ეწოდება მისი სასწაულების დასამოწმებლად, რადგან შენ უწოდებ მას იესოს, ხოლო ამის მერე მამა ზეციერი უწოდებს მას „საყვარელ ძეს“ და როდესაც უამრავ სასწაულს მოახდენს, ყველა ჭკუათმყოფე

ლი მიხვდება, რომ ის არის უზენაესის ძე და ღმერთი მას მისცემს მამამისის, დავითის ტახტს (ლუკ. 1: 33) – ეს მისი (ქრისტეს) ადამიანური ბუნების გამოა ნათქვამი, რადგან აქედან იწყება სახარების ქადაგება და მისი სახელის მიღება იმ მორწმუნეთაგან, რომელთაც „დავითის ტახტად“ და „იაკობის სახლად“ მოიხსენიებს: „იაკობის სახელზე სამუდამოდ იმეფებს და მის მეფობას დასასრული არ ექნება“ (ლუკა. 1: 33). – ეს ნათქვამი (იესოს) მარტო ღვთაებრივ ბუნებას კი არ ეხება, არამედ ადამიანურსაც, რადგან მისი მეფობა ორივე ბუნებითაა მათთვის, ვინც ის სარწმუნოებით მიიღო, ვინც მისი სიტყვები ირწმუნა, ხოლო სულ ბოლოს – როდესაც ყველა მას დაემორჩილება, ის ყველას მეუფე გახდება; ამას ამბობს პავლე მოციქული, რომ მან უნდა იმეფოს, ვიდრე თავის ფეხქვეშ მოიქცევდეს მტრებს. როცა ყველა მას დაემორჩილება, მაშინ თვითონ ძეც დაემორჩილება იმას, ვინც ყველაფერი მას დაუმორჩილა – მამასა და ღმერთს (1 კორ. 15: 25-28), რადგან ჩვენს ბუნებაში ჩადებულია მორჩილება იმისადმი, ვინც ჩვენს ცხოვრებას და ჩვენს საქმეებს განაგებს.

იხილეთ სანატრელი და ყოვლადწმინდა ქალწულის სიბრძნე და მეტისმეტი სიყვარული ქალწულებისა. მთავარანგელოზის ნათქვამი კი მიიღო, მაგრამ ამ ამბით გაოცებული იყო, ამიტომაც უთხრა: ეს როგორ მოხდება, მე ხომ მამაკაცი არ შემიცნიაო? (ლუკ. 1: 34) და ასეც უნდა იყოს, რადგან ღმერთისთვის შემიწირავს უბიწოება, ხოლო ჩასახვა შეუძლებელია მამაკაცის გარეშე; ეს იყო შიში და დარდი, ვაითუ ქალწულების დაკარგვას აუწყებდა (მთავარანგელოზი), მას კი მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი სიკვდილამდე ქალწულების დაცვა; ამას გვამცნობენ წმინდა მამები, რომ არათუ საქმით, ფიქრითა და სურვილითაც კი არაფერი იცოდა მან (მარიამმა) ქორწინების შესახებ, რადგან თავიდანვე სულით და ხორციით სიწმინდით იყო აღზრდილი და არც მის გონებას და არც

მის ფიქრს ვნების მსგავსი არაფერი შეხებია; ამით იყო ის ყველაზე უკეთესი და ადამიანურ ბუნებაზე უპირატესი; ამიტომაც მოეწონა მისი სულის სიკეთე ყველაფრის გამჩენს, რომელიც გულს და გონებას ხედავს, ამიტომაც განწმინდა თავისი მომავალი სამყოფელი და მოისურვა მასში დაბინავება და მისგან ჩვენი (ადამიანური) ბუნების მიღება. ამიტომაცაა, რომ როგორც ნეტარი ლუკა მოციქული ამბობს, ქალწულს მისი მახარებელი და ერთ უთქმელი საიდუმლოს მაუწყებელი (გაბრიელი) გაკვირვებისაგან ათავისუფლებს და განუმარტავს: „სულიწმინდა გადმოვა შენზე და ძლიერის ძალა დაგიფარავს; შენ ამბობ, „ეს როგორ მოხდება, როცა მამაკაცი არ შემიცნიაო?“ – მამაკაცს აქ არაფერი ესაქმება, რადგან არც შენი საქმე ჰგავს სხვა ქალებისას და არც შენგან შობილის (ძის) საქმე იქნება იმათი მსგავსი, ვინც ურჯულობით ჩაისახებიან და ცოდვით იბადებიან; შენი ორსულობა ქალწულებას კი არ დაარღვევს, პირიქით, მის დასადასტურებლად, შენი სიწმინდის აღორძინებად იქცევა; რადგანაც შენთან, როგორც უფლის ღირსეულ რძალთან მოვა სულიწმინდა, რათა წაგიძღვეს და გაგწმინდოს და უფრო შეგამკოს შენ – თავიდანვე სიწმინდითა და სათნოებით შემკობილი; შენ დაგიფარავს უკვდავი სიძე და ძე შენი, – უზენაესი ძალა, რადგან ქრისტეა ღმერთის ძალა და მისი სიბრძნე, – თვითონ ის დაგიფარავს და შენში აიგებს თავისი სხეულის ყოვლადწმინდა ტაძარს; ის, – უნივთო და უსხეულო – შენგან მიიღებს ხილულ და ნივთიერ სხეულს (ხორცს), ძალა და სიკაშკაშე მამისა დაგიფარავს, მამის სიტყვა შენგან განხორციელდება – ღმერთი უხილავი ხილულ ადამიანად გამოჩნდება და მამის, ღმერთის ძე შენი ძე გახდება და უზენაესის ძედ იწოდება და შენი ქალწულება ხელუხლებელი დარჩება.

ჰოი, საკვირველი, დიდებული, გამოუთქმელი და მიუწვდომელი საქმენი! შეუდარებელი სასწაულია შენი საოცარი ორსულობა

და შობა, რომლის მსგავსი ამქვეყნად არ მოიძებნება; ამიტომ ნაკლები სასწაულით ეს უდიდესი სასწაული უნდა დაიჯერო და მიხვდეს, რომ შენი შვილი უზენაესის შვილი იქნება და რასაც მოისურვებს, ყველაფრის შესრულებას შეძლებს. აი, ელისაბედი – შენი ნათესავი, თავის სიბერისას დაფხმბიძა უკვე მეექვსე თვეა და ვისაც აქამდე ბერწი (უნაყოფო) ერქვა, ვაჟი შეეძინება, რადგან ღვთის წინაშე უძღურება არ არსებობს, რასაც ინებებს, მალევე ყველაფერს საქმით შეასრულებს. ასევე, დააკვირდი ქალწულის სიბრძნესა და სიწმინდის სიმტკიცეს: ვიდრე ეჭვობდა,



ხარების ფრესკა. უბისა

რომ მისი ორსულობა ბუნებრივად, მამაკაცისგან მოხდებოდა, ამას არ დათანხმდა; იკითხა, ეგ როგორ მოხდება, თუ მამაკაცი არ ვიცო? ხოლო თუკი მთავარანგელოზი ხარ და ზებუნებრივ საიდუმლოს მახარებ, მაშინ რა გზით მოხდება ეგ ორსულობა? ხოლო როცა მთავარანგელოზმა ახარა, რომ სულიწმინდა ეწვეოდა და ზეციური ძალა დაიფარავდა, როცა დარწმუნდა, რომ ღმერთისთვის შეუძლებელი არაფერია, კი არ გადიდგულდა ან გამედიდურდა, პირიქით, უფრო მეტი თავმდაბლობითა და მოწიწებით უპასუხა (მარიამმა): „აქ ვარ, უფლის მხევალი! ისე იყოს, როგორც შენ ამბობ!“ და წავიდა მისგან ანგელოზი, რადგან დაასრულა თავისი ბრძანების შესრულება და ქალწულის მშვენიერებისგან გაკვირვებული დარჩა. წმინდა ქალწულმა კი საიდუმლოდ შეინახა და მაშინ არავის უთხრა ხარების შესახებ, არც

იოსებს და არც სხვა ვინმეს. ამას ამოწმებს სახარება, რომელშიც ნათქვამია, რომ იოსებმა არაფერი იცოდა, ვიდრე ქალწულმა არ შვა ძე, თავისი პირმშო. როგორც ზოგიერთი წმინდა მამა განმარტავს, იოსებმა არ იცოდა არც ხარების საიდუმლო – ანგელოზის მიერ გაცხადებული – და არც ქალწულის ზებუნებრივი ორსულობა. ეს რომ სცოდნოდა, რატომღა დაეჭდებოდა და რატომ შერცხვებოდა მარიამის ორსულობისა? რატომ გადაწყვეტდა უჩუმრად მის გაშვებას, ვიდრე ანგელოზი არ ეჩვენა? ხოლო უფლის შობის სასწაული მას გამოეცხადა მწყემსთა ქადაგებით, მოგვების მოხვლითა და ვარსკვლავის წინამძღოლობით. კურთხეულმა ქალწულმა სწორედ ამის შემდეგ აუწყა მას მთავარანგელოზის ხარება.

წიგნიდან „ხარება. მირქმა“  
გამომცემლობა „ალილო“, თბ; 2016

### არმაზის საკვირველთმოქმედი ღვთისმშობლის ხატის ისტორია



არმაზის „წითელი“ ღვთისმშობლის ხატი

მცხეთის წმიდა ნინოს დედათა მონასტრის ფერისცვალების ტაძარში, სამთავროს „მიურულებელი მცველი ღვთისმშობლის“ მოპირდაპირე მხარეს, დაბრძანებულია არმაზის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ფერწერული ხატი („პორტაიტისას“ სასწაულთმოქმედი ღვთისმშობლის ხატის ასლი). დედა ღვთისას ხელში გვირგვინოსანი ყრმა იესო უჭირავს, შემოსილია წითელი ფერის მაფორიუმით და თავს

სადელოფლო გვირგვინი უმშვენებს. განსაკუთრებული წითელი ფერის შესამოსლის გამო ღვთისმშობლის ხატს სამთავროს მონასტერში „წითელი ღვთისმშობელი“ შეარქვეს.

ხატის ზურგზე არის ძველრუსული ვრცელი საქტიტორო წარწერა, რომელიც საინტერესო ცნობებს გვაწვდის შემწირველის, დამკვეთის, დაწერის თარიღისა და ხატის სასწაულთმოქმედი ღვთიური ძალის შესახებ; კერძოდ, გვაუწყებს, რომ ხატი დაწერილია ათონზე, ზეციური დელოფლის წილხედომილ მიწაზე, 1911 წლის 9 სექტემბერს. წმიდა მთაზე აღკვეცილი ღირსი მღვდელმონოზონი პავლე ჯაფარიძის გულმხურვალე თხოვნით ხატი არმაზის მონასტრისთვის შეუწირავს მთაწმიდის რუს მონოზონს, ვინმე დენასის. იგი უსასყიდლოდ გაუგზავნიათ ძველი არმაზის მიძინების მონასტრის წინამძღვრის, მაღალღირსი მღვდელმონოზონი მირიანისა და მისი ძმობისთვის: „კურთხევად ამა საგანისა, მასში მოღვაწე მონაზონთა, მის კეთილისმყოფელთა, მომლოცველთა, მასში მშრომელთა და ყველა იქ მყოფთა და მთელი საქართველოს მართლმადიდებელთათვის, მადლისმიერი შეწევნისა და დაცვისათვის ყოველგვარი ჭირისა და ბოროტებისაგან, ზედადასხმისა ყოველთა ხილულთა და



უხილავთა, საჩინოთა და უჩინოთა მტერთა მართლმადიდებლობისა და ქრისტიანობისა“.

ხატის საზურგე დაფაზე სამ ადგილას, ერთმანეთის გასწვრივ, ჰორიზონტალური მიმართულებით შეიმჩნევა ბაფთის ფორმის ხის ჩამაგრება, რომელშიც, ქტიტორთა უწყებით, ჩადებულია დიდი მადლის მქონე სიწმინდე და მინიშნებულია, რომ იგი საიდუმლოა და საუკუნოდაა დაცული.

ხატის წარწერა გვაუწყებს, რომ ყოველად წმიდა დედა ღვთისა შემწე და მეოხია ყველასი, ვინც წრფელი გულით მიეახლება და შემწეობას სთხოვს: „ყოვლადწმიდა, უფროსად კურთხეული, ყოვლადუბიწო და მარადქალწული დედოფალი ღვთისმშობელი ეყოს მოწყალე ყოველთა რწმენით მისდამი შევრდომილთა ამა ხატის წინაშე მლოცველთა და მსწრაფლშემსმენელი მათთა ვედრებათა, მკურნალი ავადმყოფთა და ჭირვეულთა, მანუგეშებელი მწუხარეთა და მტირალთა, მომაქცეველი გზააბნეულთა, წინამძღვარი სწავლულთა და უსწავლელთა, მფარველი ობოლთა, ქერივთა, მოხუცებულთა და ყოველთა ჩაგრულთა და უმწეოთა და ყოვლისშემძლე შუამდგომელი თვისი ძისა და ღვთის წინაშე ამა სავანის აღდგენისა და კეთილმოწყობისათვის“.


ხატი ლოცავს არმაზის სავანეს და მას შინა მშრომელთა და მოღვაწეთა: „მიანიჭოს მას ყოველი საჭირო სახმარი უხუებით, უამი მშვიდობისა, ნაყოფიერება მიწისა და კეთილშეზავება ჰაერისა. ხოლო მონაზონთა და ყოველთა მას შინა მყოფთა მშვიდობითნი ცხოვრება და წმიდათა თანა მკვიდრობა“.

ხატის ზურგი სოგმანებს შუა შეგული ხაზით ორ თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი: პირველ ნაწილში მოქცეულია ზემომოყვანილი რუსულენოვანი წარწერა, მეორეში კი თანამედროვე ქართულით მოცემულია შემდეგი შინაარსის ტექსტი: „გადმოსვენებულ იქნა არმაზიდგან ჩ შ ი თ (1919) წელსა, იენისის კ გ (23) დღესა, მცხეთის მონასტერში ორშაბათს“.

საფიქრებელია, რომ ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი სამთავროს დედათა მონასტერში არმაზის სავანის დახურვის შემდეგ დაცვის მიზნით გადააბრძანეს, ვინაიდან სამთავროს მონასტერი იმ პერიოდში ერთადერთი მოქმედი დედათა სავანე იყო.

ხატს ერთგულად უპატიონეს სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის მონოზენებმა და „მყუდრო ნავთსაყუდელს“ შეაფარეს უდიდესი სიწმიდე.

და აი, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, 2017 წლის 23 იენისის, არმაზის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სავანეში მობრძანების დღეს, დედა ღვთისამ ინება, რომ კვლავ თავის ადგილსამყოფელს დაბრუნებოდა. სამ-



ხატის ზურგის წარწერა



არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე) და არქიმანდრიტი ზოსიმე (სისვაძე)



„წითელი“ ღვთისმშობლის ხატის გადაბრძანება სამთავროდან არმაზში



ღვთისმშობლის პარაკლისი არმაზში

თავროს მონასტრის იღუმენია ქეთევანს (კოპალიანი) ღვთიური მინიშნებით ეუწყა, რომ დედა ღვთისა „გათავისუფლებას“ სთხოვდა. ზეციური დედოფლის ეს ბრძანება ხატის მინის მოულოდნელმა გატეხვამაც ცხადჰყო. მომხდარი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მოახსენეს. უწმინდესმა ბრძანა, ხატი თავის ადგილსამყოფელში გაიხარებო.

სამთავროს მონასტრისთვის შეიქმნა ხატის ასლი, რომელიც 40 დღის განმავლობაში მიყრდნობილი იყო ხატის პირზე, რათა იგივე მადლის მატარებელი გამხდარიყო; ხოლო არმაზის სასწაულთმოქმედი ღვთისმშობლის ხატი სახეიმო ვითარებაში, წყალკურთხევითა და ლიტანიობით თავის ადგილსამყოფელში – არმაზის მამათა მონასტერში გადააბრძანეს.

2017 წლის 9 სექტემბერს სამთავ-

როს ფერისცვალების ტაძარში სახეიმო ლიტურგია აღავლინა დედათა მონასტრის სულიერმა მოძღვარმა, არქიმანდრიტმა ლაზარემ (გაგნიძე), არმაზის მამათა მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ ზოსიმესა (სისვაძე) და სხვა მღვდელმსახურთა თანამწირველობით, სამთავროს მონასტრის დედათა კრებულთან ერთად. ხატი მინდვრის ყვავილების გვირგვინით შემკულ კოტში ჩააბრძანეს და გალობით მიაბრძანეს „თავის სამყოფელში“. არმაზს დიდი სიხარული ჰქონდა, სამთავროს კი ცრემლნარევი.

იმედია, ღვთის განგებითა და შემწევობით დედა ღვთისა არმაზიდან განსაკუთრებით შეეწევა სრულიად საქართველოს და იმ სავანეს, სადაც 100 წელი იყო დაგანებული. ამინ!

მონოზონი ნინო (სამხარაძე)

## სვეტიცხოველი

სვეტიცხოველი ქართველისათვის განსაკუთრებული საკრალური მნიშვნელობის ტაძარია. იგი „არის ქართველი ერის აკვანი და ემბაზი“. – ბრძანებდა უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე. სვეტიცხოველიდან განეფინა ქრისტიანობა საქართველოში, მისი წიაღიდან, მისი სიწმიდეებიდან მომდინარე მადლი საუკუნეთა მანძელზე ურთულეს პერიოდშიც კი სულიერ ძალას აძლევდა საქართველოს. სამწუხაროდ, ეგზარქოსობის ხანაში (1811-1917 წ.წ.) მიზანმიმართულად მიმდინარეობდა სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძრის, მისი სიწმიდეების დაკნინების ტენდენცია, აქ უკვე აღარ აკუროთხებდნენ ბაგრატიონთა სახლის მეფეებს, აღარ ამზადებდნენ წმიდა მირონს და აღარც კათოლიკოს-პატრიარქების აღსაყდრება ხდებოდა...

ქართველი საზოგადოება განიცდიდა ყოველივე ამას; „ამოვიარე ძველს დიდებულს ქართველთა ტაძრებისაკენ – სვეტიცხოველისა, სამთავროსი და ანანურის ამაღლებისა, რომელთაც შორით თაყვანი-ვეც, ვითარცა დანიელმა იერუსალიმს. ამათი ხილვითა ბევრი მწარე ფიქრები წარმომიდგა“. – წერდა ეპისკოპოსი პეტრე კონჭოშვილი ეპისკოპოს კირიონს.

1917 წლის 12-25 მარტს ქართველმა ავტოკეფალისტებმა სვეტიცხოველის მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გადაწყვეტილება სვეტიცხოველის საკათედრო ტაძრის ამბიონიდან ამცნეს საზოგადოებას, მაგრამ მიზეზთა გამო სვეტიცხოველმა ის ფუნქცია სრულად ვერ დაიბრუნა. მართალია, 1917 წლის 1 ოქტომბერს, სვეტიცხო-



სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარი

ოვლობას, ამ ტაძარში შესრულდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II-ის მამამთავრად კურთხევა, მაგრამ არც წმიდა მირონი და არც მღვდელმთავრები სვეტიცხოველში არ იკურთხებოდა. მირონი 1918 წლის აპრილში მომზადდა ანჩისხატის ეკლესიაში, 1920, 1947, 1962 წლებში – პატრიარქების ლეონიდეს, კალისტრატესა და ევრემ II-ის დროს – სიონის საკათედრო ტაძარში, მღვდელმთავრების კურთხევა სრულდებოდა სიონისა და ქაშუეთის ეკლესიებში. 1941 წელს ხელისუფლებამ გადაწყვიტა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის დახურვა. ამას ადასტურებს უწმიდესისა და უნეტარესის, კალისტრატეს 1941 წლის 3 მარტის საგანგებო წერილი საქართველოს კვანტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, კანდიდ ჩარკვიანისადმი: „დახურულ ეკლესიათა შორის არის მსოფლიოში სახელგანთქმული „სვეტიცხოველი“. ჩვენი ხალხისა და ეკლესიის ურყევი ტრადიციით საქართველოს ეკლესიის მამამთავრის, კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევა უეჭველად უნდა მოხდეს სვეტიცხოველში. ამის გამო ხსენებული ტაძრის არამოქმედ ეკლესიად გადაქცევა პირდაპირი ნაბიჯია ათეულსაუკუნოვანი ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმებისაკენ... ეკლესიის დამოუკიდებლობა არის ერთ-ერთი ბოძით ერთ ერის დამოუკიდებლობისა. ეს შეგნება იყო მიზეზი იმისა, რომ თვითმპყრობელურმა რუსეთის სინოდმა ასი წლის განმავლობაში მრავალფეროვანი ძალადობით ერთი წუთითაც ვერ დაგვაფიწყა კათოლიკოს-პატრიარქის ფუნქციის შეჩერება. ახლა, როცა უამრავი ტანჯვა-ვაების, ბრძოლის შემდეგ აღვიდგინეთ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობა, ჩვენვე გავაუქმეთ იგი მისთვის, რომ მცხეთის რაიონის მესვეურთ დასჭირდათ სვეტიცხოველში ეპისკოპოსის ბედშავი ოთახი? ვფიქრობ, სანამ საბჭოთა კავშირში მოქმედებს სტალინის ბრწყინვალე კონსტიტუცია და არსებობს რწმენისა

და ღმთისმსახურების შესრულების თავისუფლება, საქართველოშიც უნდა დარჩეს მშობელი ეკლესიისთვის კათოლიკოს-პატრიარქის სვეტიცხოველში კურთხევის წესიც. ნათქვამიდან ცხადია, რომ სვეტიცხოვლის მოქმედ თუ არამოქმედ ტაძრად გამოცხადებას აქვს პოლიტიკური მნიშვნელობაც და საკითხი ამის შესახებ თუ დღესდღეობით ყველასთვის არ არის საგრძნობი, მწვავედ წამოიჭრება მოხუცი (75 წ.) კათოლიკოს-პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ. ასეთ უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩავევარდეთ, საჭიროა, სანამ სვეტიცხოვლის დახურვის ამბავი არ გახმაურებულა, მისი გახსნა, მითუმეტეს, რომ იგი დაიხურა ადმინისტრაციული წესით. – დაიბარეს სვეტიცხოვლის ტაძრის წინამძღვრის მოადგილე ეპისკოპოსი ტარასი კანდელაკი და უბრძანეს, 48 საათში ბინის განთავისუფლება და ტაძრის გასაღების ჩაბარება, – რაც ისეთი სისასტიკით იქნა შესრულებული, რომ გამოძევებულმა ტაძრიდან საკუთარი ნივთების გამოტანის ნებართვაც ვერ მიიღო“ (ს. ვ. „სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე“, გვ. 275).

ამ დროს დაიწყო ომი და ხელისუფლებამ შეარბილა დამოკიდებულება რელიგიური ორგანიზაციების მიმართ. სვეტიცხოველი დახურვას გადაურჩა, თუმცა საქართველოს ეკლესიის უფლებები ამ ტაძარში შეზღუდული იყო. სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრისათვის ისტორიული ფუნქციის დაბრუნება დაკავშირებულია უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის სახელთან. პირველად ყმაწვილი ირაკლი შიოლაშვილი მცხეთაში ჩამოუყვანია მის ნათლიას, მონაზონ ზოილე დვალიშვილს და სვეტიცხოველობაზე დაულოცინებია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატესათვის.

1963 წელს ახლად ნაკურთხი შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია დაინიშნა მცხეთის სამოძღვრო კურსების დირექტორად. სამოძღვრო კურსებმა ბინა დაიღო სვეტიცხოვლის ეზოში.

მეუფე ილიას სვეტიცხოველში ყოფნა გაგრძელდა 1972 წლამდე...

1977 წლის 25 დეკემბერს 44 წლის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია სვეტიცხოველის საპატრიარქო ტადარში აკურთხეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად.

პირველი სიტყვები, რომლითაც ახალგაზრდა პატრიარქმა მიმართა საზოგადოებას, ასეთი იყო: „ მე შეგნებული მაქვს ის უმძიმესი და, ამავე დროს, საპატიო მოვალეობა, რომელიც დღეს, ღვთის ამ წმინდა ტადარის თაღებქვეშ, დამაკისრა მაღალმა ღმერთმა“. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სვეტიცხოველის საპატრიარქო ტადარს დაუბრუნა ის ისტორიული მისია, რომლის შესახებაც უწმიდესი კალისტრატე გულისტკივილით წერდა კანდიდ ჩარკვიანს. 1978 წლის 8 თებერვალს სვეტიცხოველში პირველად შესრულდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ახლად გამორჩეული მღვდელმთავრის, არქიმანდრიტ ნიკოლოზ მახარაძის კურთხევა ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად. ამას მოჰყვა იმავე წლის 25 თებერვალს ჭყონდიდელი ეპისკოპოსის იოანეს (ანანიაშვილი), 22 ივლისს – მაწყვერელ-ნიკორ-წმიდელი ეპისკოპოსის შიოს (ავალიშვილი), 29 ოქტომბერს – ურბნელი ეპისკოპოსის კონსტანტინეს (მელიქიძე) და 24 დეკემბერს – ბოდბელი ეპისკოპოსის ათანასეს (ჩახვაშვილი) სვეტიცხოველში კურთხევა. ამიერიდან ყველა მღვდელმთავარი სვეტიცხოველში იკურთხება.

წმიდა მირონი, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალურობის გამონატყლება, ისტორიულად სვეტიცხოველის საპატრიარქო ტადარში მზადდებოდა. როგორც უკვე მოგახსენეთ, 1918-1962 წლებში მირონი თბილისში მომზადდა. სამწუხაროდ, საზოგადოების ნაკლებ ინფორმაციულობის გამო, გასული საუკუნის 70-იან წლებში მთარულ ხმებსაც ავრცელებდნენ, თითქოს მირონი მეზობელი სომხეთის ეკლესიიდან მოჰქონდათ, რაც სიმართლეს არ შეეს-

აბამებოდა. 1980 წლის 30 მარტს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სიონის საპატრიარქო ტადარში ქადაგებისას დაწვრილებით ისაუბრა წმიდა მირონის მომზადების მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება წმიდა მირონის მცხეთის სვეტიცხოველის საპატრიარქო ტადარში მომზადების შესახებ და მოუწოდა მორწმუნე მრევლს, მონაწილეობა მიეღოთ იმ სამდღიან წირვა-ლოცვაში, რომელიც სვეტიცხოველში ჩატარდებოდა. 1980 წლის 1 აპრილს, ორშაბათს, დაიწყო წმიდა მირონის მომზადება. სახეიმო წირვა აღავლინა უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ წმიდა სინოდის წევრებთან (მიტროპოლიტი ზინობი, მიტროპოლიტი გიორგი, მიტროპოლიტი გრიგოლი, მიტროპოლიტი შიო, მთავარეპისკოპოსები: ნიკოლოზი, იოანე; ეპისკოპოსები: თადეოზი, დავითი, კონსტანტინე, ათანასე, ამბროსი, ქრისტეფორე) ერთად. ბედნიერი ვარ, რომ ვესწრებოდი ამ ისტორიულ მოვლენას. მინდა, საზოგადოებას მოგახსენო ერთი ნაკლებად ცნობილი ინციდენტის შესახებ:

დიდ ხუთშაბათს, 3 აპრილს, როდესაც დასრულდა წმიდა მირონის მომზადება, უწმიდესი და უნეტარესი ილია II თბილისიდან გაემგზავრა მცხეთაში. მას მიჰქონდა წმიდა მირონის დარჩენილი ნაწილი, რომელიც ახლად ნაკურთხი მირონისათვის უნდა შეერია. მანქანა, რომელსაც მართავდა პატრიარქის პროტოდიაკონი ღვთისო შალიკაშვილი, მაშინდელი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მიდამოებში ამობრუნდა და თითქმის მთლიანად ჯართად იქცა. მოხდა საოცრება: უწმიდესი ილია II და ეპისკოპოსი ამბროსი ქათამაძე თითქმის უვნებელნი გადმოვიდნენ მანქანიდან, მირონის ჭურჭელიც არ დაზიანებულა.

მცხეთის სვეტიცხოველის საპატრიარქო ტადარმა 1977-2017 წლებში უმასპინძლა მსოფლიო პატრიარქებს, ყოველად უწმიდეს დიმი-

ტრიოსსა და ბართოლომეოსს; ალექსანდრიის პატრიარქებს, უნეტარეს ნიკოლოზ VI-ს, პართენიოს VII-ს; იერუსალიმის პატრიარქ დიოდოროსს, ანტიოქიის პატრიარქ ეგნატოს IV-ს; რუსეთის პატრიარქებს, უწმიდეს პიმენს, ალექსი II-ს; სერბეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, ჩეხეთ-სლოვაკეთის, ელადის, კვიპროსის, ამერიკისა და კანადის ეკლესიის მეთაურებს...

1990 წელს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის, დიდი ძალისხმევით სვეტიცხოველს დაუბრუნდა კათოლიკოს ანტონისეული სასახლე, 1994 წელს დაიწყო მისი რესტავრაცია.

1995 წლის 17-20 აპრილს, ვნების შვიდეულში, სვეტიცხოველში მეორედ მომზადდა წმიდა მირონი. 1995 წლის სექტემბერში უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით სვეტიცხოველში გაიმართა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის XIII გაფართოებული კრება, რომელმაც დაამტკიცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება.

1996-2002 წლებში უწმიდესის ლოცვა-კურთხევით სვეტიცხოველის წინამძღვრის მოადგილემ, არქიმანდრიტმა იოაკიმემ (ასათიანი) მოაწესრიგა საკათედრო ტაძრის ეზო; შეიცვალა ტაძრის გუმბათის ფიჭვის სარკმლები, გაიწმინდა ყველა მკლავის სხეუნი, გამაგრდა გალავნის კედელი.

2001 წელს უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა სვეტიცხოველის ტაძრის შენობა-ნაგებობათა დაცვის ღონისძიებათა ხელშემწყობი დარბაზი.

2002 წლიდან წინამძღვრის მოადგილის, არქიმანდრიტ ზენონის დროს დაიწყო ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოების ახალი ფაზა, დაიწერა წმ. ვახტანგ გორგასლის, მელქისედეკ კათოლიკოსის ხატები.

2002 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში გაფორმდა კონკორ-



მირონის ხარშვა სვეტიცხოველში

დატი – კონსტიტუციური შეთანხმება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის.

უწმიდესის ლოცვა-კურთხევით 2003-2017 წლებში წინამძღვრის მოადგილეების: არქიმანდრიტების ილიას, ისააკის, სერაფიმეს ძალისხმევით კიდევ უფრო დამზვენდა სვეტიცხოველის ეზო, ტაძრის ირგვლივ დაიგო ბაზალტის ქვა, შეიცვალა შიდა იატაკი, გამზვენდა ძელიცხოველი, დასრულდა სამრეკლოს მშენებლობა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, შეგვიძლია თამამად ვთქვათ: ჩვენმა დიდმა პატრიარქმა სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარს დაუბრუნა ძველი ბრწყინვალება და ისტორიული ფუნქცია.

*სერგო ვარდოსანიძე*

### კატოლიკობა II, სიტყვა თქმული ეპისკოპოსად კურთხევისას

ყოვლად უსამღვდელოესო მეუფენო, ყოვლად პატიოსანო მამანო და ძმანო! მესმის ხმა უფლისა. მომწოდებელი ჩემისა უღირსებისა მშობლიური ეკლესიის სადარაჯოზედ გუშაგად დადგინებისა. მესმის და ვძრწვი. წარმოუდგება რა ცხადად თვალთა გონებისა ჩემისათა მთელი სიდიდე მღ-



**ეპისკოპოსი ფერეხი (სიდამონიძე)**

ვდეღმთავრობისა, სიძნელე და დაბრკოლებანი, რაიცა მარად სდევს მას და უფრო ვძრწვი, ვითვალისწინებ რა უძღურებასა ჩემსა.

მეშინის, ოდეს მოვისხენიებ მღვდეღმთავრობას ჩემსა, ჰოი, სულო ჩემო, ამიერიდან სხვათა მიმცემელო მადლისა, მრავალთა უმაღლეს ეკლესიური ნდობა-დავალებითა დაჯილდოებულს, ძაღვის დაიცვა თაუი შენი, რათა არა შთავარდე პატივსა და მთავრობის მოყვარეობასა.

ამ საპასუხისმგებლო დროს მადლობით მოვისხენიებ ჩემს კეთილს მყოფელთ მასწავლებელთ, რომელთაც განმმტკიცეს სიყრმიდან ჩანერგილი სიყვარული ეკლესიისა და საზოგადო საქმისა. მადლობით ვისხე-

ნიებ ჩვენს ახლადანთებულ ლამპარს თბილისის უნივერსიტეტის აღმშენებელთ, რომელთა ხელმძღვანელობით მე ვითვისებდი ცოდნას წლების განმავლობაში. მადლობით ვისხენებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ამბროსის, რომელმაც მსურვალე სიყვარული და მამობრივი მზრუნველობა გამიწია. მაგრამ ამ ჩემთვის საშინელსა და სანეტარო თემას სიმდაბლით შევიგრძობით და გულმოდგინედ გვედრებით: ოდეს დამდებთ მადლის მიმნიჭებელთა წმიდა ხელთა თქვენთა, თავსა მისსა უღირსებისა, მსურვალედ აღვაგლენთ ლოცვასა წინაშე მაცხოვრისა, რათა მომანიჭებდეს ნიჭსა ჩემსა ცოდვათა განცდისასა და შემომარტყამდეს ძალსა სულის სიწმიდისა, სიმდაბლისა და მოთმინებისასა. დაე, მღვდეღმთავრობა ჩემი მასწავებდეს ჩემსა უღირსებაზე, უძღურებაზე; დაე, მღვდეღმთავრობა ჩემი მარად მოჰკვირდეს თვალთა ჩემთა სინანულისა ცრემლთა დენასა! დღევანდელი ჩემი ეკლესიის მწვავე მღვდომარეობა დაბეჯითებით მოითხოვს მტკიცე და მაღალ ღირსებით მოსილ მღვდეღმთავარს, რათა მისი ხმა არ დარჩეს ვითარცა ხმა მლაღადებლისა უდაბნოსა შინა, რომ შეძლოს დამშვიდება აღშფოთებულთა, დაანთოს ცეცხლი სიყვარულისა, შექმნას საამისო მღვდომარეობა ხელსაწყობად ნაყოფიერი მუშაობისა. მართებს მღვდეღმთავარს, რათა ზე იდგეს ამო პატივმოყვარეობაზე, ხოლო ცხოვრებას ეგზომ მოახმარდეს მაცხოვრის დიდ მოძღვრებას წმიდა სახარებისა და ეგრევე აქენდეს ცხოვრების ეგზომ შესაფასებლადაც. ეპისკოპოსის მოვალეობაზე იქადაგოს ჭეშმარიტება, იყოს გონებით ბრძენი და ცხოვრებით უბრალო, იყოს მტკიცე, ბრწყინავდეს საქმენი მისნი. დაე, აღსრულდეს განგება ღვთისა, მორჩილ ვარ, მადლობით მივიღებ და არა რას მცირესა წინააღმდეგობასა ვიტყვი.

*სერგო ვარდოსანიძე  
წიგნიდან „პატრიარქები“ ტ. I  
თბილისი, 2013 წ.*



## მცხეთის სამოქალაქო კურსების ღაარსება

ერთ-ერთი მძიმედ პრობლემატური გამოწვევა, რომლის წინაშეც იდგა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია გასული საუკუნის სამოცდაათწლოვანი ათეისტურ-ტოტალიტარული მმართველობის უამს, გახლდათ სამღვდლო პირთა მომზადება და აღზრდა, რასაც ერთი-ორად საგანგაშოს ხდიდა ის სამწუხარო გარემოება, რომ ძველი თაობის სასულიერო პირები ტოვებდნენ წუთისოფელსა და მარადისობას ერწყმოდნენ, ხოლო ახალგაზრდებისგან არავინ ჩანდა სასულიერო პირად გახდომის მსურველი, რაც გაცილებით რთულ ვითარებას უქადდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, ვიდრე იმ ხანად იმყოფებოდა.

კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ მეორე აღნიშნავდა, რომ უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ (ხელაია) გახსნა საეკლესიო კადრების მოსამზადებელი კურსები, რომლის გამგედ დაადგინა დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე (შემდეგში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი). თუმცა, როგორც დეკანოზი მეექვსედეკ ხელიძე შენიშნავს, „დოკუმენტური მონაცემები ამ უტყუარი ფაქტის შესახებ ჩვენთვის მისაწვდომი არ აღმოჩნდა. სახელდობრ: როდის გაიხსნა, სანამ გასტანა მისმა ფაქტიურმა არსებობამ, ვინ იყო მისი უშუალო ხელმძღვანელი – გამგე“.



წმიდა ამბროსი (ხელაია), მიტროპოლიტი ანტონი (გიორგაძე), წმიდა კალისტრატე (ცინცაძე)

1951 წლის ივნისში, უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) განიზრახა, გაეხსნა „სამწლიანი სასწავლებელი სამღვდლო პირთა მოსამზადებლად“, თუმცა, სამწუხაროდ, ეს იდეა იმხანად ვერ განხორციელდა, რადგან მის აღსრულებას, უპირველეს ყოვლისა, წინ აღუდგა იმუამინდელი ხელისუფლება, ხოლო მოხუც და დაუძღვრებულ პატრიარქს აღარ გააჩნდა შინაგანი ფიზიკური რესურსი, წინააღმდეგობა გაეწია ათეისტური სამთავრობო რეჟიმისათვის.

1960 წლის 20 თებერვალს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მე-10 საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ეფრემი (სიდამონიძე), უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ მეორე. კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემი ინტელექტუალური პიროვნება გახლდათ და მას სრული სისავსით გასიგრძეგანებული ჰქონდა სასულიერო სასწავლებლის აუცილებლობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში და უძველესი ქართული ეკლესიისთვის მომავალ ღმრთისმსახურთა აღზრდა – მომზადების მნიშვნელობა. იმუამად ხელისუფლების სათავეში ეკლესიის ცნობილი მღვწელი, ნიკიტა ხრუშჩოვი იდგა, ამ იდეის განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობა სათუო იყო და ურთულესი პროცესების გავლა მოუწევდა. უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ მეორე მწერალ იპოლიტე ვართაგავასადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში მწუხარებით აღნიშნავდა: „დღეს უფრო მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებით, ვიდრე კათოლიკოს-პატრიარქების კალისტრატეს ან მელქისედეკის დროს იყო. აქ ყველაფერს ვერ დავწერ გასაგები მიზეზების გამო. ძალიან გართულებულ გარემოცვაშია ჩვე-

ნი ეკლესია, აი, ყველა მოხუცებულები მივდივართ და შემცველი აღარავინ რჩება... რაზე გაუბრბის ქართველი ერი თავის მშობლიურ ეკლესიას და საყვედურით ეკიდება? განა იმიტომ, რომ დვაწლი მიუძღვის სამშობლოსა და ერისადმი?“

უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ მეორემ, – როგორც მამამთავარი, აღიქვამდა რა სასულიერო სასწავლებლის საქართველოს ეკლესიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან აუცილებლობას, – არაერთგზის მიმართა იმუამინდელ საერო ხელისუფლებას სასულიერო სასწავლებლის გახსნის ნებართვის მოთხოვნით. იგი ამის შესახებ წერდა რელიგიის საქმეთა რწმუნებულს შალუტაშვილს: „დაახლოებით თერთმეტი თვის შემდეგ ჩემი კათოლიკოს-პატრიარქად არჩევისა, 1960 წლის 8 დეკემბერს, განვიზრახე განცხადებით შევსულიყავი უმაღლეს მთავრობაში. ამ ნაბიჯის გადადგმას მავადებულებდა სინდისი,სარწმუნოება,ჩემი ერის სიყვარული და მათ წინაშე ჩემი პასუხისმგებლობის შეგრძნება. უფრო ახლოს გავეცანი რა საქართველოს ეკლესიის იმდროინდელ სინამდვილეს, ვცანი, რომ თუ ასე გაგრძელდებოდა მისი სამწუხარო მდგომარეობა, კატასტროფას ვერ გადაურჩებოდა... განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იყო ღვთისმსახურთა რაოდენობა. ეს საკითხი დღეს ლოღვიით დგას ქართული ეკლესიის გულზე და დღესაც საფრთხეს უმზადებს მას. 1962 წლის 3 ივლისს მომეცა შესაძლებლობა, მქონოდა აუდიენცია საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავჯდომარესთან, ბატონ გივი ჯავახიშვილთან. ჩემი პირადი მოხსენების შემდეგ მან ბრძანა: „რახან არსებობს ეკლესია, მას უნდა ჰქონდეს სასწავლებელიც და გამომცემლობაც“. ამას ისმენდა ჩემ გვერდით მჯდომი მაშინდელი რელიგიის საქმეთა რწმუნებული, ბატონი მოსე მექვაბიშვილი, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი არ გააკეთებულა.“



**პატრიარქი ევრემი და მიტროპოლიტი ილია სამღვდელოებასა და სემინარიელებთან სამთავროში**

1962 წლის 4 სექტემბერს, წმიდა სინოდის სხდომაზე, უწმიდესმა და უნეტარესმა ევრემ მეორემ პირველად აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გასცა ნებართვა საქართველოს ეკლესიის ორწლიანი სამოძღვრო კურსების გახსნის თობაზე, თუმცა, აღნიშნულ საზეიმო განცხადებას, თითქმის რვა თვის განმავლობაში, რეალური შედეგი არ მოჰყოლია. დეკანოზი მელქისედეკ ხელიძე შენიშნავს: „უნდა ვიფიქროთ, რომ პატრიარქი წინდახედულებას იჩენდა. ამ დროის განმავლობაში წინასწარ ფიქრობდა იმ რეალურ შესაძლებლობათა გამონახვაზე, როგორც თანხების, შენობის და სხვათა, რომელთა გარეშე სასწავლებლის არსებობა წარმოუდგენელი იყო.“

1963 წლის 3 აპრილს, წმიდა სინოდის სხდომაზე, კათოლიკოს-პატრიარქმა ევრემმა მღვდელმთავრებს დაავალა, მათდამი რწმუნებულ მოქმედ სამრევლოებში გამოეცხადებინათ სასულიერო სასწავლებლის გახსნის შესახებ, რათა მოეძიებინათ სასწავლებელში შესვლის მსურველები და ამავე წლის სექტემბრიდან სასწავლებელი უკვე გახსნილიყო. 1963 წლის ზაფხულში, უწმიდესისა და უნეტარესის ევრემ მეორის ლოცვა-კურთხევით, პირველ ეტაპზე, სასწავლებლისთვის შეირჩა ოთხი პედაგოგი: შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია (შიოლაშვილი), მოსკოვის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის კურსდამთავრებული, ღვთისმეტყველების მეცნიერებათა კანდიდა-



პატრიარქი ეფრემ II და მიტროპოლიტი ილია

ტი; დეკანოზი მელქისედეკ ხელიძე, ყაზანის საიმპერატორო სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, ღვთისმეტყველების მეცნიერებათა კანდიდატი, ოცდაათწლიანი პედაგოგიური სტაჟის მქონე; ილია ჭეიშვილი, უმაღლესი იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული და მოსკოვის სასულიერო აკადემიის მეორე კურსამდე საღვთისმეტყველო განათლებამიღებული; ტაისი ტორონჯაძე, კონსერვატორიის კურსდამთავრებული, საეკლესიო გალობის მცოდნე, დიდუბის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლოს შობის სახელობის ტაძრის მგალობელთა გუნდის

ლოტბარი. სასწავლებლისთვის ბინა გამოიყო მცხეთაში, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის კარიბჭის წინ მდებარე შენობის მეორე სართულზე. საერო ხელისუფლების ნებართვით, სასწავლებელში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა მხოლოდ შვიდი კაცით განისაზღვრა. 1963 წლის 15 სექტემბრისთვის, ჩარიცხვის მხოლოდ ოთხი მსურველი მოინახა, რის გამოც გადაწყდა, რომ სწავლის დაწყება ერთი თვით, 15 ოქტომბრამდე გადაწყულიყო, იმ მიზნით, რომ მსმენელთა რაოდენობა დასაშვებ მაქსიმუმამდე გაზრდილიყო. უწმიდესისა და უნეტარესის ეფრემ მეორის ლოცვა-კურთხევით, სვეტიცხოვლის ტაძარსა და თბილისის სხვა ტაძრებში, თვალსაჩინო ადგილზე გაიკრა განცხადებები სასულიერო სასწავლებლის გახსნისა და მიღების გამოცხადების შესახებ. ხსნებულმა ქმედებამ მართლაც შეუწყო ხელი სწავლების მსურველთა მოზიდვასა და იგი 8-9 კაცამდე გაიზარდა.

1963 წლის 20 ოქტომბერს პირველად დაირეკა ზარი წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მცხეთის სამოძღვრო კურსებზე და სულიწმიდის ლოცვის წაკითხვის შემდეგ დაიწყო სწავლა. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეფრემ მეორის ლოცვა-კურთხევითა და ბრძანებით, სამოძღვრო კურსების გამგედ დაინიშნა შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია.

მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისიდანვე თავი იჩინა პირველმა სირთულეებმა: არ არსებობდა სახელმძღვანელოები და ბიბლიოთე-

კა, რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატი ყოველმხრივ ცდილობდა სასწავლებელში ჩარიცხვის მსურველი ნიჭიერი ახალგაზრდების დაშინებას, – საეკლესიო იერარქია მიიჩნევდა, რომ იმ დროს იყო სამოძღვრო კურსების ამოქმედებისათვის საუკეთესო მომენტი, ვინაიდან ხელისუფლების ნებართვა სასწავლებლის გახსნის თაობაზე დროულად უნდა გამოყენებულიყო.

უწმიდესისა და უნეტარესის ეფრემ მეორის ლოცვა-კურთხევითა და ეპისკოპოს ილიას რექტორობით, მცხეთის სამოძღვრო კურსებმა დამსახურებული ავტორიტეტი მოიპოვა და ორ წელიწადში სასწავლებელს ეწოდა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მცხეთის სასულიერო სემინარია. რექტორი, მეუფე ილია, სემინარიის პედსაბჭოს სხდომებზე დასასწრებად იწვევდა კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემს. 1964 წლის 28 დეკემბრით დათარიღებულ წერილში ეპისკოპოსი ილია მიმართავს უწმიდესისა და უნეტარეს ეფრემ მეორეს: „თქვენო უწმიდესობაჲ, გვაკურთხეთ! ზეგ საშობაოდ ვითხოვთ სტუდენტებს. ხვალ, 12 საათზე, ვფიქრობთ პედსაბჭოს მოწვევას. ჩვენთვის მეტად სასიამოვნო იქნება, თუ ჩამობრძანდებით და დაესწრებით.“

უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ მეორე, როგორც მზრუნველი მამამთავარი და დამაარსებელი მცხეთის სასულიერო სემინარიისა, განსაკუთრებულ მამობრივ მზრუნველობას იჩენდა სემინარიის, მისი პედაგოგიური კოლექტივისა და თითოეული სტუდენტის მიმართ. იგი ხშირად სტუმრობდა ღვთის შეწვევითა და მისი უზარმაზარი ძალისხმევითა და ღვაწლით დაარსებულ სემინარიას, ამხნევებდა და მხარს უჭერდა წარჩინებულ სტუდენტებს. სწავლის მსურველთა რაოდენობის გაზრდის გამო, უწმიდესისა და უნეტარესის ეფრემ მეორის ლოცვა-კურთხევით, სემინარიამ გადა-

ინაცვლა სამთავროს მონასტრის გაღვანში მდებარე შენობაში. კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემის ავტორიტეტითა და სემინარიის რექტორის, ეპისკოპოს ილიას მონდომებით, ხელისუფლების მხრიდან უმკაცრესი კონტროლის მიუხედავად, მოხერხდა საერო უმაღლესი სასწავლებლებიდან გამოჩენილ მეცნიერთა მოწვევა და სწავლების ხარისხის ამაღლება...

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მცხეთის სასულიერო სემინარიის დაარსება და ამოქმედება წარმოადგენს უწმიდესი და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეფრემ მეორის ერთ-ერთ უპირატეს და გამორჩეულ ღვაწლს, რომელიც მან დასდო ივერიის უძველეს სამოციქულო საყდარს, როგორც დიდად მოსიყვარულე და მზრუნველმა შვილმა და მამამთავარმა მშობელი ერისა და ეკლესიისა. ხსენებული სემინარია, დღესაც წარმატებით ასრულებს თავის მისიას, რომელიც კეთილ მარცვლად ჩადო მასში სულმნათმა კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ მეორემ, – აწ როგორც თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, ერთგულია იმ ლოცვა-კურთხევისა და იდეებისა, რაც დაფუძნებისას, მაღალი ღმერთის განგებით, უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ მეორემ დააკისრა და მამამთავრულად დააწყალობა.

უფალმა მართალთა თანა დაამკვიდროს უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ მეორის დამაშვრალი, დიდად ნატანჯი, ნაღვაწი, უკვდავი სული.

საუკუნოდ იყოს ხსენება და კურთხევა მისი! შეგვეწიოს მისი წმიდა ლოცვები!

*ლაშა დვისაძე-შარვაშიძე  
ისტორიის დოქტორი, თეოლოგიის  
და პოლიტოლოგიის მაგისტრი*

## მცხეთა – ბრიტოლ რობაქიძის მისტერია

„ვართ შენზე დანდობილი და შენი შენდობით არ გადავშენდებით...“ – ასე სრულდება გრიგოლ რობაქიძის 1923 წლით დათარიღებული ლექსი, წმიდა ნინოსადმი მიძღვნილი. უფრო

ბებზეა აგებული. ისტორიულ კოლიზიებში მონღოლთა შემოსევასაც აღწერს, თუ როგორ არ დაემორჩილა მტერს დიდი თავადის ირუბაქიძის შთამომავალი, ვის სამთვროშიც ჯვარი ვაზისა იყო დასვენებული.

„გრაალის მცველნის“ მთავარი გმირი ლევან ორბელი, პოლიტიკური რეპრესიების ფონზე, წმიდა ნინოს თემას პოეტურ წარმოსახვად აქცევს: აყვავებული ვაზის ჯვარის ხილვით გაოგნებული ლტოლვილები...

„ხედავენ, ჯვარს ლერწები აუყრია და ლერწებს მტევნები აუსხამს. გადახვეწილნი ატორტმანდებიან ზეჟვენიური აღტაცებით“.

რობაქიძე თვლიდა, რომ მითის ქმნალობის არსის საწყისებზე დგას ხელოვნებაც და ლიტერატურაც და მასში ხდება „სიმბოლოს, მსგავსების, ნიშნის, გამოძახილის, პირველსახის გახსნა.“ ამ გზით მიდიოდა მწერალი, როგორც თვითონ ამბობდა, „ნამდვილი რეალობის განცდამდე.“ წმიდა ნინოს შემოსვლას საქართველოში იგი ზერეალობად აღიქვამდა, გასხივოსნებულ რეალობად, ხოლო ნინოს ჯვარი, როგორც ხელახლა დაბადების ხატი, მარადიულობის შეგრძნებას ბადებდა. რობაქიძე ცდილობდა, აეხსნა, რას უნდა ნიშნავდეს მოციქული პავლეს „მსგავსებათა სამყარო“. ფიქრობდა, რომ ეს არის „სამყარო უცნობი ნიშნებისა, როცა ის ცხოვლად ხედავს ღვთიურ რეალობას.“ მისი ცნობილი ლექსი „წმინდა ნინო“ ამ მიუწვდომელ რეალობასთან შეხებით დაიწერა და მასში ქართული მეტაფორული ლექსის თითქმის ყველა ტექნიკური შესაძლებლობა გამოყენებული. პოეტური გამოცდილების გადატანა თანამედროვე, მოდერნისტულ ლექსში რობაქიძის შემოქმედებითი ხელწერის, მისი პოეზიის ევფონიის მახასიათებელია.



წმიდა ნინო

ადრე, 1921 წელს, საქართველოს ოკუპაციის შემდგომ, ტიცინი ტაბიძე წერდა, რომ რობაქიძე ამზადებს მისტერიას „ჯვარი ვაზისა“.

მისტერია ვერ დასრულდა ან დაიკარგა, მაგრამ ვაზის ჯვარი გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების თანამდევი თემა ხდება. ეს საკრალური სიმბოლო იკითხება ტრაგედიაში „კარდუ“, რომანშიც „გველის პერანგი“. ნაწარმოების სიუჟეტი სხვადასხვა და ერთმანეთთან მეტაფორულად დაკავშირებულ ამ-



ქალწულო ნინო, ეშვები ჩრდილებით:  
 დაღურსულ ფოთლებში მზის თვალი დაღვარული,  
 ჩვენ, დანელებულნი და გულახდილები,  
 შენ წინ ვეფინებით უშრეტი სიყვარულით.  
 მცხეთას რომ მოგესმა ნელი ხმა ზეცითგან,  
 გული ღვთისმობელის ჩვენთვის ხომ უხვია.  
 ჯვარი გამოსჭერი ვაზის ნასხლევისგან  
 და ცხელი ჭრილობა თმებით შეუხვია.  
 ღვთიური ტკივილი და არა წამება  
 იყო აქ, გვითხრობდნენ ამას ჩვენ მამები.  
 არ გვინდა, ღელაო, სხვა ჯვარი ბერწების,  
 არ გვინდა სხვა მიწა და სხვა ნასხლევი!  
 ვიცით: შენი ჯვარი ღვთისა ღერწების  
 ტოტებს აიყრიან მეტი ახელებით,  
 როცა გადასხლავენ სასტიკი სასხლავით,  
 ქალწულო ნინო, ათასჯერ გვენახე!

შენ გეაღერსდება დეღული ვენახი.  
 ღვთიურ ანთებული ჩვენს მიწას ევენები.  
 სხვა როგორ ვიგულვოთ აქ შენი ნაცვალი?  
 ზვარში რომ რომ გაივლი, ჩაყურსულ მტევნების  
 მზის თვალთ ივსება ყოველი მარცვალი.  
 შორითგან გიყურებს, ავს რომ აგამოროს,  
 ხმაღამოდებული მზევაჟი ლამარი.  
 ის არის ივერის მცველი და მზვერაჟი  
 და ჯვარს ვაზისას წაართმევს ვერავინ!  
 ნათელო ნინო! ვით მიწის ხნულები,  
 შენ წინ გადამლილან აწ ჩვენი გულები.  
 მო, გადაგვიარე, ბედს გადავურჩებით  
 და ტერფებს დაგიკოცნით მაგარი ტუჩებით.  
 დაო და ღელაო, ღვთისმშობლის დობილო,  
 ვართ შენზე დანდობილი  
 და შენი შენდობით არ გადავშენდებით!

გრიგოლ რობაქიძის სახელი და შემოქმედება, საუკუნის შემდეგაც ლიტერატურათმცოდნეობისა და ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ ბოლომდე აუხსნელ ფენომენად რჩება. ემიგრანტის შვეიცარიაში დარჩენილი არქივი, სამ (ქართულ, გერმანულ და რუსულ) ენაზე შექმნილი ლიტერატურული და ეპისტოლარული მემკვიდრეობა, პირდაპირი თუ არაპირდაპირი მნიშვნელობით, ჯერ კიდევ „გზაშია“... ამიტომაც მწერლისთვის მუდამ აქტუალური „მარადიული დაბრუნების იდეა“ ამ კონტექსტშიაც შეიძლება განვიხილოთ.

უენვეს ემიგრანტულ მანსარდებზე იწერებოდა რობაქიძის უკანასკნელი, ნოსტალგიური წერილები, უჯრაში სამუდამოდ ჩაკეტილიც და სამშობლოში გამოგზავნილიც. სკეპტიციზმითა და შიშით წარმოიდგენდა თავის წიგნებზე დახრილი მკითხველის სილუეტს. წერდა: „მე ისტორიას არაფერს ვანდობ, რადგან იგი დაუნდობელია.“ ეს ტექსტები, მწერლის აკრძალულ სახელთან ერთად, სამშობლოში გაგზავნილას საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროების კომიტეტის დაგმანულ სეიფებში ხვდებოდა და იქ რჩებოდა წლების მანძილზე...

„რა საბუთი გვაქვს ვიგულვოთ, რომ მერმისში ზეარსნი მოეგვლინებიან ამ ქვეყანას?“ - ფიქრობდა რობაქიძე და იქნებ ამიტომაც გაუსაძლის აწმყოში ცდილობდა ადამიანური შესაძლებლობების გადალახვას, ყველა მოვლენის ზუსტ სახელდებას, საბჭოთა თუ დასავლური იდეოლოგიების განხილვას თუ ფუნდამენტურ კრიტიკას, საქართველოს თაურ-ფენომენის მსოფლიოსთვის გაცნობას და ფართო სააზროვნო არეალში დამკვიდრებას... აწმყოს, როგორც არ უნდა ყოფილიყო იგი, „თავის დროდ“ იღებდა, თავისი დროის სათქმელს კარნახობდა. იქნებ ამიტომაც საბჭოთა საქართველოში აგზავნიდა წერილებს და ამავე დროს იცოდა, რომ ადრესატამდე ვერასდროს, ან, შესაძლოა, დიდი ხნის დაგვიანებით მიღწევდა („კარგად ვიცი, ამ ბარათზე ვერ მიპასუხებთ...“).

ამგვარ, პასუხგაუცემელ წერილთა შორისაა მწერლის გზავნილები: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი, ქართველი ახალგაზრდობისადმი, ქართველი მწერლებისადმი...

გრიგოლ რობაქიძის მიმართვა საქართველოს პატრიარქ ევრემ მეორეს (იბეჭდება შემოკ-



**კათოლიკოს-პატრიარქი ევრემ II**

ლებით. სტილი და ორთოგრაფია დაცულია).

„კურთხეულო მღვდელმთავარო!

უფრო კარგი იქნებოდა, უშუალოდ მიმელო თქვენგან დალოცვა. არ ხერხდება. დამრჩენია კალამს მიემართო - ქვემოთ აღსარებად.

ვარ ქრიატიანი. არა მხოლოდ პასპორტით. მაწუხებს გაჭირვებული ყოფა ჩვენდროინდელი საქრესტეანო სამყაროსი. კრიზისი მისი მასშივეა თვითონ...

ქრისტეანობა არაა სწავლება ქრისტესი - ეს ქრისტემდეც იყო ცნობილი. იგი სწავლაა ქრისტეზე. ვეყრდნობი რა აქ უდიდეს ქრისტეანს: ნეტარ ავგუსტინეს. ყოველი მღვინი რელიგიისა იტყოდა: „ესაა“ ჭეშმარიტება! მხოლოდ ერთმა ქვეყანაზე თქვა: „მე“ ვარ ჭეშმარიტება! - ქრისტემ. (იოანე: 14.6.) (გადახვევა. არცთუ ზედმეტი. ასეთი წიგნი,

როგორცაა სახარება იოანესი, ჩვენს პლანეტაზე არ დაწერილა. იოანეს გარე მე გზას ქრისტეს მიმართ ალბათ ვერ ვიპოვნიდი. სახარება მისი გვისხნის იმასაც: თუ რატომ უყვარდა იგი მაცხოვარს გამორჩევით. რატომ? სწავლა გადაეცემის მხოლოდ ამ გზით: მოყვარულისაგან ყვარებულს).

ღმერთი პიროვნებაა, ხოლო ზეინდვიდუალური. ვისაც ორგანო არა აქვს ასეთი წარმოდგენისა, იგი ღმერთს წარმოსახავს „ანტროპომორფულ“ ვითარ ვინმეს და კონსეკვანტურ გადაიქცევა ღმერთის უარყოფელად!

ქრისტე - პიროვნებაა - ხომ ინდვიდუალურ მოვლინდა?! გონებისათვის ეს საიდუმლო თითქმის აუხსნელია. ამის გამოა: რომ გრწამდეს ღმერთი, ათასჯერ უფრო ადვილია, ვიდრე გრწამდეს ქრისტე. ვთქვი „თითქმის“ - ვინაითგან: თუ ერთხელ განიცადე ქრისტე შინაგან, მაშინ სიძნელე იგი გონებითი მოხსნილია. რასაკვირველია, მაღლიცაა აქ დამხმარე.

ადამიანის შექმნა. „ესეც ანტროპომორფურ“ აქვთ წარმოდგენილი. სრულიად მცდარი შეხედულება! ადამიანის გაჩენა გულისხმობს ღვთიურ წარმოშობას მისსა. აქ აუცილებელია „თეომორფული“ ხილვა, რომლის მიხედვით, ადამიანი „იმ თავითვე“ მოქცეულია წიადში ღვთისა. ამ ხილვის გარე აუხსნელი რჩება: როგორც თავისუფლება ადამიანისა, ისე მისი პასუხისმგებლობა!

კურთხეულო მღვდელმთავარო! რასაც აქ ვწერ, ვეუბნები მთელს საქრისტეანოს. შემთხვევა მეძლევა, თქვენც გითხრათ: უმაღლესს მწყემსს ქრისტეან ქართველთა. საგადალოა მხოლოდ, რომ მოკლედ მიხდება გასაუბრება.

მივმართოდ ახალ საქართველოს. რომელიმე ხალხის ნიჭი განიზომება ამით: თუ როგორ წარმოუსახავს მისს ზეპიროვნულ



გენიას მსოფლიო. წარმოსახული მსოფლიო, მოკლედ „მსოფლხატი. ქართველოლოგიაში ბევრი რამ კეთდება, მნიშვნელოვანი. აქაც: მაქვსხედვაში ჩვენი ჟურნალი. მე ვარ ჯერ კიდევ ერთადერთი ავტორი, რომელიც აცნაურებს „მსოფლხატს“ ქართველთა. ამ მსოფლხატს მსოფლხატნი ჩვენი დროის ხალხთა ვერ შეედრებიან სიღრმით...

ქართველთა მსოფლხატვაში – რად ღირს მარტოდ-მარტო ქართული ენა! ენა, რომელიც ასე დაუსახავს მეთუ საუკუნეში ერთს ღრმადნახედულ გონებამეტყველ ქართველს: „... რამეთუ ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“... ხოლო გული ჩვენი მსოფლხატვისა არის ჯვარი ვაზისა – უდიდესი „რეალსიმბოლო“, რომლის სადარი მთელ საქრისტიანოს არ მოეპოვება... როცა ქართველს მამულის დასაცავად ხრმალი ეჭირა, მისი მარჯვენის მაჯისცემას სწორედ ეს გულისცემა ამაგრებდა: ჯვარი ვაზისა.

მე რომ მკითხონ: რომელ ნაწარმოებში უფრო გრძნობ ქართველობასო, – ვიტყვი: გიორგი მერჩულეს ძეგლში „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“. ამით ბევრი რამაა თქმული...

კურთხეულო მღვდელთმთავარო!

ღრმად მრწამს: რომ თქვენ პირნათლად შეასრულებთ განგებისაგან რგუნებულ საქმეს. ისე, როგორც ამას ასრულებდნენ საუკუნოებში ჩვენნი მღვდელთმთავარნი, რომელნიც აგრეთვე ღიღნი მამულისშვილნიც იყვნენ.

პირადი თხოვნა. თქვენ ალბათ ბევრად უმცროსი ხართ ჩემზე – კალენდრით. ასე რომ: მე თქვენზე უფრო ადრე გარდავალ სამარადისოში. გაიგებთ ჩემს გარდაცვალებას – გადამიხდით პანაშვიდს.

იყავით ნათელმოსილ და მზებრძელ!

გემთხვევით მარჯვენაზე, რომლისაგან დალოცვას ვიღებ წარმოსახვით.

თქვენი გრიგოლ რობაქიძე

გრიგოლ რობაქიძის წერილიდან – ქართველ მწერლებს:

„მოახსენეთ საქართველოს მღვდელთმთავარს, რომ ჩემი სულისჩამდგმელი აქ ჩვენი ნინოა – წმინდა, ჩვენი განმანათლებელი. ხშირად ვლოცულობ მის წინაშე... თუ ვინმე თქვენგანი შეიარს მცხეთის ტაძარში, გაიხსენოს მან ჩემი სახელი იმ პაწია სალოცავის წინაშე, რომელიც არ დაუნგრევიათ ქართველთა ტაძრის შენებისას. აი, კიდევ მადლი, სწორუპოვარი, კარდუს გენიისა. ის აკვანია იმ პირველ ღოცვისა, რომელიც გაისმა კარდუს მიწაზე ქრისტეს მიმართ...“

რეპრესიების წლებში, როცა გრიგოლ რობაქიძეს მწერალთა კავშირიდან გარიცხვისა და „სამშობლოს მოღალატედ“ გამოცხადების ფაქტი აცნობეს, სინანულით, ტკივილით, თუმცა, საოცარი დიდსულოვნებით მოისმინა... გაიგო, მისთვის ალბათ, ყველაზე მძიმე ამბავიც, რომ მისი საჯარო დაგმობის ამ დოკუმენტს ხელს აწერდნენ უახლოესი მეგობრები. გულწრფელი თანაგრძნობით



გრიგოლ რობაქიძე

შეუნდო, „რეჟიმის მსხვერპლად“ მოიხსენია ისინი და ისევ გააგრძელა ბრძოლა მისი უარყოფელი სამშობლოს დასაცავად და გადასარჩენად. უპასუხოდ არ ტოვებდა უცხოეთში დასტამბულ პუბლიკაციებს, სადაც ოდნავ მაინც ნეგატიურად იყო წარმოდგენილი საქართველო. შვეიცარიის ჟურნალებში აქვეყნებდა ვრცელ სტატიებს: „საქართველოს მსოფლიო სახე“, „ქართველების სავიზიტო ბარათი“...

ამგვარ უპირობო, გახსნილ დამოკიდებულებას სამშობლოსადმი აღტაცებაში მოჰყავდა ავსტრიელი მწერალი სტეფან ცვაიგი: „ახლა პორიზონტზე ჩნდება ერთი ახალი ერი, ვფიქრობ, ქართველ რობაქიძის რომანით... საქართველო რომ მდიდარია მითური ძალებით, რაინდული გონით და, ამავე დროს, თანამედროვეობისაკენ სწრაფვით, ეს პირველად ამ ახალგაზრდა მწერლის წიგნისგან გავიგე, რაც მისი სამშობლოს და ამავე დროს, ჩვენიც, დიდი სამსახურია, ვინაიდან, მისი გამოსახვის ძალის წყალო-

ბით, იშლება ჩვენი ცნობისმოყვარეობისთვის ახალი და უჩვეულო მსოფლიოს ერთი ქვეყანა, ერთი მიმზიდველი სულიერი ზონა...“

ჟურნალი „ოცჰლანდ“ წერდა: „რობაქიძე თავისი ხალხის ერთადერთი ჭეშმარიტი წინამძღოლია და ერთადერთი ნამდვილი ხსნაა ხალხისთვის. იგი ჭეშმარიტად სახალხო პოეტია, როგორც ესქილე, სოფოკლე და ჰომეროსი – საბერძნეთისთვის, როგორც დანტე – იტალიისთვის, დოსტოვესკი – რუსეთისთვის, ჰოლდერლინი და კლაისტი – გერმანიისთვის. იგი სახალხო მწერალია არა ფსიქოლოგიურ-სოციალური თვალსაზრისით, არამედ ხალხის სულიერი აღორძინებისა და რელიგიური გაგების უმაღლესი აზრით.“

ცოტა ხნის წინ გრიგოლ რობაქიძის სტეფან ცვაიგისადმი გაგზავნილი ბარათები დაისტამბა (გერმანულიდან თარგმნა ნათია ფურცელაძემ). ამავე ტექსტებში რობაქიძის ცნობიერებაში სამუდამოდ აღბეჭდილი საქართველოს ძველი დედაქალაქია – მცხეთა. ჩანაწერის ბოლოს თავის არაერთგზის გამუდმებულ ნატვრას



წმიდა ქალაქი მცხეთა

იმეორებს, ანდერძს, ერთადერთ სურვილს, რასაც თავისი გარდაცვალების შემდგომ სთხოვს საქართველოს.

„ჩემმა მკითხველმა იცის, თუ როგორ მესახვის მე მცხეთა: იგი წმინდა საშობა ჩვენი მიწისა. იქ ეგულებოდა ჩვენს ძველებს საფლავი კარდუნი. მცხეთის მიდამო აირჩიეს ძველმა მოგვებმა, ერთი ადგილი: იქ ადიდებდნენ და თაყვანს სცემდნენ ისინი მზესა და ცეცხლს, მცხეთის უბეში მივიღეთ ჩვენ ქრისტეს სჯული, აქ გამოსჭრა ნინომ ჯვარი ვახის ნახსლევებისგან და მოახვია მას თავისი თმები, იქვე მტკიცდებოდა ხელმწიფობა საქართველოში.

აი, მცხეთა, როგორც კამარამოვლებული „მთელი“ – ერთი დაუწერელი პოემა ღვთიურისა და ადამიანურის ურთიერთზიარებისა. სვეტიცხოველი ამ ზიარების ქვით ნაშენი ტანია. შედიხარ ტაძარში და ამჩნევ კუთხეში, მარჯვნივ, პაწია სალოცავს, ძველისძველად აშენებულს. ტაძრის მშენებლებს იგი არ დაუნგრევიათ.

თუ ზემოხსენებული ამბები ქართული გენიის ნაპერწკალია, ეს სალოცავი ამ მაღლის განმარტებაა თვითონ, იგი თითქოს აკვანია იმ პირველი ღოცვისა, რომელიც აქ აღმოხდათ ღვთის ძის მიმართ მღვივან გულებს. ჩვენს ძველებს ხელი არ უხლიათ მისთვის, რათა არ წაშლილიყო პირველი ღოცვის ნეტარმაცხოველებელი კვალი. რა სინაზეა აქ, რა სისათუთე ნივთიერებისადმი, რომელშიაც ადამიანში შობილ ღვთიურ ნაკადს გაუვლია.

ჩემი ნატვრაა: როცა მე ამ სოფლად აღარ ვიქნები, მოდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთას, მწიფობის, ჩემი დაბადების თვეში, სანთელს ანთებდეს ამ პაწია სალოცავის წინ და ღოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს. მეტს არას ვთხოვ საქართველოს!“

მრავალი ფიქრის აღმძვრელია ეს ნატვრა,



**სვეტიცხოველის ადღომის ტაძარი, რობაქიძის „პაწია სალოცავი“**

რომელიც გრიგოლ რობაქიძემ ანდერძივით დაგვიტოვა: ქართველი დედის ხელით დანთებული ერთი სანთელი, ყოველ 28 ოქტომბერს, სვეტიცხოველში...

ჩვენ ამ დღეს, ყოველწლიურად, მოწმენი ვხვდებით, როგორ სველიანად ციმციმებს „პაწია სალოცავთან“ დანთებული ორიოდ სანთელი, სამწუხაროდ, იმაზე ბევრად ცოტა, რასაც ამ დიდი მწერლის ხსოვნისა და პატივის მიგებისთვის ვისურვებდით...

*ნინო ხოფერიია*

სინას მთის მთავარეპისკოპოსის კათალიკონის წყობილი  
თბილისისა და სრულთადა ქართლის მეფის მიმართ



ყვითლმონღოზნი ... უძალესი და უჩინესი მფრევი მფრევი  
თათ. ძევი დაგვიანა და სილომონა. მფრევი თბილისა და  
სრულთადა ქართლსა. უფალი ძლიერი. სრულთადა მართლმად  
დადებელი ყელსაის სულამდასმადერი ძევი. შენს დადებულ  
მფრევის უფლასა და ღმრთასა და მაქობრისა ჰგენას ავსი  
ჩინსვენს მადრი სახარულს. მშვიდობასა და ნყალობას... ბედნი  
რებას. სამყაიყვს. ხილულ და უხალთა მცენისა ზედა გამაჩვენებს

და ყოველივე სხვა საყვივს უხურავს ჰემა უძაბლესობა ... და სი  
დადებლად მაქობრისა ჰგენასა და სარულთადა ჰგენა უხანი საჩინმონღოზნი  
დაყვას. დაუთრავს და თანაგონობას შენი დაყვევებული გრთმონღოზნი და  
თანამართლმადადებელი მშენასა.

ამ ჰგენა მდაბალი და ყვითლი სურვილგებით აღსავსე და თაყვანსაყვმი ნე  
რალით. აღსალი სახიგბითა და შენი ნმადა და ძლიერი სამფრევის საყვარულით.  
თავს უფლებას გაძლევი. მფრევი ქეშმარაივი. ვაყნობი. რომ ჰგენა ნმადა. სარ  
მრითი და სამფრევი სინას მონასტერი. რომელია მყაყნი და უხაყოვი უძაბნობა  
მღვანეობს. ვარმეძირწყმული სამანგლი და გელურია ბანბანობებით. დაღ და  
აუცხველ შვეინობებს ვანიკას მათი მხილავს. ათხიგენს და მათევი ყოველ  
გვარია საყვება და ცახსაყმელი. ფული. თუშვა მანს მამალით ახიყვბას:  
ამას ვამი. ჰგენ ვეგანობებს ყოველგვარი გბითა და ხენბით: ხან მონასტრის  
დაყვრობას ცალიობებს. ხან ყი ზიგანით ჰგენს მმთავებს უმონყალოდ სეკმენ  
და ყლიგენს: ან უხადრუხი ყადვი ბენი სხვა უმხვავსობას მამართავს: თავს  
გვესმდას. ვეგანყავიგენს და უხამართლოდ ექვევას ყოველ ჰგენებს. ანე. რომ  
ყოველ ჯერზე. ყოველი ჰგენგანი. მათი ბონობებასა და სამხეყანს ვამი. შამით

ყდება: ამათი ზოგერთი ზეგნა მათიგანა. ზუნებნაგა უძლურებან ვამი  
 (ნათქვამია, სულა გულმოდგანე ამს. მაგრამ ხორჯა უძლურიათ). ვენ  
 უძლებს მსგავს სამანგლებასა და განსაცდელს. ცოგებს მონახევენ და მკარ-  
 დება მამათა რაჯგა: მკვადრე ია ვენ გუძლებთ ამ გოლან სამძიმეს. რომე-  
 ლაჯ აგაღვი და მოგალეგებანგან ძლიერი შვიანხორებულნი და შენხებულნი  
 გათი. ასეთ განსაქანიში მყოფნი, მაგმართიგით ნათლობას თქვენა მკუობანსა და.  
 ზეგნა და მოგლი სამძის სახელით. ვგზაგნით რანს მკვდელმონახონსა და  
 ზეგნს სულაგნი შვილს შროჯონახელონს ბაჯონ ბანხაბას და ვთხოვი თქვენს  
 ძლიერებანს, რომ შვიანხართს აგა ყვითლეგნხუობითა და სახარულათ. ვაუნ-  
 დონს სამკუთ ხელი და შვენონს თახეგეგებითა და შვიადობანა საჯგაით...  
 და სამკუთ განხარეულეგით. ნახარახებითა და უჯლებამონახლებით ვადმი-  
 ვადეს და დადგანდეს ყურთხეული მართლმადიდებლებანს მსახურებამი და  
 მონახილეობა მაილონს მათ დასახმარებლად. ვთხოვი და ვევედრებთ. მკუთ  
 მონახილეობა და თახამგნობელით. ვეადითი მადლი და ნათლობა და რაიმე  
 სახანს დასმარება. რათა თდნაე მანხ მთიითქათი სულა ზეგნა აუჯანგლი  
 განსაქანანს ღრთსა და უძიმენა მოგალეობანს აღხურებანს ... მუდმივად და  
 ... ვევედრებთ ყოგლანს შემოქმედ ღმერთს ზეგნას მკობებითა ყოგლადნა-  
 დანს მკუნგელი მთაგლოგანს ღმერთსმშობელანსა. ნმადათა დადებულთა  
 და დადანს ნახანხარმკვჯგელანს მონგნა, აძნობანს, გლიასნი და გლიანგნი  
 და დადებულანს დადმონხამანს და ქალხურანს და ყოგლადნობანს ვა-  
 ცნინანგნი. ვაძლიერითს ნმადა მკუობა შენი მრთაგლსა ნელსა შვიადობით.  
 დაუმორჩილონს ვენითა შენითა ყოგლია მკენი და მხნობლია. და ქეყნანგნანს  
 საჯგლად ხეჯაურნი და ლთიანგნაგა მკუთება მთახართს შენს... ამან.

1763 წლის 1 აგლანა

თქვენა მკუობანს მონა და თაყვანამკვმელია მლოჯგელი. ნმადა სახანს მთანს  
 მდაბალია მთიანგნანხარობანი ყაროლე.

ზედა იბეზის ქუთის, ებეკლეს ქუთილი  
სინას მთავარეპისკოპოსის კანდილესადმი



თაყვანს ვუკმ თქვენი უსამღვდლოესობის ღმრთიანეგანხმობილს სი-  
მალღეს და ვაცნობებთ. რომ მაგალიეთი თქვენი და ასევე წმიდა მამათა  
საყრდნულის წყალობა. აღსაყვ იყოილია სურვილებით: განხმდელია  
გულითა და მონებრთა თაყვანსუკმითი მაგალიეთი ის და მონებრთი  
ვეთხევეთ და შევევებეთ მას: და არ მყოფნას ძალია. მივწერიით და  
გახეხით. თუ რა ღაღი მონებრთი. იყოილგანხმობითა და სურვილით  
ველოდათ მას. რა წმიდა გულითა და რწმენითი მაგალიეთი იგი: ყოველივე ამას ია.  
რაც მივწერიით. რწმენითი აღგვაყვ წმიდა მონასტრის მამათი. მამ ასე. ჰყვს  
გვაქვს მიმუხნობა და რწმენა და ვგნამს ღმრთიან მღვიძარე თვალს: თქვენი  
წმიდა ლოცვათა და ყურთხვეითი საჩუროგებებითი წმიდა პრიციონსხელოთა.  
ბავთნი ათხანათნი. მონასტრისა წყალობითი. მხედველობაში მაგალიეთი თქვე-  
ნი ყურთხვეით. თქვენმა წყალობებმა ისე აღგვაძალია. რომ ცამდე აგვიყვას:  
თქვენი ლოცვა-ყურთხვეითი. ჰყვს მივევცა სახივბა ძალია ღმრთის წინაშე.  
რომ ამდენი ლოცვა-ყურთხვეითი წყალობის მაგალიეთი ამ ჩვეყანაშიც და ზენა  
აგრისალიაშიც. ვამდლოგნებ. რომ შეწვენიათა უფლანსა ჰყვანს ავსი ჩინსვენითა  
და ლოცვათა წმიდანსა მონასტრისა. წმიდა ღმრთი. ერთი მხრით. შემნდობს ჰყმს  
პირად შევადმებს. მეორე მხრით ია. ვაძლიანგნებს წმინდა მონასტრისა და წმინ-  
და მამებს უყუნითი უყუნსამდე. დაიბ. წმინდა მონასტრისა მართლმადიდებელ  
ჩინსვენითა საქაღულია. და მე შევითოვ წმიდა მამებს. რომ მონებრთითი ჰყმი  
სახელი წმინდა და სარწმითი საღუმლოებებში. და მეობებითა თქვენითა ჰყვს  
გაგბდეთ ღმრთი საყურთი სასუფელოთა. მამანი ჰყვნი მართლმადიდებელია სარ-  
წმუნობანსით. საძაყენი მართლმადიდებელითა ჩინსვენითანით. თქვენი წმინდა  
ლოცვებითა და ძალითა ავსი ჩინსვენითა. სუ ვამთიყვლდება სახელი ჰყმი  
თქვენს წმიდა ლოცვა-ვედრებით.

თქვენი განხმსებანს თახხმად. არჩამხდრითა ბავთნი ბარხბა თქვენს წმინდა

მონასტრში უნდა წაიშობებოდით. და, ასე იყო, ვეზირ-  
ნათი მას, ილინდ ვაქრობები, რომ ბაჩხაბად ამდენი  
წლის განმავლობაში იღებდა ამ ადგილებში წმა-  
და მონასტრისათვის, სოფლისა და მამულისათვის,  
მონასტრის ყმათა და სამონასტრო შემოსავლის  
აჩრევინათვის, და ყარადაც იღებდა: და, თქვენი  
განხილვების თანახმად, ჩაიყრა ჩაიშობებას,  
ბეგნი იყო თუ ცოცხალი, აქ დაეცოდა,  
ყოველგვარი განხილვის გარეშე, ყველა იგლის  
გადეგნები მას საქმიანობას; თუჩა წმინდა ღმერ-  
თი იხებებს, თხუთმეც აწილოს წაიშობებოდით მას  
და ის, თანახმად თქვენი ბრძანებებსა, თქვენს განხი-  
ლვებში ვადმოვა. მონასტრის სოფელში, აქ, სადაც ბაჩ-  
ხაბა იმყოფებოდა, გამგებლად ბაქონ იოსების თანხლები პირი, მონაზონი  
იქნებოდა დაეცოდა, გადრე წმინდა მონასტრი სხვა მონაზონს წაიშობებინა,  
ჩადგან ის მათი სოფლის მართვის ვერი შეძლებს. მამ ასე, ამჟამად, თქვენი  
თხოვნის თანახმად, წაიშობებოდით წმინდა პრინციპისაგან ბაქონი იოსებისა  
და მას ირის ირმოდისათვის ულონია გამოვიცანეთ თქვენთვის ვადმოსაცემად, ეს  
მკარე შესანიშნავი ასე მიიღეთ, ვითარცა ღირსი, და წმინდა ღმერთისმსახურებისას  
მონასტრის ღმერთისაგან წმინდა გულითა და ლოცვითა უფლისა ღმერთისაგან  
ჩინებებთ... და ყარადა, უბრალოდ, ცხობინათ: თქვენი წმინდა ლოცვით აქ  
აღმოჩნდა მადანი ვერცხლისა და ღვინოსაგან იქნებოდა, რომ წმინდა მონას-  
ტრის, დაბნელების სახით, ყოველ წელს 200 გროში მიიღეთ, თქვენი წმინდა და  
წმინდა ყურთხევა არ მოიხილდეს საყვარელსა ღვინოსა, ხოლო ყოველად ყურთხევა  
და ღმერთისმსახურებელი ლოცვა თქვენს იყო ღვინოსა, ამან.



მეფე ერეკლე II

1772 წლის 15 მარტი

ქაქელი

თამარ მესხი, წიგნიდან „სინა და საქართველო: ახალი ფურცლები მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის“

სიტყვა წმიდა მთავარმოწამისა ქეთევან დედოფლისა დღესა

(იბეჭდება შემოკლებით)

გავისხენოთ წმიდა მოწამე ქეთევან დედოფალი და შევიკრიბნოთ ჩვენი საკუთარი სიქადულისა და შემწის სადიდებლად! „მოვედით ყოველნი მორწმუნენიო“, – გვეპატიუება ეკლესია, – „და მოსწრაფედ შემოვკრბეთ დღეს, და ვადიდოთ დედოფალი ჩვენი წმიდა... ნეტარებისა ყვაილი გარდაფენილი, რომელი ჰფშვის სუნნელებასა, სიქადული და შემწე ყოველთა ქართველთა.“

მაგრამ სად არის, ჩემო სულიერო შეიღებო და ძმებო, ჩვენ შორის ამ დედობრივი მოწოდების შესმენა და განხორციელება? ვის ახსოვს, მაგალითად, მთელს დასავლეთ საქართველოში, რომ დღეს სრულდება წმიდა ქეთევანის ხსენება? ან განა ქართლის ეკლესიები საგსე არიან დღეს ქეთევანისადმი მავედრებლებით და მგალობლებით? არა და არა!

არ დაუვიწყიათ ეს დღე მთელი ქართველობიდან მხოლოდ კახელებს. მარტო ესენი არიან, რომ წელიწადში ერთხელ წმინდა სანთლებით ბრწყინვალედ გააჩირაღდნებენ ხოლმე ქეთევანის განსასვენებელს – ალავერდის დიდებულ ტაძარს. მაგრამ, სამწუხაროდ, მათაც ერთობ ბუნდოვანი და გაურკვეველი წარმოდგენა აქვთ დიდებული მოწამისა, ნაკლებად იციან, ვინ იყო წმიდა ქეთევანი, რა სამსახური გაუწია მან ქართულ ეკლესიას და რა გადაუხდელი ამაგი დასდო ქართველ ერს.

აი, ასეთ მაღალ პიროვნებას, სამშობლოს სიკეთისათვის ზვარაკად შეწირულს, თავისი ერის მშვიდობიანობისათვის სასტიკ ტანჯვათა განმცდელს, საყვარელ სამშობლოში ქრისტიანობის განმტკიცებისათვის მწარე სიკვდილის დამთმენს ქართველი ერი არ იცნობს, ასეთი ნათელი პიროვნების წინ ქართველობა ქედს არ იხრის სათანადო მოწიწებით, ასეთი სასიქადულო, სასახელო და თავგამოჩენილ პიროვნების ხსენება არა ჰბადებს

ქართველობაში, როგორც განუყოფელ ერთეულში, ერთი ოჯახის წევრებში, თანაბარ სულიერ აღფრთოვანებას, სწორი მაჯის ცემას, ერთსულოვნებას, ერთაზროვნებას და ერთ გრძნობიერებას! როგორც ყველაფერში, ამ შემთხვევაშიც დანაწილებულნი, დაქუცმაცებულნი და დაბნეულები ვართ, აქაც არ გვეჩვენება სულიერი მთლიანობა, ზნეობრივი ერთობა და გონებრივი განუყოფელობა.

ვისი ბრალია ეს? ვის მოჰკითხავს ამაში პასუხს ღმერთიც და კაციც?

ყველაზე პირველად ჩვენ – სამღვდლოებას, სასულიერო პირებს, ეკლესიის წარმომადგენლებს. უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში მთელ საქართველოში ასი შუათანა ნიჭისა და განათლების მღვდელი მაინც გვეყოლებოდა. თვითოეულ მათგანს თავის სიცოცხლეში წმიდა ქეთევანის ხსენების დღეს ერთი მოძღვრება რომ ეთქვა, ეხლა ეს პიროვნება აღარავისათვის აღარ იქნებოდა უცნობი, მისი ღვაწლი დღეს ყველასათვის საკმაოდ გაშუქებული იქნებოდა და უმრავლესობა გამსჭვალული იქნებოდა მისდამი სათანადო თანაგრძნობით. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ გარიგებულა და არც დღეს რიგდება რამ ჩვენგან, ჩვენდა სასირცხოვ.

მაშ უკუვავდოთ, პატიოსანნო მამანო და მოძღვარნო, უდებობა, გულგრილობა, დაუდევრობა და ანგარება, აღფრთოვანებით მივეგებოთ ერს პატიოსანი ჯვარით და სახარებით ხელში, დავამშვიდოთ, გავამხნევოთ და გავახაროთ იგი ღმობიერი და სასოებისანი წირვა-ლოცვით, გამოვაფხიზლოთ აზრიანი, გულის სიღრმეზე ჩამწვდომი და სიამოვნების აღის მომღები კითხვა-გალობით და ბოლოს გაუშუქოთ მას გული და გონება ცოცხალი და ქრისტიანული სიყვარულით გამთბარი მოძღვრებით.

თუ შენ, განათლებულო და გაგებულო



ქართველო, ნამდვილად მეგობარი ხარ შენი ერისა, თუ ნამდვილად გული შეგტკივა მასზე და გსურს დახმარება გაუწიო მას, გააცანი, რა უბედურება დასტრიალებდა თავს ჩვენს სამშობლოს წმიდა ქეთევანის დროს, როგორ გასწირა თავი ქვეყნისთვის ქეთევანმა, რა დიდებული სამაგალითო და წასაბაძია ეს საქციელი დედოფლისა დღევანდელი ქართველი ქალებისათვის; მიეცი ცნობები, ვინ, როდის ააშენა ალავერდის ტაძარი, რა ბედნიერი და უბედური შემთხვევების მოწამეა იგი, ვინ იყო იოსებ ალავერდელი, რითია მისგან და მისი თანამოძმე ასურელი მამებისაგან დავალებული საქართველო და სხვა.

როგორც სახელოვანი ქეთევან დედოფალი, ისე მისი მსგავსი ქართველი წმიდანები ეწამნენ და ზვარაკებად შეიწირენ სამშობლოს წმიდა ტრაპეზზე იმის გულისთვის, რომ მათ მოდგმას შერჩენოდა ქრისტეს სარწმუნოება, მამა-პაპათა მიწა-წყალი, ეროვნული სიმდიდრე, ეროვნული თვითცნება, განვითარება, ენა, მწიგნობრობა და სხვ. ხალხს გულის სიღრმეში ჩარჩენია ეს საღმრთო ანდერძი თავისი სისხლის წმიდანებისა და ამის გამო უშორესი საუკუნეებიდან აუარებია მას თავის ყოველმხრივად განვითარების ერთადერთ დედა კერად ის ტაძრები, რომლებშიაც განისვენებენ მისი სიკეთისათვის სისხლის დამთხვეველი წმიდანები. მხოლოდ ამ წმიდანების საფლავებზე მიყრდნობის დროს გრძნობს იგი სრულს მოსვენებას, აქ უჩენს იგი სხვებს ნდობას და რწმენას, აქ სწყურია მას ღოცვაც, სწავლებაც და გართობაც და არავის არავითარი უფლება არა აქვს არ გაჰყვეს მას ამ შემთხვევაში უკან სრული მორჩილებით.

ქართველთა სასიქადულო და საკუთარო მეოხო, ბრწყინვალე მოწამეო ქეთევან! სასულიეროც და საეროც, მამაკაციც და დედა-



წმიდა დიდმოწამე ქეთევან დედოფალი

კაციც, დიდიც და პატარაც, სწავლულიც და უსწავლელიც, ყველანი დამაშვრალნი და უსიტყვონი ვართ შენ წინაშე, რომ დავიწყებულნი გვაქვს შენი ხსოვნა და წელიწადში ერთხელ არ ვიკრიბებით მთელი ქართველობა, როგორც ერთი ოჯახის წევრები, შენი წმიდა საფლავის წინ შენდა სადიდებლად და საგალობლად, მაგრამ ნუ გაგვწირავ ამისთვის; ისევ შენვე მოიბრუნე ჩვენზე მოსიყვარულე დედობრივი გული და დაგვადგინე ყველანი შენთვის სათნო და საამო ცხოვრების გზაზე! ამინ!

## წმიდა ბერი გაბრიელი

ღირსი მამა, აღმსარებელი და სალოსი გაბრიელი ახალი ღროის უდიდესი წმინდანია. მას უფალმა განუწესა, ყოფილიყო შემაერთებელი ხიდი კომუნისტური რეჟიმის მიერ დევნილ, თითქმის მიწასთან გასწორებულ ეკლესიასა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახალგვანადგმულ მართლმადიდებლობას შორის. მან ღირსეულად გააგრ-

ძელა თავისი მასწავლებლების, ბეთანიელი მამების, ღირსი იოანესა და გიორგის მონაზვნური მოსაგრეობის თითქმის მივიწყებამდე მისული ბერმონოზვნური ტრადიცია.

მამა გაბრიელმა ქადაგება დაიწყო კომუნისტური დევნილობის უკიდურესად გაუსაძლის პირობებში, მაგრამ „წითელ“ რეჟიმთან შედარებით ბევრად უფრო რთული გამოდგა საბჭოთა კავშირის ნგრევისა და დამოუკიდებლობის მოპოვების, ეროვნული მოძრაობის დაწყების პერიოდი, რადგან იმ ხანებში ქვეყანა წაღვეკეს ამერიკიდან და ევროპიდან დემოკრატიის სახელით შემოსულმა რელიგიურ-პოლიტიკურმა თადლითებმა – იელოვას მოწმეების, ევანგელისტი ბაპტისტების, ხსნის არმიის, საინტოლოგებისა და ათასი სხვადასხვა ჯურის ახალი ღროის ე.წ. „მებადურებმა“, რომლებიც სულებზე დიდი ფულით ნადირობდნენ, მამა გაბრიელი კი მათ მაღალი სულიერებით უპირისპირდებოდა. ისინი მოქმედებდნენ დასავლეთის გრანტებით, მამა გაბრიელი – უფლისაგან უხვად მინიჭებული მადლით.

მამა გაბრიელის მსგავსი დიდი წმიდანები ღვთის განგებულებით სამყაროს ევლინებიან ადამიანთა სულიერი დაცემის უამს, ადამიანთა ღვთისაგან განშორების უამს, ადამიანთა მთვლემარე რწმენის უამს. უფალმა ინება და მამა გაბრიელს მიჰფინა უხილავი სული უშიშარი, დაუღალავი, მახვილივით ბასრი მქადაგებლისა. ქადაგებდა მამა გაბრიელის მთელი სხეული – ბაგეები, თვალები, ხელები, მისი ყოველი მოძრაობა იყო მსუბუქი, როგორც



არქიმანდრიტი ლაზარე წმიდა გაბრიელის ლუსკუმასთან

სული. სადაც უნდა ყოფილიყო, – სამთავროს კოშკთან, თუ სვეტიცხოვლის ეზოს ყველაზე ხალხმრავალ კუთხეში, ჭეშმარიტი, მტკიცე ქრისტიანები მას აღიქვამდნენ, როგორც ქარაფზე – ამაყად მჯდარ ბებერ არწივს; კლდეს, რომელზედაც დაფუძნებულია ქრისტეს ეკლესია; ნელთბილ, რწმენაში გამოუცდელ მორწმუნეთათვის კი ის იყო უცნაური, არაბუნებრივი, მაგრამ მაგნიტივით მიმზიდველი სული, რომელიც იპყრობდა ადამიანთა გულსა და გონებას; მისი ბაგეებიდან გარემოს ეფინებოდა ცოცხალი, ნაპერწკლებივით მწველი საღმრთო სიტყვა, რომელიც ათობდა ღვთის მაძიებელს. მის ნააზრევს დამაჯერებლობას ჰმატებდა სიტყვასთან შეწყობილი ელვასავით მოკაიფე თვალები, ხელის მტევენების დახვეწილი, გრაციოზული, მევიტყოდი, არტისტული, მოძრაობა, რომელიც სინქრონულად ერწყმოდა მის კეთილხმოვან მეტყველებას. მსმენელისთვის ამგვარად მიწოდებული მამა გაბრიელის მჭევრმეტყველური საუბარი ყოველთვის აღწევდა სასურველ მიზანს და იოლად იმორჩილებდა მასთან მისულ ღვთის მაძიებელ ადამიანებს. ისინიც, ნანახისა და მოსმენილისგან მონუსხულები, სულიერი საზრდოს მიღებით კმაყოფილნი, მომავალი შეხვედრის იმედით, განემორებოდნენ კეთილმოუბარ ბერს. მიზანი უკვე მიღწეული იყო, რადგან სანატრელ მოძღვართან სულიერი ზიარებით, მათ სულში უკვე ღვიფდებოდა თესლი კეთილი.

მამა გაბრიელი განსაკუთრებით ზემოქმედებდა მასთან პირველად მისულ ადამიანებზე და ამას აღწევდა უფლისგან მისთვის მინიჭებული გულთამხილველობის



**ღირსი მამა გაბრიელი და მამა ლაზარე სამთავროს ეზოში**

საოცარი ნიჭით; იგი უცნობ ადამიანებს წინასწარი გასაუბრების გარეშე მიმართავდა სახელით, კითხულობდა მათ აზრებს, წინასწარმეტყველებდა უახლოეს მომავალს, აძლევდა კურთხევას, რომლის მიზანი იყო, მათთვის ესწავლებინა თავმდაბლობა, მორჩილება, გულწრფელი სინანული...

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მამა გაბრიელის წყალობით რწმენის მაძიებელი ახალგაზრდობით გაივსო საქართველოს მოქმედი ეკლესია-მონასტრები. ეს პერიოდი ქართული მართლმადიდებლობის ისტორიაში იყო ქართველი ხალხის ღვთის რწმენაზე დადგომის, სულიერი გამოღვიძების ზეაჩქარებული პროცესი, რომლის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ღირსი მამა, ბერი გაბრიელიც გახლდათ.

*არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)*

## მოგონებები ჟიდა მამა გაბრიელზე

ეკლესიურ ცხოვრებაში პირველ ნაბიჯებს ვდგამდი, როცა ერთმა მეგობარმა მამა გაბრიელთან შეხვედრა მირჩია. მითხრა, სამთავროში არის მამა გაბრიელი და მასთან მივიდეთ, შენ რომ მოგეწონება, ისეთი ბერია, მისი სანუგეშო დარიგება გულზე საღებუნად დაგედებაო. მართლაც, ჩემს მეგობართან ერთად სამთავროს მონასტერში დილით წირვის დროს მივედით. როგორც კი დამინახა, მამა გაბრიელი მოვიდა და მკითხა:

– შენ აქ გინდა მოსვლა?

– დიახ. – ვუპასუხე. მამა გაბრიელს ისეთი გაბრწყინებული და ნათელი თვალები ჰქონდა, მაშინვე ჩემს გულთან მოვიდა.

– მაშინასაც აქ დატოვებ? – მკითხა.

– დიახ. – იყო ჩემი პასუხი.

– დედა, რამდენს ვიხუდიგნებთ და რამდენ კარგ საქმეს გავაკეთებთ ამქვეყნაზე, – მითხრა და თავი გადააქნია. მართლაც, სამთავროში რომ დავიწყე ცხოვრება, მამა გაბრიელი თითქმის ორი წელი ჩემი მანქანით, სადაც მეტყოდა, იქ დამყავდა.



ერთხელაც, მამა გაბრიელმა მითხრა, მარტყოფის მონასტერში წაყვანა, სამადლობელი პარაკლისი უნდა გადავიხადო. მამა გაბრიელს განსაკუთრებული სასოება ჰქონდა წმინდა ანტონ მარტყოფელისა, რადგან მან ჩამოაბრძანა ანჩისხატი.

მამა გაბრიელს ბავშობაში აღთქმა დაუდევს, მოელოცა თორმეტი ასურელი მამის მონასტრები და წლებისწინანდელი ამბავი გაიხსენა:

– ანტონ მარტყოფელს როგორც კი შევევედრებოდი, მაშინვე ყველაფერში მეწეოდა. ერთხელაც, მარტყოფის მონასტერში წასვლა გადავწყვიტე და შუა გზაში ძალღონე გამომეცალა, უღუკმაპუროდ კი ვიყავი. ვინატრე, ღმერთო, ერთი დოქი წყალი

და ნახევარი პური მომეცი, მეტი არაფერი მინდა-მეთქი. ამის თქმა იყო და გონებადუკარგული მიწაზე დავვარდი. თვალები რომ გავახილე, რას ვხედავ! თავზე ორი საოცარი გარეგნობის ბერი მადგას. გამიკვირდა მათი დანახვა, მარტყოფში მონასტრული ცხოვრება არ არის და ეს ბერები საიდან მოვიდნენ-მეთქი. საუბარში ერთმა მეორეს უთხრა, ეს ჩვენი გვარის არისო... ერთმა ბერმა გამომიწოდა წყლით სავსე დოქი, მეორემ კი მთელი პური. მაგან ნახევარი ითხოვა და ნახევარი მიეციო, უთხრა მეორემ. მთელი პური გატეხა, ნახევარი პური მომცა და ნახევარი ისევ უკან წაიღო. ის დოქი ახლაც სახლში მაქვს შენახული. მათი მოცემული წყლითა და პურით მოვსულიერდი. მერე ეს ბერები ტყეში შევიდნენ და გაუჩინარდნენ. როგორც იქნა, ავადწიე მონასტერში და წმინდა ანტონ მარტყოფელის ხატი ვნახე, იმ ბერთაგან ერთ-ერთი წმინდა ანტონი იყო, – დაამთავრა მამა გაბრიელმა.



ერთ დღესაც, მამა გაბრიელმა მითხრა, წავიდეთ და ჯვრის მონასტერი ავიკლოთო. ავედით. დამსვა ჯვრის ტაძრის წინ და მითხრა, წყალი და პური ითხოვეო, მათხოვრად დამსვა... მართლაც, გამეღელ-გამომეღელეებს წყალსა და პურს ვთხოვდი.

მონასტერში მისვლამდე მაღაზიაში შევედით და არაყი ვიყიდეთ. ჯვრის მონასტერში ავიტანეთ არაყი, პური, წყალი, კიტრი და პომიდორი. ცოტა ხანში შამპანურიც გაჩნდება და ღიმიტაურიც იქნებაო, – მითხრა მამა გაბრიელმა. მართლაც, ამოვიდნენ მექორწილები... ნეფე ახალგაზრდა ბიჭი იყო... დაძინებულ შესამოსელში მყოფ მამა გაბრიელს გააკვირვებული უყურებდა. მამა გაბრიელმა მოულოდნელად, ყველას დასანახად, არყის ბოთლი ამოიღო (აბა თუ განმიკითხავენო) და დაიყვირა: „აი, ბერი რასა სომს!“ მოხდა სა-



**ღირსი მამა გაბრიელი აღმსარებელი და სალოსი**

ოცრება: ეს ახალგაზრდა ნეფე მივიდა მამა გაბრიელთან, მუხლი მოუდრიკა, კაბის კალთაზე ემთხვია და მოეფერა. მამა გაბრიელმა ეს პიროვნება რამდენიმე წუთში რადიკალურად შეცვალა, – ისინი ისე დამეგობრდნენ, რომ სამთავროში ხშირადაც ჩამოდიოდა.



ერთხელ წინა ცხოვრებაზე, შვილზე დარღი შემომავლა... ჩავედი მამა გაბრიელთან და ხმის ამოუღებლად დაეჯექი მის სენაკში.

„რას ჩამოგიყრია ყურები, მწუხარებამ დაისადგურა შენს გულში?“ – მითხრა და მაშინვე მოიტანა წმინდა მამათა განმარტებების წიგნი, რომელშიც მწუხარებასა და ჭმუნვაზე ამოიკითხა, როგორ უნდა მოექცეულიყავი: ილოცე, იშრომე და ბოროტი აუცილებლად დაგტოვებს, ეს ყველაფერი მანამდე აკეთე, ვიდრე კარგ ხასიათზე არ დადგებიო.



სამთავრო პირადად ჩემთვის დიდი სკოლა იყო, ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. მონასტერში ცხოვრობდნენ მართლაც წმინ-

და მონოზენები: დედა რაქილი, დედა სიდონია, დედა პელაგია, დედა ევპრაქსია... ისეთს იტყოდნენ ხოლმე, გაგიკვირდებოდათ. მაშინ პატარები ვიყავით და თითქოს არ გვესმოდა. ვგრძნობდით, რომ ძალიან დიდები იყვნენ. როგორც საყვარელ, მოხუც ადამიანებს, მაგრამ დიდ მონოზენებს, ისე ვუყურებდით... ამ გადასახედიდან რომ ვაკვირდები, ესენი არ იყვნენ უბრალო ადამიანები, მათ თავზე იმდენმა რამემ გადაიარა... ძალიან დიდი მლოცველები იყვნენ. ისეთი ძალა ჰქონდა მათ ლოცვას, რომ ყველა კარს ხსნიდნენ. უბრალოებით მოიპოვებდნენ თავიანთ სიდიადეს; სიმდაბლით მოიპოვებდნენ ყველანაირ სიმაღლეს და ამას ლოცვით აღწევდნენ. სამთავროს მონასტრის უდიდესი სულიერების საგანეში ყოფნა მთელი ცხოვრება მომყვება და მაძლიერებს. უაღრესად მაძლიერი ვარ იღუმენია ქეთევანისა, რადგან ძალიან მეხმარებოდა სამონასტრო ცხოვრების დასაწყისში. მაძლიერება მინდა გამოვთქვა აგრეთვე მამა გაბრიელის მიმართ...

*იღუმენია ელისაბედი (ზედგინიძე)*

### სამთავროს ძველი დედეები

ჩემს გულსა და გონებაში ღრმად ჩაიბეჭდა სამთავროს ძველ დედეებთან ურთიერთობა. მცხეთის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდში დაუახლოვდი სამთავროს მონასტრის დედეებს. მათმა რჩევა-დარიგებამ ცხოვრებაში ბევრი დაბრკოლება დამაძლევინა, სულიერად აღმზარდა და რწმენაში

მაშინ სამთავროს მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ქეთევანი (გონგლაძე) იყო. მონასტერში მოღვაწეობდნენ დედა ზოილე და დედა დარო, – ორივე შემდეგ სამთავროს მონასტრის ილუმენია გახდა. გამოვყოფ ასევე დედა ნინოს (მილორავა), დედა პარასკევას (ყველა პასიკოს ეძახდა), სქემმონოზონ სიდონიას.



არქიმანდრიტი ანტონი, ილუმენია ქეთევანი და სამთავროს დედეები

განმამტკიცა. მონოზონი ტატიანა (უროტაძე), რომლის მიმართაც განსაკუთრებული დამოკიდებულება მქონდა, შემდეგ ჩემი სულიერი დედა გახდა.

დედა სიდონია მღუმარებაში მყოფი უდიდესი მონოზონი იყო. არავის ესაუბრებოდა. სულ მაინტერესებდა, რატომ იყო ასე თავისითვის, მღუმარედ განცალკევებული. ერთხელაც, დედა ტატიანას ვუთხარი, მაინტერესებს, როგორ ცხოვრობს დედა სიდონია, როგორ აქვს სენაკი მოწყობილი-მეთქი. ერთ დღესაც საქმეზე გამიშვეს დედა სიდონიასთან და ვნახე, რომ საწოლზე ფიცრები ელაგა, ფიცრებზე – ხალიჩა და მის ქვეშ ჭილოფი ჰქონდა დაფენილი. ასე გაატარა თავისი ცხოვრება დედა სიდონიამ. ანდერძად დატოვა, ჭილოფში დამასაფლავეთო. დედა სიდონიას დაკრძალვაში სემინარიის სტუდენტებთან ერთად მეც ვმონაწილეობდი. ხელში მოგვაწოდეს ჭილოფში გახვეული დედა სიდონიას ცხედარი, და ისე მივაბარეთ მიწას. ძალიან გამხდარი იყო. სამუდამოდ დამამახსოვრდა დედა სიდონიას დაკრძალვა. მაშინ მივხვდი, თუ რა იყო ნამდვილი ბერისა და მონოზონის ცხოვრება.



დიდი სიყვარულით გავისვენებ ასევე დედა ლიზას, ელისაბედს. მას ხალამბარა (შესამოსლის საცავი) ებარა. იქ ძალიან ძველებური შესამოსელი ინახებოდა, ათონის მთიდან

გამოყოლილი, ქართველმა ბერებმა იოანე და გიორგი ბეთანიელებმა იერუსალიმიდან რომ ჩამოიტანეს, ქართველი ბერების ხელით მოქსოვილი ფილონი და სტიქარი.. დედა ღიზა დამამახსოვრდა, როგორც მოწყალე და მკაცრიც. ძალიან უყვარდა თავისი მორჩილება. დიაკვნად რომ მაკურთხეს, ჩვენმა დედებმა, – დედა ზოილემ, დედა ანამ და დედა პარასკევამ, – თითქმის ყველამ, გადაწყვიტეს, ჩემთვის დიაკვნის შესამოსელი ეჩუქებინათ. ათონიდან ჩამოტანილ სტიქარს რომ მაძლევდნენ, სულ დაკოცნეს თავიდან ბოლომდე, ღამის იტირეს. ამ სტიქარით სურათიც გადავიღესიგრიძით მოკლე იყო და დედა ტატიანამ გადამიკეთა. ძალიან კარგად მახსოვს დედა პარასკევა. ვაჟკაცური ქალი იყო, წარმოშობით რაჭველი. მონოზუნად რომ აკურთხეს, სალომეა დაარქვეს. სამთავროს მონასტერში ბევრი მონოზონი იყო, ძირითადად ესენი დამამახსოვრდნენ.

სამთავროს ძველ დედებთან ურთიერთობამ შემძინა პირველ რიგში, რწმენის სიმტკიცე, სულიერება. სამთავროს მონასტერში როცა მივდიოდი, განსაკუთრებით დედა

დარო მარიგებდა და რჩევებსაც მაძლევდა. დედა ტატიანა უფრო დაკავებული იყო თავისი მორჩილებით, საბნებს კერავდა დიდ დარბაზში. მარიგებდა, როგორი თავმდაბალი უნდა ვიყო, როგორ უნდა მიეყარდეს ჩემი მღვდელმთავარი, როგორ და რისთვის უნდა მოვითმინო ყველაფერი... სწორედ სამთავროს დედების, უწმიდესის რჩევამ, სვეტიცხოველში მოღვაწე ბერის, მამა ალექსის, მამა პართენისა და ბეთანიელი ბერების დარიგებამ თავისი ნაყოფი გამოიღო.

ახლა ფიზიკურად მიჭირს და შეძლებისდაგვარად დავდივარ სამთავროში. დედა ტატიანას საფლავზე ვიხდი პანაშვიდს. ჩემი სულიერად დაბადება ხომ ამ მონასტერში მოხდა. ღმერთმა უშველოს დღევანდელ იღუმენია ქეთევანს, რომელმაც ასეთი სიყვარული გამოიჩინა ეკლესიისა და სამთავროს მონასტრის მიმართ. მადლობა ღმერთს, რომ მოვესწარი და სამთავროს დედათა მონასტერს ამგვარად აყვავებულს ვუყურებ. დიდი სიყვარულით ვიხსენიებ დედა იღუმენია ქეთევანს. იმედია, რომ მას იმ დიდი დედების ლოცვა ეწევა...

### არქიმანდრიტი ანტონი (გულიაშვილი)



მონოზონი სუსანა მკაცრი და მომთხოვნი იყო როგორც საკუთარი თავის, ასევე ჩვენ მიმართაც. სათქმელს პირდაპირ, ყოველგვარი მორიდების გარეშე ამბობდა. მონასტრის დობა დიდ პატივს სცემდა, ყველას გვიყვარდა, მაგრამ გულის სიდრმეში გარკვეული მორიდება და მოკრძალებაც გვექონდა;

ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო: ტაძრის დიასახლისი ვარ და წირვისთვის ვემზადები. ზამთარია, საშინლად ცივა. ტანთ

მაცვია სქელი მაუდისგან შეკერილი, წელში ოდნავ გამოყვანილი მოკლე პალტო. ასეთი ჩაცმული დამინახა თუ არა, მაშინვე დამიდახა. მივხვდი, შენიშვნა უნდა მოეცა და ვიფიქრე, ალბათ რაღაც დამრჩა გასაკეთებელი-მეთქი. მივუახლოვდი... ვიდრე რამეს ვკითხავდი, მკაცრად შემომხედა და მითხრა, შენ რა მონოზონი ხარ, ეს წელში გამოყვანილი პალტო რომ ჩაგიცვამს და „სელსკაია უჩიტელნიცას“ დამსგავსებხარო (ნათქვამს

პირდაპირ ვწერ, როგორც მითხრა), თავი ძლივს შევიკავე სიცილისაგან და შევპირდი, აღარ ჩავიცვამდი, თუმცა, დანაპირები ვერ შევასრულე, ყინვაში მაინც ის პალტო მეცვა.



დედა სუსანას ძალიან უყვარდა ლოცვა. ერთხელ აივანზე ვიდექი, მომიახლოვდა. გამიღიმა, არ დამლაპარაკებია. ტუჩებს ამოძრავებდა, ე.ი. რაღაცას ამბობდა, რაც არ მესმოდა. მხოლოდ ცალკეული ბგერები აღწევდნენ ჩემს სმენამდე. მივხვდი, რომ ლოცულობდა და არც მე გამოვლაპარაკებოვარ. დედა სუსანას პირი გაჩერებული იშვიათად მინახავს, ის მართლაც მოუკლებელ ლოცვაში იყო. მასთან ხშირად მოდიოდნენ ერის ადამიანები, უმეტესად მცხეთელები. შესწიოდნენ თავიანთ გასაჭირს, ისიც მათ პარაკლისებსა და დაუჯდომელებს უკითხავდა. ზოგჯერ მისი სენაკიდან საათობით ისმოდა ლოცვის ხმა. თვითონ ასე ამბობდა: ურწმუნო მცხეთელებისთვის ვლოცულობ, იქნებ მოექცნენ და რამე ეშველოთ.

ჩემი და დედა სუსანას სენაკს ერთი საერთო ფანჯარა ჰქონდა. ფანჯრის ერთ მხარეს მისი ტახტი იდგა, მეორე მხარეს კი ჩემი. შემიძლია ვთქვა, რომ მე დედა სუსანა დაძინებული არ მინახავს. დამის 12 საათზე, 2 საათზე თუ კიდევ სხვა დროს იწვა, მაგრამ არ ეძინა: ან ხმადაბლა ლოცულობდა, ან რაღაც გაურკვეველი, ალბათ თავისი მოგონილი ტექსტითა და თავისივე „დაწერილ“ მელოდიაზე გალობდა (ამ ტექსტში ხშირად მესმოდა წმიდა ქეთევანი, წმიდა თამარი, წმიდა რუსუდანი, ცა და ვარსკვლავები).

ერთხელ ვკითხე: დედაო, როდის გძინავს? რასაც ვხედავ და მესმის, სულ მღვიძარებაში ხარ-მეთქი. გამიბრაზდა, რატომ მითვალთვალებ, ჯაშუში ხომ არ ხარო. შემდეგ მთელი სერიოზულობით მკითხა, „სახარებას არ კითხულობ?“ – თანხმობის ნიშნად თავი

დაეუქნიე. – მერე რას ბრძანებს სახარებაში უფალი, მოუკლებელად ილოცეთ და მღვინძარე იყვენითო (მისი სიტყვები ზუსტად ისე მომყავს, როგორც მითხრა), პასუხმა ჩამაფიქრა და უხმოდ გავშორდი.



კარგად მახსოვს ჩემთვის განსაკუთრებული, ჭკუის სასწავლებელი შემთხვევა, რომელიც დედა სუსანას უკავშირდება: სამლოცველო ოთახის ბოლოში კედელთან იდგა რამდენიმე სკამი, რითაც ასაკიანი დედები სარგებლობდნენ. მე კარებთან, კუთხეში ვიჯექი. დედები არ სხდებოდნენ ამ სკამზე, რადგან კარის ღრიჭოდან სიცივე შემოდის და გაცივების ეშინოდათ; ხოლო მე იქ იმიტომ ვჯდებოდი, რომ ლოცვის დროს მოსახსენიებელს ვკითხულობდი.

ერთ დილას, ვხედავ, რომ დედა სუსანამ თავი ჩაღუნა და ცოტა ხანში ჩუმი ხვრინვა მომესმა. თანდათანობით ხვრინვა გაძლიერდა. რა თქმა უნდა, მის გვერდით მეოფი დედები გაღვიძებას ვერ გაუბედავდნენ, მე კი დედა სუსანა გულში განვიკითხე: სენაკში არა სძინავს და ლოცვაზე საძილედ რატომ მოვიდა-მეთქი. ამასობაში კეთილმოწესე, მონოზონი ნანა (ქუთათელაძე) მოვიდა და გააღვიძა, თუმცა, დედა სუსანა დაბეჯითებით იმეორებდა: რაღაცას მაბრალებთ, მე არა მძინებიაო. მეორე დღეს ჩვეულებრივ ვესწრები ლოცვას, ვზივარ სკამზე და მოსახსენიებელს ვკითხულობ. ნამდვილად არ ვიცი, როდის ჩამეძინა და როდის დავიწყე ხვრინვა. სამონაზვნე თეოდორამ (კაპანაძე) მომიყვანა აზრზე. მე გაკვირვებული შევყურებდი და ვფიქრობდი, ნეტავ ჩემგან რა უნდა-მეთქი, ის კი დაბეჯითებით მიმეორებდა, რომ მეძინა და ძლივს გამაღვიძა. არ შევკამათებოვარ. მივხვდი, რომ უფალმა დედა სუსანას განკითხვისთვის დამსაჯა და მეც იგივე მღვომარეობაში ჩამაგდო.



ერთხელ, აივანზე ვიდექი, დედა სუსანა მომიახლოვდა უკმაყოფილო გამომეტყველებით. მივხვდი, რაღაც შენიშვნა უნდა მოეცა. ყურადღებით დამაკვირდა და მითხრა: მონოზენობა ანგელოზებრივი ცხოვრებაა დედამიწაზე, ჩვენ ყველაფერში მათ უნდა ვბაძავდეთ. აბა, მითხარი, გესმის, როგორ დადიან ისინი, ან ხმაურით საქმიანობენ? – არა, ახლა კი მონოზენებმა ისე ჩაიქროლეს კიბეზე, რომ მათი კაბების შრიალმა და ფეხების ბრახუნმა ლამის დამაყრუაო. მართლაც, სულ რაღაც 2-3 წუთის წინ რამდენიმე მონოზენმა ჩაირბინა კიბე ყურში მოსახვედრი ხმაურით, ალბათ სადღაც ძალიან ეჩქარებოდათ, დედა სუსანას კი ესეც არ გამორჩა მხედველობიდან.



დედა სუსანა ძალიან ცოტას ჭამდა და ყოველთვის გამხდარი იყო. დიდ მარხვაში მისი საჭმელი იყო ორი ნაჭერი თხელი გახუხული პური და ერთი ჭიქა ჩაი დილით და საღამოს. ჩაის შაქრის ფხვნილით არ ატკობდა, პატარა ფიალაში ჩაიყრიდა ცოტას და ისე აყოლებდა. ზამთარ-ზაფხულ მუდამ სციოდა, მაგრამ თბილად არასდროს იცვამდა. ზამთარში ტაძარში ხშირად მინახავს სატინის კაბით, ჟაკეტით და ბეჭზე მოხვეული შალით. სულ გაღურჯებული იჯდა, მაგრამ ზედმეტად არაფერს ჩაიცვამდა. ყველას გვიკვირდა ერთი რამ: დედა სუსანა არავის უნახავს აბაზანაში დასაბანად შესული, მაგრამ სუნიც არავის უგრძნია მისგან. ლოცვას ძალიან იშვიათად თუ გააძღვნიდა, ისიც მაშინ, თუ ავად იყო. სამლოცველოში მის გვერდით ისხდნენ დედა სიდონია, დედა ნინო (ლიზა) და დედა ევპრაქსია. ის მათი მადვიძარა იყო. თუ რომელიმეს ჩაეძინებოდა,



სქემონოზონი სუსანა (უროტაძე)

ბოდა, სასწრაფოდ გამოაფხიზლებდა. ასაკიანი დედებისთვის დედა სუსანა მაგალითი იყო. ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ დედა სიდონიას დილის ლოცვის წინ, ჩემთვის უკითხავს, გაიხედე ფანჯრიდან, სუსანა თუ ადგაო. მე ვპასუხობდი: დიახ, დედაო, უკვე ამდგარია, ლოცვაზე წასასვლელად ემზადება-მეთქი. მაშინ მეც ავდგები, თორემ საყვედურებით ამავსებს, მეტყვის, შენ რა მონოზონი ხარ, ლოცვა გააძღვინეო, იტყოდა და დიდი მონღომებითა და ფაციფუცით იწყებდა ჩაცმას, ლოცვაზე რომ არ დაგვიანებოდა.

ოქტომბრის თვე იყო, ერთი არქიმანდრიტი (ზუსტად არ მახსოვს) ეპისკოპოსის ხარისხში უნდა აეყვანა უწმიდესს. წირვის შემდეგ სვეტიცხოვლიდან პატრიარქი, წმიდა სინოდის წევრები, სხვა იერარქები და ერის ადამიანები ჩვენთან უნდა მოსულიყვნენ, რადგან სადღესასწაულო სუფრა სამთავროში იყო გაშლილი. რა თქმა უნდა, მონასტრის დობა უწმიდესის სუფრას ემსახურებოდა.

ტრაპეზის დამთავრების შემდეგ დავიწყეთ სუფრის ალაგება. ერთ-ერთმა მონოზონმა დედა ქეთევანს უთხრა, დედა სუსანას სენაკში პურები შეკვინდაო. იღუმენიას გაუკვირდა და აღნიშნა, რომ მან ამის შესახებ არაფერი იცოდა. ის დედა სუსანას სენაკისკენ წავიდა, მე და ორი მონოზონი თან გაყვევით. დედა სუსანასთან რამდენიმე ლავაში ნამდვილად აღმოჩნდა. დედა ქეთევანის კითხვაზე, თუ რატომ შეიტანა პური სენაკში, დედა სუსანამ ასეთი პასუხი გასცა: კარგად იცით, რომ მე დიდი მჭამელი არა ვარ, ეს პური გაჭირებული მცხეთელებისთვის უნდა დამერიგებინა და მადლი გამემრავლებინაო. დედა ქეთევანმა აუხსნა: ამ პურს მონასტერი გასცემს და ეს მთელ მონასტერს მადლში ჩაეთვლება; ჩუმიად აღებული პური უფალმა რომ არასწორ საქციელში ჩაგითვალოს, სირცხვილი იქნებაო. დედა სუსანამ თავი ჩაღუნა და კარგი, კარგიო, ჩაილაპარაკა. ალბათ მიხვდა, რომ მადლის გაკეთების ის გზა, რომელიც მან აირჩია, არ იყო მისაღები და აღარაფერი უთქვამს.

დედა სუსანას არ უყვარდა ხელოვნური ქსოვილისგან შეკერილი ტანსაცმელი. ამბობდა, მონოზონი ბამბის ან შალის ნაჭრით უნდა იკერავდეს ყველაფერს, რადგან ბოროტს შალისა ეშინია, ხელოვნურისა კი არაო. ვერ ვგუებოდა სუჟატის ან სხვა ხელოვნური ძაფისგან მოქსოვილ სკვნილს. ამბობდა, მონა-

ზონი აუცილებლად შალის ბსკენილზე უნდა ლოცულობდესო. სისტემატურად გვაფრთხილებდა, რომ ღამე გარეცხილი ტანსაცმელი თოკზე გაფენილი არ დაგვეტოვებინა: ღამე ბოროტებისაა, ისე დაგიბინძურებენ სუფთა ტანსაცმელს, რომ ვერც შეამჩნევთ და ცუდ დღეში ჩაგაგდებენო.

განსაკუთრებით უყვარდა სანთელი. თუ ვინმე სანთელს აჩუქებდა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სანთელი უფალთან მახლოვებსო, ასე ამბობდა ხოლმე. თანაც დასძენდა: კარგად დაიმახსოვრეთ, ანთებულ სანთელთან ლოცვა სულ სხვა მადლის მატარებელიაო.

ერთი პერიოდი მონასტერში ჩემი მორჩილება სანთლის კეთება იყო. ხელით ვამზადებდი სხვადასხვა ზომის კელაპტრებს, ასევე ჩვეულებრივ სანთელს ვავლებდი, სუფთა ცვილის დამუშავებას რომ დავიწყებდი და გავადნობდი, ირგვლივ საოცარი კეთილსურელება დგებოდა, ბევრჯერ ფუტკრებიც კი მოფრენილან ამ სუნზე. დედა სუსანა როგორც კი დამინახავდა, სანთელს ვაკეთებდი, თბილი, ღიმილიანი სახით მეტყობდა: შენ არ იცი, ეს რა მადლიანი მორჩილებაა. შენი გაკეთებული ყველა სანთელი უფლისკენ სავალ გზას გაგინათებსო. რა თქმა უნდა, ეს სიტყვები მაშინაც მამუდნიერებდა და მახარებდა. ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, გულს მითბობს და იმედით მავსებს.

გვიანი შემოდგომა იყო, საკმაოდ ციოდა. დედა ქეთევანმა ყველას გვითხრა, გვეთქვა კეთილმოწესისთვის, ზამთრისთვის ვის რა სათბილობელი სჭირდებოდა და ეტაპობრივად შეგვიძინდნენ საჭირო ნივთებს. დედა სუსანამ თბილი ჩუსტები ითხოვა. ძალიან ლამაზი თბილი ჩუსტები უყიდეს. დაინახა თუ არა, ღიმილი გადაეფინა და თქვა: მომაშორეთ აქედან ეგ ჩუსტები, არ ჩავიცვამ,

მე მონაზონი ვარ და არა პატარძალიო. ყველას გაგვეღიმა. მივხვდით, რომ დედა სუსანა ჩუსტებს გარეგნული სილამაზის გამო იწუნებდა. მონოზვნობა უბრალოებაა, კარგად დაიმასსოვრეთო, გვითხრა და ლამაზ ჩუსტებთან ერთად უკან გამოგვისტუმრა.



დედა სუსანასთან დაკავშირებით მახსენდება კიდევ ერთი შემთხვევა: სამთავროში სამი მამაკაცი მოვიდა გადამღები აპარატურით. განაცხადეს, ვინმე ასაკიანი მონოზონი უნდა გადავიღოთ, შეკითხვებზე პასუხი გვჭირდებაო. ირწმუნებოდნენ, საუბარი ათეისტური ხასიათის არ იქნებაო, ამიტომ დედა ქეთევანი გადაღებაზე დათანხმდა. დედა ევპრაქსიამ, დედა სიდონიამ და დედა ნინომ სასტიკი უარი განაცხადეს და სენაკში ჩაიკეტნენ. დარჩა დედა სუსანა. შევმოსეთ მანტიით, სკამზე დაჯდა და გადაღებაც დაიწყო. ჯერ მარტივი კითხვები დაუსვავს, ისიც ადვილად პასუხობდა: რამდენი წლისაა, რამდენი წელია რაც მონასტერშია. მონოზვნური ცხოვრება მარტივია თუ რთული და ა.შ. ბოლოს დედა სუსანასთვის მიუღებელი შეკითხვები დაიწყო. აქ კი უკვე სახე გაუმკაცრდა და ხმის ტონიც შეეცვალა. კითხვაზე, რას იტყვით ეღუარდ შევარდნაძეზეო, უპასუხა: კარგი კაცია, გურულიაო და გაიღიმა (დედა სუსანა თავადაც გურული გახლდათ). რას გაიხსენებთ მის შესახებ, მონასტერს ეხმარებოდა თუ არა თავისი მმართველობის პერიოდში, ხომ არ გავიწროვებდათ. გაგონილი გვაქვს, რომ გარდაცვლილი მონოზვნის მონასტრის ეზოში დაკრძალვის უფლებას არ გაძლევდნენ და ღამით ჩუმად მარხავდნენო. დედა სუსანამ შუბლი შეიკრა და თქვა, ეს ვინ მოიგონაო (თუმცა, სინამდვილეში ასეთი შემთხვევები იყო). შევარდნაძე კარგი კაცია. ერთხელ მონასტერში ძალიან გვიჭირდა და მასთან დახმარების სათხოვნელად წავვედი,

თბილად მიმიღო, მომისმინა და მონასტერსაც დაეხმარაო. როგორ არ ეცადნენ, მაგრამ უხუცეს სქემმონოზონს სულ მცირე აუგიც ვერ ათქმევინეს და ასე ხელმოცარულებმა დატოვეს მონასტერი.

მათი წასვლის შემდეგ დედა სუსანამ გვითხრა: ეს ურწმუნოები ვინ იყვნენ, რა უნდოდათ ჩემგან, შევარდნაძის განკითხვით ჯოჯოხეთში მიშვებდნენო. მაგათ, ეტყობა, არ იციან, რომ უფალი ბრძანებს: არავინ განიკითხო, მითუმეტეს, ქვეყნის მეთაური ან სასულიერო პირიო. თავისი მოქმედებით დედა სუსანამ კიდევ ერთელ გვაჩვენა, როგორ მტკიცედ უნდა ვმდგარიყავით „არ განკითხვის“ სადარაჯოზე, რომ ბოროტის გასახარებლად კიდევ ერთხელ არ ჩაგვედინა ეს მომაკვდინებელი ცოდვა. გმადლობთ, დედა სუსანა, პირადი მაგალითით რომ გვიჩვენებთ მონოზვნური შეუვალობა და სიმტკიცე!



მახსენდება ჩემთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი კიდევ ერთი შემთხვევა: სქემმონოზონ სიდონიას როცა ვუვლიდი, დედა სუსანა დიდი ყურადღებით მაკვირდებოდა. ბევრჯერ დამიჭერია მისი გამომცდელი მზერა, ის ჩვენი სენაკების საერთო ფანჯრიდან მიყურებდა. თუ რაიმე არ მოეწონებოდა, მაშინვე სერიოზულ, მკაცრ სახეს იღებდა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დედა სიდონიას ჰიგიენურად ვაწესრიგებდით. ერთხელ, დედა სიდონიას სანახავად შემოსულმა, ყველაფერი ზედმიწევნით კარგად დაათვალიერა, ავადმყოფის ლოგინიც კი. სახეზე ეტყობოდა, კმაყოფილი დარჩა, მერე მე მომიბრუნდა და მითხრა: დედაო, ამ გულისხმიერებასა და ერთგულებას უფალი არ დაგიკარგავს, გავაწლები და სქემმონოზონი შენც გახდებო. 15 წელი გავიდა. დედა სუსანას სიტყვები აღარც მახსოვდა, მაგრამ როდესაც სქემმონოზონი ირინე გავხდი, მაშინ გამახსენდა

ამდენი წლის წინ ნათქვამი მისი სიტყვები. აქვე მიხდა აღვნიშნო, რომ დედა სუსანამ შექებასთან ერთად სერიოზული საყვედურიც მითხრა: ავადმყოფ მონოზონს როცა ჰიგიენას უტარებთ, ამ საქმეს დიდი მოწიწებითა და მოკრძალებით, დაფარულად უნდა აკეთებდეთ, თქვენ კი პატარა ბავშვივით ექცევით. ეს რომ მას ესმოდეს ან გრძნობდეს, კარგდღეს არ დაგაყენებდათო. შენიშვნა მივიღეთ და გავითვალისწინეთ.



დიდსქემოსანი სუსანა გარდაცვალების წინ (თავთან უღვეს პატრიარქის ნაჩუქარი ცხვირსახოცი)

დედა სუსანამ გარდაცვალებამდე თითქმის სამი კვირა გაატარა ლოგინში. არაფერს ჭამდა, მხოლოდ სეფისკვერსა და ნაკურთხ წყალს იღებდა. ისე გახდა, რომ ლოგინში ძვალზე გადაკრული ტყავი იწვა. როცა დაიკვნესებდა და კვითხავდით, რა გაწუხებსო,

გვპასუხობდა, ძელები მესობა ხორცში და იმიტომ ვკვნესიო.

ავადმყოფობის პერიოდში მივდიოდით ხოლმე დედა სუსანასთან მოსაკითხად. ერთხელ მის საწოლთან ვიდექი. საბნის გარეთ ფეხის ტერფი ჰქონდა გამოყოფილი. ისეთი დასუსტებული იყო, დარწმუნებული ვარ, საბნის შიგნით ფეხის შეტანა ვერ შეძლო. უცებ შევაძინე, რომ ქუსლთან რაღაც ლაქები ჰქონდა და ვიფიქრე, ფეხები ალბათ დასაბანი აქვს-მეთქი, თუმცა ძალიან გამიკვირდა, რადგან მორჩილი აზა დიდი გულმოდგინებით უვლიდა. ვუთხარი, დავბანოთ-მეთქი. აზა დამთანხმდა. მოიტანა თბილი წყალი და საბანელი. ის წყალს მისხამდა, მე კი დედა სუსანას ფეხებს ვბანდი. ავადმყოფს თბილი წყალი ძალიან ესიამოვნა. მადლობა გადაგვიხადა და დაგვლოცა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოშავო ფერის ლაქები ჭუჭყი არ იყო. დედა სუსანას ქუსლები დალურჯებული ჰქონდა. მორჩილმა აზამ ამიხსნა, რომ დედა სუსანა ფეხსაცმელს ქუსლებთან ჩაჭყლეტილს ატარებდა, რაც ქუსლებს სტკენდა. მერე გამახსენდა, რომ სიარულის დროს დედა სუსანას ზოგჯერ სახე ეცველებოდა და გატანჯული გამომეტყველება ჰქონდა. რა დაგემართაო, რომ გეკითხა, პასუხი ერთი იყო, „არაფერი,“ ამიტომაც არ ვეკითხებოდი. ალბათ, ეს მისი მოკრძალებული, კიდევ ერთი ღვაწლი იყო ღვთის წინაშე. გარდაცვალებამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე, იღუმენიამ ჰკითხა: დედა სუსანა, იქნებ რაიმე საჭმელი გენატრება, გვითხარი და გაგიკეთებთო. დაგვთანხმდა და გვითხრა, რომ შეჭამდა კახურ თათარას და მეგრულ ღომს. ყველას გაგვიკვირდა, მაგრამ ისეთი სერიოზულობით თქვა, იღუმენიამ მე და აზა სატრაპეზოში გაგვაგზავნა. მე კახური თათარა უნდა გამეკეთებინა, აზას – ღომი. დავიწყეთ მასალების მოძებნა, რომ საქმეს შევდგომოდით, მაგრამ სასწრაფოდ ისევ ავადმყოფთან აგვიყვანეს.

დედა სუსანამ დამცინავი თვალებით შემოგვხედა და გვითხრა: ვაი, თქვე საცოდავებო, გგონიათ, ახლა მე რაიმეს შევჭამ? ყველა გაკვირვებული შევეყურებდით. ვიდრე რაიმეს შევეკითხებოდით, მან საუბარი განაგრძო: ვიდრე მოგკვდები, ერთი მაღლი კიდევ გაგაკეთებინეთ, არ გახსოვთ, რას ბრძანებს უფალი, ვინც ჩემს მსახურს ერთი ჭიქა წყალი დააღვინოს, დიდი მაღლი მიიღოსო. ამჯერად უფალმა თქვენი სურვილი შეიწირა, ხომ მთელი გულით გინდოდით ჩემთვის გემრიელი საჭმელი მოგემზადებინათ; კვდები, მაგრამ მაინც თქვენზე ვზრუნავ და მაღლს გაკეთებინებთო.

გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე უწმიდესი მობრძანდა მის სანახავად. დედა სუსანა პირით კედლისკენ იწვა, ჩვენი დახმარებით ძლივს გადმობრუნდა (როცა ძალიან ცუდად იყო, პირით კედლისკენ იწვა, ალბათ იმიტომ, რომ მისი გატანჯული სახე არ დაგვენახა). უწმიდესმა მოიკითხა, მოეფერა, ანუგეშა. დედა სუსანას სახე ისე გაუბრწყინდა, სულ დაავიწყდა, სიკვდილ-სიცოცხლის გასაყართან რომ იდგა, უფრო მეტიც: იუმორის ხასიათზეც დადგა. უწმიდესს უთხრა: ახლა მე და თქვენ უფალი უნდა ვადილოთ გალობით.

უწმიდესს გაელიმა და დათანხმდა. დედა სუსანამ თავის მოგონილ მელოდიაზე და თავისივე დაწერილი ტექსტის სიტყვებით დაიწყო გალობა. უწმიდესი ჯერ გაკვირვებული უყურებდა, მერე მორიდებით უთხრა: დედაო, მე არც ეს მელოდია ვიცი და არც სიტყვებიო. არა უშავსო, – ანუგეშა, – როგორც შეძლებ, ისე იგალობეო. უწმიდესი ასეც მოიქცა, როგორც შეეძლო, ისე ჰყვებოდა. მომაკვდავი მონაზვნის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მან ღიმილით შეხედა უწმიდესს და უთხრა: გასამრჯელოდ რაიმე უნდა მაჩუქო. უწმიდესმა ჯიბეები გაისინჯა, მაგრამ ვერაფერი იპოვა და შეწუხებულმა უთხრა, არაფერი მაქვსო. დედა სუსანა კი თავისას არ იმლიდა და სთხოვდა, რაიმე მომეცო. ბოლოს უწმიდესმა ერთ-ერთი ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, აჩვენა და უთხრა: ამის მეტი არაფერი მაქვსო. დედა სუსანამ ცხვირსახოცი გამოართვა, გაილიმა და თქვა, უწმიდესის ცხვირსახოცი ძვირფასი საჩუქარიაო, შემდეგ გულში ჩაიკრა და უწმიდესს მაღლობა გადაუხადა. ჩვენ, ვინც ყველაფერ ამას ვესწრებოდით და ვხედავდით, გაოცებულები ვიყავით დედა სუსანას მხნეობით. ჩვენ თვალწინ უფლის უშიშარი მხედარი იდგა.

### სქემონოზონი ირინე (თვაური)



იმ პერიოდისთვის სამონოზონე მარიაში ვიყავი. დედა ქეთევანის კურთხევით დროებით გადამიყვანეს შემოქმედის ეპარქიაში, მეუფე იოსებთან. ამ ამბავმა დედა სუსანა ძალიან გაახარა და მარიაშის ნაცვლად „შემოქმედის განმანათლებელს“ მეძახდა. ერთხელ დამიძახა, შემოქმედის განმანათლებლო, ჩემთან მოდიო. რა თქმა უნდა, სასწრაფოდ მივედი. მოულოდნელად ცხვირზე წამავლო ხელი,

ძირს მეწეოდა და თან თითებს ისე მაგრად მიჭერდა, ლამის ცრემლები წამომცვივდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამიშვა ხელი, ეტყობა, ჩემმა უკიდურესად შეწუხებულმა სახემ იმოქმედა მასზე. ცხვირი ჯერ გამიწითლდა, შემდეგ კი გამიღურჯდა. ფაქტია, ამით რაღაც მიმანიშნა, მაგრამ ვერ მივუხედი.

გავიდა დრო. დედა სუსანა ცუდად გახდა და საწოლს მიეჯახვა. მის სანახავად მოსუ-

ლი უწმიდესისაგან საჩუქრად ცხვირსახოცი მიიღო. სასურველი სტუმრის წაბრძანების შემდეგ, დედა სუსანამ თავისთან მიხმო. რა თქმა უნდა, მე სასწრაფოდ მასთან გავჩნდი. დაიხარეო, მითხრა და უწმიდესის ნაჩუქარი ცხვირსახოცით ცხვირი მომწმინდა. ამჯერად ისე ნაზად და მოფერებით, რომ გამიკვირდა, თანაც ასეთი მძიმე ავადმყოფი მიღიმოდა და თვალებით მეფერებოდა. მე დაბნეული ვიდექი და ვფიქრობდი, ნეტავ რას მიმანიშნებდა დედა სუსანას მოქმედება.

ბოლოს დედა სუსანამ ცხვირსახოცი დიდი სიფრთხილით დაკეცა და სანუკვარი საჩუქარი ბალიშის ქვეშ შეინახა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დედა სუსანასთან მოდიოდნენ სხვადასხვა განსაცდელში მყოფი ადამიანები, რომლებსაც იგი პარაკლისებსა და დაუჯდომლებს უკითხავდა. ბევრი მათგანი კმაყოფილი იყო და ხან ტკბილედ ჩუქნიდნენ, ხან ფულს, ხანაც ტანსაცმელს. ამ შემოწირულობას დედა სუსანა ხშირად მონასტერს აძლევდა ან მოწყალეების სახით თვითონ გასცემდა. მიუხედავად ამისა, მაინც გვეგონა, რომ ტახტი, რომელზეც იგი იწვა, ტანსაცმლითა და სხვადასხვა ნივთებით სავსე იქნებოდა. ყველას გასაოცრად, ტახტი აბსოლუტურად ცარიელი დაგვხვდა. დედა სუსანას შემოსისთვის საჭირო ზოგიერთი ნივთი (წინდა, ცხვირსახოცი, მაისური...) მონოზვნებმა გავიღეთ. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ იგი აბსოლუტურ უპოვარებაში გარდაიცვალა.

დედა სუსანამ გარდაცვალების შემდეგაც შეძლო ჩვეული იუმორით კიდევ ერთელ შეგვხმობოდა მარადისობიდან და ჩვენთვის მისი გარდაცვალებით გამოწვეული წუხილი გაექარებინა, ძნელი იყო იმ ფაქტთან შეგუება, რომ კიდევ ერთმა გამოცდილმა, ასაკოვანმა მონოზონმა დაგვტოვა.

როგორც წესია, გარდაცვლილი მონოზონი მონოზონმა უნდა შემოსოს: თვალები

დაუხუჭოს, შემდეგ კურთხევანის მიხედვით თანმიმდევრულად შეასრულოს განბანვა და შემოსვა დაიწყოს.

დედა სუსანას შემოსვის სურვილი მონოზონმა ნინომ (ლიზა) გამოთქვა. მან ახლად გარდაცვალებულს თვალები დაუხუჭა, მაგრამ რამდენიმე წამში ხმამაღლა წამოიძახა, სიცოცხლეშიც მეშინოდა ამისი და გარდაცვლილიც მაშინებსო. გაკვირვებულებმა მისკენ მივიხედეთ. დედა ნინოს სახეზე ფერი აღარ ედო და კანკალებდა. ვიდრე რამეს ვკითხავდით, თვითონ აგვიხსნა: სამჯერ დაუხუჭე თვალები, ერთი ქუთუთო გაჩერდა, მეორე კი სამჯერვე გაახილა, ალბათ, იმქვეყიდანაც მიყურებსო. ეს ისეთი გამომეტყველებით თქვა, ყველას გაგვეღიმა და წუხილი შეგვიმსუბუქდა.

იღუმენიამ შემომხედა და მაკურთხა, მიცვალებულისთვის თვალები დამეხუჭა. ეს იყო ჩემი პირველი შეხება, მიცვალებულთან; რაღაც გაურკვეველი გრძნობა დამეუფლა. ეს არ იყო შიში, მაგრამ რა იყო, არ ვიცი, სახელს ვერ დავარქმევ. მხოლოდ ერთხელ ჩამოვუწიე გახელილი ქუთუთო და მაშინვე გაჩერდა. დედა ნინომ ჩუმად ჩაილაპარაკა, ხომ ვამბობდი, ერთი თვალით მე მაშინებდაო და გარდაცვლილის შემოსვა გააგრძელა.

მადლობა უფალს, რომ ჩემს მონოზვნურ ცხოვრებაში ღირსი გავხდი ურთიერთობა მქონოდა ისეთ დედებთან, როგორებიც, უწმიდესის თქმით, „ძველი დედები“ იყვნენ – ზოგჯერ უცნაურნი, ზოგჯერ საცნაურნი. მათგან ბევრი რამ შეიძლებოდა გვესწავლა. ისინი გვამხედნენ ცოდვებში. თავიანთი მოქმედებით გვასწავლიდნენ მორჩილებასა და მოთმინებას, ხშირად გვამდაბლებდნენ და მდიდარ სულიერ გამოცდილებას გვადლევდნენ.

*სქემონოზონი ევენია (ქათამაძე)*

## სამთავროს დედეებს

იღუმენია ქეთევანის დაბადების დღეს, 22 იანვარს, ისეთი მაღლი ტრიალებდა სამთავროს ტაძარში, იქიდან დაბრუნებულმა ეს ლექსი დავწერე.



კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ღირსი მამა გაბრიელი, სამთავროს დედეები მრევლთან ერთად

წმინდა მაცულოვანში, სამთავროს მიწაზე,  
სამი სანთელი რომ ენთო:  
დედა ეფემია, მეორე – რაქილი,  
ტატინაც რომ ერქვა;  
მესამე – დედა ანა, იგივე დედა დარო,  
მაახლოვებდნენ ღმერთთან, –  
აკვანში დაობლებულ პატარა გოგონას.  
მადებდნენ სულზე საღბუნს  
(იმათი ლოცვები დემონებს დევნიდა,  
მუსრავდა ყოველგვარ ავსულს).  
ტაძრად მივდიოდი, რადგან გულს სწყუროდა,  
ელოცა მათთან ერთად ...  
და კიდევ იმიტომ, ეგ ზომ სანატრელი

სიტყვა „დედა“ რომ მეთქვა.  
ის მოხუცებული ტკბილი მონაზვნები  
უკვე აბრძანდნენ ზეცად,  
ახლა თქვენთან მოველ, ჩემო ძვირფასებო,  
ახლა თქვენ მოგიხმობთ დედად  
(თუმცა კი... ასაკით ზოგი შვილებად  
და ზოგიც შემფერით დებად).  
ტკბილად მოღუღუნე მტრედებო, გერიტებო,  
თქვენ უფრო ახლოს ხართ ღმერთთან –  
გალაღდით, ამალღდით, იმრავლეთ, იხარეთ,  
თქვენ არღვევთ ცოდვის მორევს;  
... ისევ მაცულოვანში, დედეებო, თქვენ მხარეს,  
სულის მოსათქმელად მოველ!...

**ნანა ბაგრატიონ - დავითაშვილი,  
ჟურნალ „ქაროზის“ რედაქტორი**

## ილია მართლის პირველი მასწავლებელი

წმიდა ილია მართალი დიდი სიყვარულით იხსენებს თავის პირველ მასწავლებელს, მთავარდიაკონ ნიკოლოზ სეფაშვილს. სამწუხაროდ, მისი ფოტო არ შემონახულა. ყვარლის მუზეუმში არის ილიას ავტობიოგრაფიული ჩანაწერების მიხედვით შექმნილი ვ. ჯაფარიძის ნახატი: ახალგაზრდა ანაფორიანი ვაჟკაცი ზის ტიპური ყვარლური სახლის ეზოში და გარს შემოკრებილ ბავშვებს ესაუბრება.

წმინდა ილია მართალი იხსენებს: „სწავლა 8 წლისამ დავიწყე ჩვენი სოფლისავე მთავართან. ქართული წერა-კითხვა მთავარმა ძალიან კარგად იცოდა და სახელი ჰქონდა განთქმული საღმრთო წიგნების კარგი მკითხველისა, ხოლო უმთავრესი ღირსება მისი ის

იყო, რომ მომხიბვლელი თქმა იცოდა ამბებისა. გვიამბობდა მდაბიურად და ბავშვისათვის გასაგები ენით, უფრო საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებს.“

მთავარი თავისი მომხიბლავი ენით შევირდებს უნერგავდა სამშობლოს სიყვარულს, გმირული და იმედიანი ბრძოლის სულისკვეთებას, მაღალ პატრიოტულ გრძნობებს და სამშობლოს წინაშე მოვალეობას. მთავარდიაკონი ნიკოლოზი ბავშვებთან მეცადინეობას რომ მორჩებოდა და მათ სახლში გაუშვებდა, პატარა ილიას კიდევ ტოვებდა თავისთან და დიდხანს ესაუბრებოდა. მთავარდიაკონის ამ სკოლამ დიდი როლი შეასრულა ილიას სულიერ ჩამოყალიბებაში. აქ გაიგონა მან ბევრი რამ



მთავარდიაკონი ნიკოლოზ სეფაშვილი მოსწავლეებთან ერთად. ვ. ჯაფარიძის ნახატი



და ღრმად აღიბეჭდა მეხსიერებაში. „ბევრი ამ ამბავთაგან ღრმად ჩამრჩა გულშიო“, – იგონებს წმიდა ილია მართალი.

სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეები წმიდა ილია მართალს ყვარლიდან გამოყვა. პეტერბურგიდან მომავალი უმაღლ მიუხვდა ლელთ-ღუნისას გულისტკივილს. „მიგიხვდი, ჩემო მოხვევე, რა ნესტარითა ხარ ნახვლეტი – ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუნოდესო“. ყვარლის სკოლაში მთავარდიაკონისგან მოსმენილი ამბავი გამოიყენა სიუჟეტად პოემაში „ღიმიტრი თავდადებული“.

მთავარდიაკონ ნიკოლოზს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, ისეთი შესანიშნავი მცოდნე და აღმზრდელი იყო, რომ მასთან წარჩინებულ თავადებს მიჰყავდათ შვილები სასწავლებლად. თუმცა, მთავარდიაკონი ნიკოლოზი თავადიშვილების გარდა გლეხის ბავშვებსაც ასწავლიდა და საზოგადოების ეს ორი განსხვავებული სოციალური ფენა ერთმანეთს დაუახლოვა. პატარა ილიას გააცნო გლეხთა ჭირ-ვარამი, ჩაუნერგა მათ დამი თანაგრძნობა და სიყვარული.

მწერალი გიორგი ხარატიშვილი აღნიშნავს: „გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ყვარლის სკოლა იყო ილიას ზნეობრივი შეგნების, მისი კაცური კაცობის სათავე და პირველწყარო. აქ მიიღო მან პატრიოტობის, მამულიშვილობის პირველი გაკვეთილები“.

მთავარდიაკონი ნიკოლოზის მამა მღვდელი იოანე (ბლალოხინი) შავგვრემანი იყო. ამიტომ ხალხში შავ ბერს ეძახდნენ. მღვდელი იოანე სწირავდა ყვარლის კვირაცხოვლის ეკლესიაში. მთავარდიაკონი ნიკოლოზიც ამ ეკლესიაში იყო განწესებული. მიუხედავად იმისა, რომ გვარად სეფაშვილი გახლდათ, ათეულობით წლების მანძილზე მის შთამომავლებს, მთავრიანებს (მთავრიშვილებს) ეძახიან ყვარელში. სხვა სეფაშვილებისგან განსხვავებით, ამგვარი წოდება მათ სწორედ ნიკოლოზ მთავარდიაკონისგან სახსოვრად დარჩათ.

ნიკოლოზს ცოლად ჰყავდა ალავერდელი მღვდლის ქალიშვილი, მარიამ ხატიაშვილი. ნიკოლოზი თუ ბიჭებს მოძღვრავდა, მარიამი ყვარელელ გოგონებს ასწავლიდა წერა-კითხვასა და ჭრა-კერვას. დღესაც არსებობს ყვარელში სახლი, სადაც იოანე სეფაშვილი დასახლებულა. იმ დროს, მოგესვენებათ, ლეკიანობა იყო კახეთში, ამიტომ ქვის გალავანში ჩატანებული იყო კოშკი სათოფურებით.

სეფაშვილების გვარი გვხვდება 1755 წლის ყვარლის ციხის ამღებ ვაჟკაცობით განთქმულ 200 მეომართა შორის. როგორც მოგესვენებათ, დაღესტნელი ნურსალ-ბეგი (მუცალი) 30 000-იანი ჯარით წამოვიდა კახეთზე სალაშქროდ და ალყა შემოარტყა ყვარლის ციხეს, რაც ერთი თვე გაგრძელდა. ეს უდიდეს საფრთხეს უქმნიდა მთლიანად საქართველოს. ყვარლის ციხე XVI-XVIII სს. მტკიცედ ნაშენი ძეგლია. ყვარლის ციხის დაცემას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მომავლისათვის.

ქართველები ციხიდან დიდ ზარალს აყენებდნენ მოალყეებს, მაგრამ თანდათან ტყვია-წამალიც და სურსათიც ილეოდა, მტერი ალყას ავიწროებდა.

ერეკლე მეფემ მიიღო გადაწყვეტილება, შეეკრიბა 200 ახალგაზრდა ქართველი, რომლებიც სამშობლოსთვის თავს არ დაზოგავდნენ. მათ დამით, მოულოდნელად უნდა გაერღვიათ ალყა ხმალდახმალ ბრძოლით და ციხეში შეეტანათ სურსათი და ტყვია-წამალი. ეს მებრძოლებისგან დიდ თავდადებასა და ერთგულებას მოითხოვდა, რის სანაცვლოდაც მეფე მათ გააზატებას დაპირდა.

შეიკრიბა 207 მეომარი. ისინი ერეკლემ ბოდბეში, წმინდა ნინოს საფლავთან მიიყვანა და აუხსნა, თუ რა უდიდესი მოვალეობა ეკისრებოდათ. მეომრებმა დაიფიცეს, რომ სამშობლოსათვის თავს არ დაზოგავდნენ.

207 ვაჟკაცს პაპა ბებურიშვილი-ვანჩაძე სარდლობდა, თან ახლდათ მოძღვარი იასე

მაჭავარიანი. გაიმართა უთანასწორო ბრძოლა. ქართველები ღომებივით იბრძოდნენ (თეიმურაზ პეტრიაშვილი, „ყვარლის ბრძოლა, ანუ მაშინ კიდევ ერთხელ გადარჩა საქართველო“). მოულოდნელობით დაბნეული მტერი აირია, გაერთიანება ვერ მოასწრო, სიმრავლევც ხელს უშლიდა, რითაც ისარგებლეს ქართველებმა. „ქართველები მიენდნენ ხმალსა და მამაცობასა,“ – ამბობს მატეიანი. მათ გაარღვიეს ალყა და შეიტანეს ტყვია-წამალი და სურსათი. ნურსალ-ბეგს შეატყობინეს, რომ ქართველები შევიდნენ ციხეში. მან ალყა მოხსნა და შერცხვენილმა დატოვა საქართველო, რაც კახეთის, და არა მარტო კახეთის, გადარჩენას ნიშნავდა. საქართველომ რეგიონში და კავკასიაშიც შეინარჩუნა პირველობა.

მეფე ერეკლემ შეასრულა პირობა – გმირებს უბოძა აზატობა და სხვა სიკეთეები. აი, ამ გმირთა შორის იხსენიება

პაატა სეფაშვილი.

ნიკოლოზ მთავარდიაკონს ჰყავდა ვაჟები: დავითი, გიორგი, ზარაფა, იოსები და ქაღები, რომელთა სახელებიც არ ვიცით.

რაც შეეხება დავითს, რომლის შთამომავალიც მე გახლავართ, ჰყავდა ორი ვაჟი და ექვსი ქალი: ვასილ დიაკონი, ალექსი, თებრო, ვერიკა, მარგალიტა, ანეტა, ნინო და ელენე.

დავით სეფაშვილი თავისი დროისთვის განათლებული კაცი იყო, ერთ დროს დიაკონი, შემდეგ ტყის მცველი, ბოლოს კი მწერალი და სოფლის ერთ-ერთი გავლენიანი თავკაცი. იგონებდნენ თანამედროვენი: ის რომ სოფლობაზე სიტყვით გამოვიდოდა, დამსწრეთა დიდ მოწონებას იმსახურებდა, ის იყო განაჩენების, არზების, თხოვნების დამწერი. ის, როგორც მამამისი ნიკოლოზი, ყვარელში დიდი სიყვარულით სარგებლობდა.

მთავარდიაკონი ნიკოლოზი ხალხის პატივისცემას იმსახურებდა როგორც გარეგნო-



ჭავჭავაძეთა საგვარეულო კოშკი ყვარელში, სადაც დაიბადა წმიდა ილია მართალი

ბით, ასევე სულიერებით, ხალხზე ზრუნვით, კეთილშობილებით ადა განსწავლულობით. იცოდა კავკასიური ენები, გალობდა შესანიშნავად. ყოველთვის იყო ხალხთან და ყველანაირად ეხმარებოდა მათ. ეკონომიკურადაც საკმაოდ ძლიერი ოჯახი ჰქონდა.

დავითის ვაჟი ვასილ დიაკონი იყო ფრიად წიგნიერი, განათლებული ადამიანი. იცოდა რუსული, ფრანგული, გერმანული, ლათინური, ლეკური, აზერბაიჯანული ენები, მაგრამ 1937 წლის რეპრესიებს ვერ გადაურჩა. რეპრესიების დროსაც მღვდლობაზე არ უთქვამს უარი, ანაფორა არ გაუხდია. გადაასახლეს სვერდლოვსკში, სადაც რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა. მან თავისი ცხოვრება აღწერა პოემაში, რომელიც როგორღაც მოახერხა და გამოაგზავნა საქართველოში. მაგრამ ოჯახი გააკულაკეს და ეს პოემაც დაიკარგა.

საერთოდ, იმ წლებში ძალიან ბევრი რამ დაიკარგა... იგი შემდგომში რეაბილიტირებულ იქნა.

დავითის მეორე ვაჟის ალექსის შესახებ გიორგი ხარატიშვილი თავის წიგნში წერს: „ნიკოლოზ სეფაშვილის შვილიშვილი ალექსი, იგონებდა, როცა მამაჩემი დათიკო გაგვიწერებოდა, გვსაყვედურობდა, რა მოგივიდათ, მამაჩემმა ილიას ასწავლა და მე თქვენ ვერ უნდა აღვზარდოთ წესიერადო. მამაჩემი თვითონაც წიგნიერი კაცი იყო და ჩვენც, შვილებიც სასწავლებელში შეგვიყვანა“.

რაც შეეხება ანეტას, ეს არის ბებიაჩემი (დედის დედა). მე ვარ ნიკოლოზ მთავარდიაკონის მეოთხე შთამომავალი. დღეს გვყავს მეექვსე თაობა. ბებიაჩემი იყო განსაკუთრე-



წმიდა ილია მართალი (ჭაჭუცავაძე)

ბული ადამიანი. მასთან მისვლა ყველას უხაროდა. ყველა აღნიშნავდა, რომ იყო გამოჩენილი თავისი შინაგანი კულტურით, მოყვასის სიყვარულით და შრომისმოყვარეობით. როცა ბებიაჩემს ვიგონებ, მის ხელებს გაჩერებულს ვერ ვხედავ, სულ საქმობდა. იცოდა არაჩვეულებრივი თხრობა. გვიყვებოდა თავის პაპა ნიკოლოზზეც. რა თქმა უნდა, ეამაყებოდა კიდევ და ოცნებობდა, პაპას ღირსეული შთამომავლები ჰყოლოდა.

აღბათ ნიკოლოზ მთავარდიაკონისგან მოგვდგამს ჩემიანებს გულისხმიერება. სხვისი ჭირის გამზიარებლები და მოწყალენი არიან. ბებიაჩემზე იტყოდნენ ხოლმე, არა მარტო ნათესავები, – ომის დროს ანეტა

რომ არ ყოფილიყო, ვერ გადავრჩებოდითო... მოწყალე იყო დედაჩემიც.

ჩვენი პატრიარქი რომ ბრძანებს, „არსებობს სულთა კავშირიო“, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტებას ბრძანებს. ამაში ხშირად დავრწმუნებულვარ... დედაჩემი გარდაიცვალა 90 წლის, სრულიად საღი გონებით და განსჯის უნარით. ბოლოს რომ ვეღარ წავიდა ტაძარში, შეუძლოდ იყო, შევთავაზე – დედა, მოძღვარს მოგიყვან და გაზიარებს, ხომ გინდა-მეთქი. სიხარულით დამთანხმდა. მივედი მიხეილ ტვერელის სახელობის ტაძარში და ვთხოვე მამა ზაქარიას (დავრეშიძე) წამოსულიყო ჩვენთან. მამა ზაქარიამ, როგორც კი შემოვიდა ბინაში, მაშინვე თქვა: „უჰ, რა მადლია ამ სახლშიო“. მე და ჩემი და აივანზე გავვდით. დედამ ჩააბარა მამა ზაქარიას აღსარება. როცა შემოვედით, მოძღვარმა კიდევ გაიმეორა, – უჰ, რა მადლია ამ სახლშიო...

არება. მივედი მამა ზაქარიასთან და ვუთხარი: „მამაო, ალბათ არ გეხსომებათ, თქვენ იყავით ქალბატონთან“ და გაგახსენე ქუჩა. მამა ზაქარიამ მაშინვე მითხრა: როგორ არ მახსოვს, ქალბატონი, მგონი ანა ერქვა, უჰ, რა აღსარება მითხრაო... მამა ზაქარიამ აზიარა და ისევ გაიმეორა, რა მადლია ამ სახლშიო. ჩემმა დამ უთხრა: „მამაო, დედაჩემი ნიკოლოზ მთავარდიაკონის, ილია ჭავჭავაძის პირველი მასწავლებლის შთამომავალია“. მამა ზაქარია უცებ მოგვიბრუნდა და გვითხრა: თქვე კაი ხალხო, ამდენი ხანი ვერ მითხარით, მე კი არ უნდა ვილოცო ქალბატონ ანასთვის, ნიკოლოზ მთავარდიაკონს ვთხოვოთ, ილოცოს ჩემი ცოდვილი სულისთვისო... დედა ცოტა ხანში გარდაიცვალა. ამქვეყნიდან გავიდა ძალიან მშვიდად. სამივე შვილი გუსხედით სასთუმალთან და როდის ამოუვიდა სული, ვერც გავიგეთ. ამას ვგრძნობდი შინაგანად, რომ ნიკოლოზ მთავარდიაკონი

ასეთ დროს ნამდვილად იყო დედასთან. მათ შორის ნამდვილად შესდგა სულთა კავშირი.

ბებია გვეუბნებოდა: ილიამ „გლახის ნაამბობში“ მღვდლად ნიკოლოზ მთავარდიაკონი გამოიყვანაო (თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ არის სხვა ვერსიებიც).

„მთავარდიაკონი ნიკოლოზი, როგორც გარეგნობით, ისე შინაგანად, საოცრად ჰგავს „გლახის ნაამბობის“ მღვდელს. რაც წმიდა ილია მართალს ავტობიოგრაფიაში აქვს ნათქვამი თავის პირველ

მოძღვარ-მასწავლებელზე, იგივე დიდი განზოგადებული ძალით მოცემული აქვს „გლახის ნაამბობის“ მღვდლის სახეში. ყვარლელი



**მთავარდიაკონ ნიკოლოზ სეფაშვილის შთამომავალი ქნი ანა ახიოშვილი**

დედა კვლავ ჩვეულებრივად აგრძელებდა ცხოვრებას. გავიდა რამდენიმე თვე და ისევ ცუდად შეიქმნა. კვლავ შევთავაზე ზი-

მთავარდიაკონი ილიას ღვთისკაცად მიაჩნდა. 25 წელზე მეტ ხანს გულით ატარა თავისი პირველი მასწავლებლის ნაამბობი, თუმცა წერა პეტერბურგში წასვლამდე დაიწყო, ბოლოს მხატვრულად განასახიერა და თითქოს განთავისუფლდა მოვალეობის ტვირთისგან“ (გიორგი ხარატიშვილი, „ილია ჭავჭავაძე და ყვარელი“).

1873 წლის თებერვალში ილია დუშეთიდან სწერს ცოლს: „გლახის ნაამბობი“ გავათავე და იბეჭდება, მგონი, კარგი გამოვიდა. როგორც იყო, გავათავე და გულიდან თითქოს ლოდი მომეხსნა“. ეს ლოდი იყო მოვალეობის გრძნობა და თავყვანისცემა თავისი პირველი მოძღვრის წინაშე...

ამავე წელს ილია კირილე ლორთქიფანიძეს წერს: „ძმაო კირილე! „გლახის ნაამბობი“ დავასრულე და... დიდი ხანია ეგ ნაამბობი გულში მედო და ძლივს მოვიშორე. არ ვიცი, როგორ მოგეწონებათ, მაგრამ რაც არის, ღმერთმა მისცეს, მე ხომ თავიდან მოვიშორე და!..“

თვითმხილველნი – მთავრის შვილები და შვილიშვილები დაბეჯითებით ამბობდნენ: ილიამ მღვდლის სახით მთავარდიაკონი ნიკოლოზი გამოიყვანა „გლახის ნაამბობში“. ეს იმ დროისათვის ყველამ იცოდა და ამიტომ მათ ნათქვამს ეჭვით კი არ უყურებდნენ, ბარამედ ადასტურებდნენ.

წმინდა ილია მართლის ავტობიოგრაფიიდანაც დასტურდება, რომ ყვარლებს უყვარდათ მთავარდიაკონი ნიკოლოზი, როგორც ყველა გაჭირვებულის გულშემატკივარი და დამხმარე. იგი არა მარტო ქადაგებდა მაღალზნეობრივ ნორმებს, ბარამედ პირად ცხოვრებაში იცავდა მათ.

ვფიქრობთ, აქ მთავარია ის შინაგანი გონებრივ-ზნეობრივი მსგავსება, რომელიც მთავარდიაკონ ნიკოლოზსა და გლახის ნაამბობის მღვდელს შორის არსებობს.

მასწავლებლები ილია ზაუტაშვილი, ვანო მათიკაშვილი, ილია მათიკაშვილი მიდიოდნენ

მთავარდიაკონის შვილთან დათიკოსთან და სხვა თვითმხილველებთანაც. იწერდნენ მათ ნაამბობს და სკოლაში უყვებოდნენ ბავშვებს.

ყვარელში იყო ოთხი ეკლესია: ფერისცვალების, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, იოანე ნათლისმცემლის, თომა მოციქულის (კვირაცხოვლობის)...

ძალიან ბევრს ვფიქრობდი და ახლაც სულ ვფიქრობ და ბოლოს მივედი იმ აზრამდე, მღვდელი რომ ეკითხება: „ჩემო გაბრიელ, რამ მიგიყვანა ამ დღემდე?“

- „იმ ცეცხლმა, რომელიც ყველას ღვთისგან გულში გვინთია, როგორც შენ ერთხელ მიბრძანე. მე ესე მგონია და სხვისი არ ვიცი...“ როგორც გაბრიელმა ღვთისგან გაღვივებული ნაპერწკალი რწმენით ატარა მთელი ცხოვრება გულით და მას შეეწირა, ისე წმიდა ილია მართალმა ატარა მთელი ცხოვრება ბავშვობაში გაღვივებული ღვთის და ერის სამსახური და მას შეეწირა...

თუ მღვდელი მთავარდიაკონი ნიკოლოზია, ილია გაბრიელია და მსხვერპლია! წმიდა ილია მართალი უფლისგან ხელდასხმული დაიბადა და ნიკოლოზ მთავარდიაკონისთვის იყო დიდი მადლი, რომ მისი პირველი მასწავლებლობის პატივი ერგო. ალბათ ამას იმსახურებდა უფლის ნებით. საყურადღებოა პარალელები: ილიას ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილება და შემდეგ ამ შთაბეჭდილებების მხატვრულ ნაწარმოებად ქცევა.

გამუდმებით ვგრძნობ, რომ მთავარდიაკონ ნიკოლოზ სეფაშვილის შთამომავლობა დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა.

ერთი წლის წინ ეს დოკუმენტური ისტორიები ტელეეკრანზე გაცოცხლდა. დოკუმენტალისტებმა, ქალბატონმა ნინო ხოფერიამ და ბატონმა ზვიად მიქელაძემ გადაიღეს შესანიშნავი ფილმი „ილიას სულიერი მოძღვარი“, რისთვისაც მათ უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

## ბიბლიური ინსტრუმენტების ისტორიიდან

„აუარებლით უფალსა ბობლნითა და ათძალითა საფსალმუნისაჲთა უგალობლით მას“ (ფს. 32,2).

ქრისტიანული ღვთისმსახურების ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე კანონიკური თვალსაზრისით გაიმიჯნა ინსტრუმენტული და ვოკალური მუსიკა. თუკი საგალობელი ეკლესიის მამების მიერ სულის მაღამოდ, სულის განკურნების უცილობელ პირობად არის აღიარებული, სრულიად საპირისპირო შეხედულებებია გამოთქმული პატრისტიკაში ინსტრუმენტული მუსიკის შესახებ.

ქრისტიანულმა ეკლესიამ მუსიკალური ინსტრუმენტები იმთავითვე წარმართული კულტის გადმონაშთად მიიჩნია, რადგან მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ბიზანტიაშიც,

წარმართული რიტუალები ინსტრუმენტული მუსიკის თანხლებით მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, ეკლესიის მამათა ნაშრომებში ხშირად ვხვდებით გარკვეულ ინფორმაციას ძველი აღთქმისეული მუსიკალური ინსტრუმენტების წარმომავლობის შესახებ.

ძველი აღთქმის ღვთისმსახურებაში მუსიკალური საკრავების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, პირველ ყოვლისა, დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნები ადასტურებს.

ფსალმუნი ძაღებიანი, ანუ სიმებიანი, საკრავის, საფსალმუნის (ბერძ. ფსალტირიო) თანხლებით სრულდებოდა. როგორც წმი-



დავითი უკრავს ქნარზე მეფე საულის წინაშე

და დავით წინასწარმეტყველი აღნიშნავს: „ათძალითა საფსალმუნისაჲთა უგალობლით მას“ (ფსალმ. 32,2). საფსალმუნე ძველი აღთქმის სხვა წიგნებშიც გვხვდება (ესაია 5, 12; დანიელი, 10). მას ზოგჯერ ქნარის სახელით მოიხსენიებენ, ზოგჯერ კი ჩანგს უწოდებენ. ბიბლიის მიხედვით, საფსალმუნეზე დაკვრის პირველი მასწავლებელი ბიბლიური იუბალი იყო: „მის (ყადაშიაბალის) ძმას ერქვა იუბალი. იგი იყო მეჩანგეთა და მესტვირეთა მამა“ (დაბ. 4,21).

საზოგადოდ, ძველი აღთქმის ინსტრუმენტები შემდეგი პრინციპით შეიძლება დავაჯგუფოთ: 1) ძაღებიანი საკრავები: საფსალმუნე, ქნარი, ებანი; 2) ჩასაბერი: საყვირი, ნესტვი, ბუკი; 3) ორღანო; 4) დასარტყამი, – ბობლანი; 5) საჩხარუნებელი და უღარუნები: წინწილი, ზარი.

საფსალმუნის მსგავსად, ძაღებიანი საკრავია ებანიც ( I მეფ. 16, 16; I მეფ. 16, 23). „აქებლით მას ფსალმუნითა და ებნითა“, – წერს დავით

მეფე (ფსალმ. 150, 3). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ებანი დაფია და იგი ტყავისაგან არის დამზადებული; ივანე ჯავახიშვილის მტკიცებით კი ბიბლიის ქართულად თარგმნის დროს ებანი ნამდვილად ძაღებიანი საკრავი გახლდათ. იგი მაშინ ქნარის სინონიმი და, შესაძლოა, მისი ქართული შესატყვისიც იყო. ებანი და ქნარი ებრაული ქინორის და ლათინური ლირის ანალოგია.

ებრაული ქინორისა და ქნარის მოყვანილობაზე სხვადასხვა აზრი არსებობს. ვარაუდობენ, რომ იგი ლირის მსგავსი, ან სამკუთხედის ფორმის სიმებიანი საკრავი იყო, ხელით სატარებელი სადღესასწაულო ინსტრუმენტთა რიცხვს ეკუთვნოდა და გლოვის დროს მისი აუღერება დაუშვებელი იყო.

ძველი აღთქმის წიგნებში უფლის სადიდებელ საკრავთა შორის ნესტვიც მოიხსენიება. „აქებდით მას კმითა ნესტსაჲთა“ (ფსალმ. 150, 3), ამბობს წმიდა დავით წინასწარმეტყველი. სულხან-საბას განმარტებით, ჩასაბერ საკრავთა ერთობლიობას ნესტვი ჰქვია: „რაიც საკრავი განხვრეტილნი არიან, პირით იბერვიან, ნესტვნი არიან“. ჩასაბერ ინსტრუმენტთაგან ძველ აღთქმაში საყვირი, ბუკი და ნესტვი იხსენიება.

საყვირი იგივე ბერძნული სალპინქსია. სალპინქსი იყო ეტრუსკული წარმომავლობის სპილენძის სწორი და კონისებური საკრავი, რომელსაც ძვლის სატუჩე ჰქონდა. მას ომის დროს ლაშქრის შესაკრებად იყენებდნენ. ვნახოთ, რა დანიშნულებისაა ძველი აღთქმის საყვირი: „უფალი ეუბნება მოსეს: გააკეთე ორი ვერცხლის საყვირი, ჭედური; გააკეთე ისინი საზოგადოების შესაკრებად და ბანაკების ასაყრელად გქონდეს“. (რიცხ. 10, 2). საყვირი საზეიმო საკრავთა რიცხვს მიეკუთვნება. სოლომონის ტაძრის კურთხევის



დაირა

დროს „მღვდლები საყვირებს აყვირებდნენ მათ გვერდით და ფეხზე იდგა მთელი ისრაელი“ (III ნეშტთა 7, 6). საყვირი ერთადერთი ინსტრუმენტია, რომელიც ახალ აღთქმაშიც ფიგურირებს. იოანეს გამოცხადება გვამცნობს: „და ვიხილენ იგი ანგელოსნი, რომელნი წინაშე ღმრთისა ჰსდგანან, და მიეცნეს მათ შვიდნი საყვირნი“ (8,2); და იქვე: „და შვიდთა ანგელოსთა, რომელთა აქუნდეს შვიდნი იგი საყვირნი, და განმზადნეს თაენი თვისნი ცემად“ (8,6). იოანე მახარებელი ბრძანებს, რომ შვიდივე ანგელოსი ცალ-ცალკე დას-



ბუკი



ებანი

ცემს საყვირს და აღსრულდება ნება ღვთისა.

ძველ აღთქმაში ხშირად გამოიყენება ბუკი (I მეფ. 13,3; III მეფ. 1,39; ისუ ნავე 64,5). საბას განმარტებით, „ბუკი საყვირია დიდი“. ეს საკრავი ხშირ შემთხვევაში ებრაელთა საზეიმო განწყობილების თანაზიარია, სხვა დროს ღვთის ნების აღსრულებაში ეხმარება ამ ერს: „შვიდმა მღვდელმა ატაროს ვერძის რქის შვილი ბუკი კიდობნის წინ. მეშვიდე დღეს შვიდგზის შემოუარეთ ქალაქს და მღვდლებმა სცენ ბუკებს. როცა ჩაბერავენ ვერძის რქას და გაისმება ბუკის ხმა, დასცენ დიდი ყიჟინა მთელმა ერმა და იქვე ჩაიქცევა ქალაქის კედლები“ (ისუ ნავე 64,5).

საინტერესოა, რომ ბუკმა დიდი

გავრცელება ჰპოვა საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში. მას თურმე დიდ რელიგიურ დღესასწაულებზე ლიტანიობისას იყენებდნენ. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, სამეგრელოში „სამღვდელოება რომ ლიტანიობას დაიწყებს, ორი კაცი წინ მიდის და ორ ბუკს უკრავს. ამათ მოსდევს მესამე, რომელსაც ხელში დროშა უჭირავს“. „ვეფხისტყაოსნიდან“ ირკვევა, რომ მეფედ კურთხევის დროს ბუკის კვრა წესად იყო მიღებული. როდესაც როსტევეანმა თინათინი თანამოსაყდრედ (ხელმწიფედ) დასვა, „ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკობდეს მათთა ხმათა“, (47,3). ბუკი უმეტესად ლაშქრობისას გამოიყენებოდა. „ვეფხისტყაოსანში“ ნათქვამია: „გამოჩნდეს, სცემდეს ტაბლასა, ბუკმან ხმა გააზეარა“ (456,4).

წმიდა დავით წინასწარმეტყველი მოგვიწოდებს უფლის ქებას „ძნობითა და ორღანითა“ (ფსალ. 150, 4). „დაბადების“ ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „დავით და ძენი ისრაელისანი ვიდოდეს... მროკველნი ორღანოთა შესმობილითა“ (II მეფ. 6,5); „დავით უცემდა ორღანოთა შებანებულთა“ (II მეფ. 6,14). ი. ჯავახიშვილი ორღანოს ძალებიან საკრავად მიიჩნევს, საბასეული განმარტებით კი ორღანო საკრავია საბერველიანი. აქვე გვინდა მივანიშნოთ, რომ აღრეული ბიზანტიის მუსიკალურ პრაქტიკაში ფართო გამოყენება ჰქონდა პატარა საჰაერო ორღანს. იგი



წინწილა





სჯულის კიდობნის საზეიმო გადაბრძანება

ძალზე მსუბუქი იყო და მასობრივი მსვლელობების დროს გამოიყენებოდა. შესაძლოა, ამ ტიპის ორდანო არის ნაგულისხმევი წმ. დავითის ფსალმუნებში. საკრავთა დიდი რაოდენობა დასახელებული II მეფეთა წიგნში (6, 5): „დავით და მთელი ისრაელის სახლი უკრავდნენ უფლის წინაშე კვიპაროსის ხის საკრავებს, ქნარებს, ბობლანებს, დაფდაფებს, ჩანგებს და წინწილებს“.

ბობლანი, საბას ცნობით, „არის დაფი და დაფდაფი, ტყავისაგან შემზადებული საკრავი“. დაფი, ბობლანი, დაფდაფი და დოლი ხშირად ერთი მნიშვნელობით არის მოცემული (იხ. დაბ. 31, 37; გამოსვლ. 15, 20). ბობლანის ანალოგი ლათინური ტიმპანია. ტიმპანი უძველესი ადამიანის აზროვნების ნაყოფია. მისი გაკეთების სურვილი ადამიანს მაშინ დაეპადა, როცა გამოფულურობებულ კუნძზე გადაჭიმულ ცხოველის ტყავს აშრობდა. მას შემდეგ ეს საკრავი ზეიმსა და ბრძოლაში თან დაჰქონდათ. ამბობენ, არ არსებობს ერი, რომელსაც ტიმპანი არ გააჩნიაო.

აქებლით ღმერთსა „წინწილითა კეთილკმითა, აქებლით მას წინწილითა ღაღადებისათა“, მოგვიწოდებს წმიდა დავით წინასწარმეტყველი (150, 5). ეს ინსტრუმენტი, ფსალმუნთა წიგნის გარდა, ძველი აღთქმის სხვა ეპიზოდებშიც გვხვდება ( I ნემტ. 15, 9). საბას თქმით, წინწილი, ტკბილი საკრავი, არის ლითონის თევზი რო-

მელსაც მეორე მსგავსი თევზით ახმოვანებენ.

ქრისტიანულ სამყაროში დიდი გავრცელება ჰპოვა ზარმა. იგი დასარტყამ საკრავთა რიგს მიეკუთვნება. ზარის ახმიანება ამცნობს მრევლს წირვა-ლოცვის დაწყებას და შესაკრებად მოუწოდებს. ზარს დიდი ხნის ისტორია აქვს. მის სამშობლოდ აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ითვლება. ეგვიპტელები, ებრაელები და რომაელები ფლობდნენ ზარების ჩამოსხმის ხელოვნებას და მათ თავიანთი რიტუალების დროს იყენებდნენ. ძველი ბერძნები მიცვალებულის დაკრძალვის დროს ქალაქის კედლებზე ჩამოკიდებულ ზარებს რეკავდნენ.

საქართველოში ზარები XIII საუკუნიდან გაჩნდა. მანამდე ძელის, ანუ ხის, სარეკელი არსებობდა.

მუსიკალური ინსტრუმენტები ძველი აღთქმის შემდგომ ეტაპზე თანდათან განიდევნა ღვთისმსახურებიდან, რადგან ქრისტიანულ ლიტურგიაში მუსიკალური ინსტრუმენტებითა და სხვა გამომსახველი მხატვრული საშუალებებით რწმენის განმტკიცების აუცილებლობა არასოდეს ყოფილა. თავად მაცხოვარი ბრძანებს: „და ყოველსა, რაოდენსა ითხოვდეს ლოცვასა შინა სარწმუნოებით, გეყოს თქვენ“ (მათე, 21, 22).

*მუსიკოლოგიის დოქტორი,  
პროფესორი ხათუნა მანაგაძე*



მობრძანება სამთავროში. 15 იანვარი, 2018 წელი





ჩვენს სყვანილ  
ღვთა იღუმენიას  
გულთსაგთ

70

სთას აუბილგს.  
ძნადელგაძიგნ!

22 იანვარი, 2018 წელი



წმიდა ნინოს ღმრთისძეობა. 27 იანვარი, 2018 წელი



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, მიტროპოლიტი შიო სამთავროშვი



ლაზარეს შაბათი

31 მარტი, 2018 წ.



წალკელი ეპისკოპოსი ბრიგოლის (კაცია) მიერ მამა ილიას (თვალთაყვანილი) მღვდლად კურთხევა



ბოღა – უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში



სააღგომო ღიჭანიოგა









მონასტრის მუშაობა



ბრწყინვალე ორშაბათი



პატრიარქის მშობლების საფლავზე






## მონღოების აღთქმანი

ან მიგება თუთოეულისა კითხვას მიერ ლმერთსა  
შიშითა და სიხარულითა მოუძეფგრებულად:

- კითხუა: რამსათუჳს მოსრულ-ხარ, ძმარ, შვერდომით, წმიდასა ამასა  
მსხუერპლის-შესანირავსა, და წმიდათა ამათ კრებულოთა?
- მიგება: მნებავს განძორებამ სოფლისავან, პატროსანო მამარ.
- კითხუა: ნებითა შენითა ღირს-იქმნებთ ანგელოსებრივსა ამას სასესა,  
და ნესსა გუნდთა მონაზონთასა?
- მიგება: ჰე, ლუთისა ძაღითა, პატროსანო მამარ.
- წინამძღუარმან: ხოლო რაკამს აღვირჩევიეს კეთილი და სანატრელი ესე  
საქმეა, უკეთუ გნებავს განსრულებამ კეთილისა საქმისა, შრომითა,  
რუღუნებითა და ტკივილითა განსრულებების.
- კითხუა: ნებითა გონებითა შენითა მოხუცოა წინაშე უფლისა?
- მიგება: ჰე, ლუთისა ძაღითა, პატროსანო მამარ.
- კითხუა: დაადგრებთ მონასტერსა განუძორებულად, ვიდრე  
უკანასკნელად აღმოშენუადმდე?
- მიგება: ჰე, ლუთისა ძაღითა, პატროსანო მამარ.
- კითხუა: დაიწვა ქაღონულებსა შენსა ყოველითა გონიერებითა და სასოებითა?
- მიგება: ჰე, ლუთისა ძაღითა, პატროსანო მამარ.
- კითხუა: ეხოვრებსა შინა შენსა ვიდრე სიკუდიდმდე ჰყოფა მორჩილებსა  
უფროსისასა, და ყოველითა ქრისტეს მიერ ძმასა?
- მიგება: ჰე, ლუთისა ძაღითა, პატროსანო მამარ.
- კითხუა: დაითმენა ყოველითა ძურის-ხლოესა, ინროებსა, ზოროცთა მიერ  
აღძრულსა მხაკარებსა, სასუფეველისათუჳს ერთასა?
- მიგება: ჰე, ლუთისა ძაღითა, პატროსანო მამარ.



1 არ განიკითხო!

2 რაყაშს მოყვასი ზრალს ვდებდქა, თავს ნუ იმართლოვ, სიხოვე შენდომა და განშორდი.

3 ყოველი ადამიანში დაინახე მხოლოდ სიკეთე, მიძართე მას კეთილი სიტყვით, თუ ეს არ ძლივის – ნურადგერს ეტყვი.

კარონი მონასტერს განუწესა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ